პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული.
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34 ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

— ნანკინელების ლაშქრობა ჩინეთის წითელი არმიის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა.
— „ტანი"-ს მორიგი გამოლაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღ. ებ.
— გასულ წელთან შედარებით მსოფლიო ექსპორტი შემცირდა 8 პროცენტით.
— საკავშირო ცაკის მესამე სესია გაიხსნება 4 იანვარს.
— ამხ. კრჟიჟანოვსკის დაჯილდოება ლენინის ორდენით.
— ტრაქტორების განაწილება 1931 წლისათვის.

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 307 (2955)

მტკიცედ განვახორციელოთ საოლქო კომიტეტის დირექტივა

ბამბის ნათესების გაფართოების შესახებ

ბამბის სათესი ფართობის გადიდება გადაუდებელ ამოცანად არის დასმული. სადირექტივო ორგანოების მიერ მოცემულ დავალებების მიხედვით საქართველოში 1931 წელს ბამბის ნათესების არე აყვანილ უნდა იქნას 20.000 ჰექტარამდე.

ამ ამოცანის განხორციელება უპირველესად ყოვლისა მოითხოვს სერიოზულ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას გლეხობის ფართო მასებში ბამბის ნათესების გადიდების მნიშვნელობის და სარგებლიანობის გასარკვევად.

ს.კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილების თანახმად სათანადო ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ დააწესონ ბამბის ფაქტიური სათესი ფართობი 1931 წლისათვის. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა რათა: **„აკრძალონ ბამბისათვის გამოსადეგ მიწების გამოყენება მარცვლეული და სხვა კულტურებისათვის.** (ჩალტიკი, კუნჟუტი, სიმინდი, პურეული და ბოსტნეულის კულტურები)". ამ დირექტივების დროზე და მთლიანად გატარების გარეშე შეუძლებელია ბამბის ნათესების გადიდება მოცემული დავალებების თანახმად.

კულაკები და შეძლებული ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ არ დაუშვან ბამბის ნათესი ფართობის გადიდება. ბამბის თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არც კი გაშლილა და ადგილებიდან უკვე მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ კულაკები თვითნებურად იჭრებიან ბამბისათვის გამოყოფილ ადგილებში და იქ მარცვლეულ კულტურებს სთესენ: ყარაიას ზოგიერთ სოფლებში, ბორჩალოს რაიონში და ალაზნის ველის მთელ რიგ ადგილებში კულაკები ბამბისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე თვითნებურად აპირებენ მარცვლეულ კულტურის დათესვას. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ **კულაკებს ღამე ქურდულად გააქვთ გუთნები და ბამბისათვის გამზადებულ მიწებში ხორბალს სთესენ:** ასე მაგალითად, 27 დეკემბერს სოფელ ჩუმლაყის ბოლოზე (გურჯაანის რაიონი) კულაკებმა და შეძლებულმა ელემენტებმა ბამბისათვის მოხნულ ადგილებში 80 ჰექტარზე პური დათესეს.

კულაკური ელემენტების ასეთი მავნებლური გამოსვლები ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი. კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც ბამბის ფრონტზე მავნებლობას ეწევიან, დარაზმული უნდა იქნას ღარიბი, საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეობა და კოლმეურნეთა მასები. **რევოლიუციონურ კანონიერების მთელი სისასტიკით უნდა აღმოიფხვრას კულაკების და ყველა ჯურის კლასობრივ მტერთა ცდები, მიმართული ბამბის თესვის შესაფერხებლად.**

მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში ნათქვამია: „უკეთუ ბამბის კულტურისათვის დანიშნულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ან კოლონების დახმარებით მოხნულ მიწის ნაკვეთებზე დათესილი იქნება რაიმე სხვა კულტურა, **ეს ნაკვეთი ხელახლად უნდა მოიხნას და დაითესოს ბამბა სათანადო საგლეხო მეურნეობის ხარჯზე".** ამ დადგენილების გატარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც მიწსახკომმა, ისე რაიაღმასკომებმა და **სასოფლო საბჭოებმა. სასამართლო ორგანოებმა პირველ რიგში უნდა განიხილონ ამ დადგენილების დარღვევის ირგვლივ აღძრული საქმეები** და უნდა მოაწყონ დამნაშავეთა (განსაკუთრებით კულაკთა) საჩვენებელი პროცესები.

კულაკების თავხედობას მეტი გასაქანი ეძლევა იქ, სადაც ბამბის აკრეფის და თესვის საქმეში შემჩნეულია **მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა.** მემარჯვენე ოპორტუნიზმი და მასთან შემარიგებლობა ხელს უწყობს კულაკების თავხედობას და თვითნებობას, ბამბის კამპანიის საქმეში და აძლიერებს მათს პოზიციებს ბამბის საგაზაფხულო თესვის ჩასაშლელად.

ამისათვის ბამბის თესვის კამპანიაში მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკის წინააღმდეგ დაუნდობელი და შეუბრალებელი ბრძოლა წარმოადგენს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას. მხოლოდ მემარჯვენე ოპორტუნისტებთან—ამ კულაკების ნებიერ აგენტებთან სისტემატიური ბრძოლით და „მემარცხენე" ნახტომების აღკვეთით შეიძლება ბამბის თესვის ბოლშევიკურად ჩატარება.

საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ბამბის თესვას მისცენ **საზოგადოებრივ-პოლიტიკური** ხასიათი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაჩქარდეს ბამბის სათესი ფართობის გამოყოფა და თესვის გეგმის დაყვანა კოლმეურნეობამდე, სოფლამდე და კომლამდე. ამავე უნდა დაჩქარდეს იმ მეურნეობათა რეგისტრაცია, რომელნიც ბამბის ხვნა-თესვას აწარმოებენ.

გარდა ამისა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბამბის თესვის გეგმების ფართოდ განხილვა ღარიბთა და კოლმეურნეთა კრებებზე, სოფლის საბჭოებზე და საწარმოო თათბირებზე. ყველა აღნიშნული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს ა.-წ. 15 იანვრამდე.

ბამბის საგაზაფხულო თესვის ირგვლივ მჭიდროთ დავრაზმოთ ღარიბი, საშუალო გლეხობა, მოჯამაგირეები და კოლმეურნეები, აღვკვეთოთ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტული პრაქტიკა, გამანადგურებელი დაკვრით გავსტეხოთ კულაკების წინააღმდეგობა, დროზე ავიყვანოთ ბამბის თესვის გეგმა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, კომლამდე და ყოველმხრივ უზრუნველვყოთ **ბამბისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე მხოლოდ ბამბის დათესვა.**

ტრაქტორების განაწილება 1931 წლისათვის

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა გაანაწილა ტრაქტორები 1931 წლისათვის: ჩრდილოეთ კავკასია და დაღესტანი მიიღებენ 112.502 ცხენის ძალის ტრაქტორებს, ციმბირი—134004 ცხ. ძალის, ურალი—67.991, შორეული აღმოსავლეთის მხარე—61.613, კაზაკსტ.—69.644, ყირიმი — 7.490, ბურიატ-მონღოლეთი—1.900, იაკუტია—462 ცხ. ძ. და სხვ. სულ რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკა მიიღებს 835.478 ცხ. ძალ., უკრაინის ს.ს. რესპუბლიკა—175.481, ბელორუსის ს.ს. რესპუბლიკა—15.980, ა.-კ. ფ. ს. რესპუბლიკა—25.585, საშუალო აზია—86.428 ც. ძ. არ განაწილებულა—17.869 ც. ძ. სულ 1.158.81 ცხ. ძ. (ადს).

მსოფლიო ექსპორტი 8 პროცენტით შემცირდა

ლონდონი, 30 დეკემბერი. ამერიკის საგარეო ვაჭრობის ნაციონალურ საბჭოს ცნობებით, მსოფლიო ექსპორტი, შარშანდელთან შედარებით, 8 პროცენტით შემცირდა. 1930 წლის 1 დეკემბრისთვის მსოფლიო ექსპორტი შეადგენდა 4.500 მილიონ გირ. სტერლინგს, 1929 წელს კი 4.885 მილიონ გირ. სტერლინგს. ექსპორტი მეტწილად შემცირდა არა ევროპიულ ქვეყნებში. საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, რუმინეთის და ირლანდიის ექსპორტი 1930 წელს გადიდდა ინგლისის ექსპორტი კი 1929 წელთან შედარებით შემცირდა 10 პროცენტით. ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი 1930 წელს შემცირდა 15%-ით (ადს)

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩინეთში

ჩანკაიშის ანტიკომუნისტური ექსპედიციის ჩაშლა.

ტოკიო, 29 დეკემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, თითქოს ჩან კაი-ში ხანკოუში გაემგზავრა. მის წასვლას უკავშირებენ ამას წინად გამოცხადებულ ანტიკომუნისტური ექსპედიციის ჩაშლას. სააგენტოს სიტყვით, ნანკინის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია დამსჯელ ექსპედიციის განხორციელება მეამბოხეთა იმ ჯარის წინაამდეგ, რომელსაც იანჩის რაიონში კომუნისტები ხელმძღვანელობენ (ადს).

ნანკინელების ოპერაციები წითლების წინააღმდეგ.

ლონდონი, 29 დეკემბერი. „მორნინგ პოსტ"-ი აქვეყნებს ცნობას ძიანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ქალაქ იონკუს აღების შესახებ. ეს ქალაქი ორი წლის განმავლობაში იმ წითელი არმიის ხელში იყო, რომელსაც ჩუ-დე ხელმძღვანელობდა. გაზეთი ამტკიცებს, რომ მთავრობის ჯარისა და კომუნისტებს შორის მომხდარ ბრძოლაში 2.000 კომუნისტი დაიღუპა. გაზეთის სიტყვით, წითელი არმიის ნაწილებმა სამხრეთისაკენ დაიხიეს. მათ ჰაეროპლანები სდევნიან

ეგვიპტის ბამბის გაშენება

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის მიწსახკომი გაეცნო ამხ. კრემლიოვას მუშაობას ეგვიპტური ბამბის გაშენების საქმეში. ამხ. კრემლიოვამ ეს მუშაობა განსაკუთრებული თავგამოდებით ჩაატარა. ამ მუშაობაში მას მებამბეობის, საადგილ-მამულო და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები არა თუ არ ეხმარებოდნენ, არამედ წინააღმდეგობასაც უწევდნენ. მიწსახკომი ადგენს:

1. დაევალოს „სოვხოზხლოპოკ"-ის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ჰრიგარინს და ყარა-ჩალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ზადრას, მათი პირადი პასუხისმგებლობით, მატერიალური სახსრებით სავსებით უზრუნველჰყონ ამხ. კრემლიოვას მუშაობა. შედეგი 1931 წლის პირველ თებერვლისათვის აცნობონ მიწსახკომს და „გლავხლოპკომ"-ს.
2. წინადადება მიეცეს ამხ. კრემლიოვას—ტელეგრაფით აცნობოს სახალხო კომისარს იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომელსაც მუშაობის დროს მას აღმოუჩენენ.
3. დაევალოს ყარა-ჩალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ზადრას და ამხ. კრემლიოვას — 1931 წლის გაზაფხულზე ეგვიპტური ბამბა დასთესონ სულ ცოტა 1000 ჰექტარზე.
4. დაევალოს მებამბეობის მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ლუკოვცევს — მიაწოდოს ამხ. კრემლიოვას ყოველი საჭირო მოწყობილება, რასაც იგი მოითხოვს ლაბორატორიისათვის. ვადა — პირველი თებერვალი.
5. მიეცეს ამხ. კრემლიოვას პრემიად 1.500 მანეთი, აქედან 500 მანეთის ნივთები, ხოლო ამხ. **მიშინს,** რომელმაც ამ მუშაობას სათავე დაუდო — 1.000 მანეთი.

შესრულება მიენდოს ამხ-ებს **ზორინს** და მოხმანს. ვადა—სამი თვე.

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახ. კომისარი **იაკოვლევი.**

ბურჟუაზიის შიში 5-წლედის წინაშე

„ტანი" ინტერვენციისაკენ მოუწოდებს იმპერიალისტებს

მოსკოვი, 30 დეკემბერი. (საქ. კორესპ.). „იზვესტია" მთლიანად ათავსებს გაზ. „ტან"-ის 22 დეკემბრის №-ში მოთავსებულ წერილს სათაურით „რუსეთის საფრთხე". წერილი აშკარად მოუწოდებს კაპიტალისტურ მსოფლიოს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის განხორციელებისაკენ. გაზეთი სწერს: **საბჭოთა რუსეთი ამჟამად წარმოადგენს უდიდეს სახელოსნოს, სადაც შენდება ისეთი ქარხნები, რომელთა საწარმოო შესაძლებლობანი მხოლოდ ამერიკის უდიდეს ქარხნებისას** შეიძლება შევადაროთ. ამ სახელოსნოში ბლომად იმყოფებიან უცხოელი ტეხნიკოსები. ათასამდე ამერიკელი ინჟინერი მუშაობს რუსეთის მრეწველობის მოსაწყობად.

როგორ შეეძლოთ მსოფლიოს უდიდეს საწარმოთა ხელმძღვანელებს ასეთი პოლიტიკური შეცდომის დაშვება? იმ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, რომელიც დღემდე თითქმის სავსებით მოკლებული იყო მრეწველობას, შეუძლია მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის დაშლის გამოწვევა. რუსეთის დროებით ბატონპატრონებს ხელთ აძლევენ იმ იარაღს, რომლითაც ისინი უზრუნველყოფენ საბოლოო ბატონობას. **როდესაც რუსეთის ფაბრიკატები ფართოდ მოედებიან ევროპის და სხვა ბაზრებს, ჩვენ ჩვენი მწარმოებელთა სრული განადგურების მოწმენი შევიქნებით, ვინაიდან ჩვენ არ შევძლებთ ბრძოლა იმ ფასებთან, რომლებსაც საბჭოები აწესებენ.**

საჭიროა გავერთიანდეთ **ბრიანის** მიერ წამოყენებულ პან ევროპიული ფედერაციის შესაქმნელად. რუსეთის საფრთხე წარმოადგენს იმ სტიმულს, რომელიც მას აკლდა. მაგრამ მთელი მსოფლიოს მრეწველობის და ფინანსისტების მთავარი, გადაუდებელი მოვალეობაა—შეაჩერონ ტეხნიკოსების, **კაპიტალების და მანქანების** დენა მოსკოვისაკენ, რასაც უკანასკნელ თვეებში ვამჩნევთ.

„იზვესტია" თავის მოწინავეში სათაურით „ინტერვენციის აპოლოგია"—იძლევა „ტან"-ის გამოსვლის ამომწურავ შეფასებას. „იზვესტია" აღნიშნავს, რომ „ტან"-ის წერილი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ამ წერილში, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე, მოცემულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების გაერთიანებული გამოსვლის აუცილებლობის აშკარა არგუმენტაცია. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოვებულ გაზეთიდან ჩვენ მივიღეთ ავტორიტეტული განმარტება იმის შესახებ, რომ ბრიანის პან ევროპიული გეგმები მიზნად ისახავენ ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციას. ეკონომიური ბლოკადის განხორციელება წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, რომელმაც ომი უნდა მოამზადოს.

„სამრეწველო კაპიტალის" პროცესი დამთავრდა, რის გამო „ტან"-ის წერილი არ შეიძლება ამ საქმეს დაურთოთ, მაგრამ ჩვენ მას უმატებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციისა და ომის მომზადების ისტორიის დოკუმენტებს.

საკავშირო ცაკის მესამე სესია

გაიხსნება 1931 წლის 4 იანვარს

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის მეხუთე მოწვევის მესამე სესია გაიხსნება 1931 წლის 4 იანვარს კრემლში, 18 საათზე.

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმა 1931 წლისათვის (საკონტროლო ციფრები)—მომხსენებლები ამხ. მოლოტოვი-სკრიაბინი და კუიბიშევი.
2. საბჭოთა კავშირის მთლიანი საფინანსო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამხ. გრინკო.

საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენება საბჭოთა კავშირის 1931 წლის მთლიანი საფინანსო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ჩუცკაევი.

3. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების ღონისძიებათა შესახებ—მომხსენებელი ამხ. ციხონი.
4. საბჭოთა კავშირის საბჭოების მე-6 ყრილობის მოწვევის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ენუქიძე.
5. სესიებს შორის მიღებულ იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც, საბჭოთა კავშირის ცაკის სესიამ უნდა დაამტკიცოს — მომხსენებელი ამხ. მედვედევი.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი:
ენუქიძე.

100.000 უმუშევარი ფინეთში

ჰელსინგფორსი, 29 დეკემბერი. ეკონომიური კრიზისი მოედო ფინეთის მრეწველობის ყველა ძირითად დარგებს. ამასთან დაკავშირებით, სწრაფად იზრდება უმუშევრობაც. ნოემბრის დამლევს უმუშევართა რიცხვმა სამჯერ გადააჭარბა მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევს რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა რიცხვს და შვიდჯერ გადააჭარბა წარსულ წლის სათანადო ციფრს. უმუშევართა საერთო რიცხვი ფინეთში დაახლოვებით 100 ათას კაცს უდრის(ადს).

კომკავშირის მე-9 საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საკ. ა.ლ.კ.კ. მე-9 საკავშირო ყრილობა გაიხსნება 1931 წლის 15 იანვარს მოსკოვში.

დღის წესრიგი:

მოხსენება საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ.

ს.ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში—მომხსენებელი ამხ. კოსარიოვი და თანამოხსენება ნაციონალურ კულტურულ მშენებლობაზე საბჭოთა კავშირში და საკ. ა.ლ.კ.კ ამოცანებზე—თანამომხსენებელი ამხ. ჯავახიძე.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება—მომხსენებელი ამხ. ფურლეტოვი.

მოხსენება საკ. ა.ლ.კ.კ. დელეგაციის ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომში—მომხსენებელი ამხ. ხითაროვი.

საკოლმეურნეო მშენებლობა და კომკავშირის ამოცანები სოფლად—მომხსენებელი ამხ. სალტანოვი.

ბავშთა შორის მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. ხვერიანოვა. არჩევნები.

ამხ. კრჟიჟანოვსკის

დაჯილდოება ლენინის ორდენით

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა—საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ლენინის ორდენით დააჯილდოვოს ამხ. **გლებ მაქსიმილიანეს ძე კრჟიჟანოვსკი,** რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის გეგმის (ეს გეგმა ედო საფუძვლად ელექტროფიკაციის, რასაც ეხლა წარმატებით ახორციელებენ მშრომელნი) და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენას.

დანიშვნები

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა: რადგან ამხ. **ნიკოლოზ პეტრეს-ძე გორბუნოვი** გადავიდა სამუშაოდ საკავშირო ს.მ.უ. საბჭოში (კარპოვის სახელობის ქიმიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ), განთავისუფლდეს იგი საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან (ადს).

მოსკოვი, 30 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა—დანიშნოს ამხ. **პლატონ მიხეილის ძე კერჟენცევი** საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველად (ადს).

სატრაქტორო ცენტრის 1931 წლის საწარმოო პროგრამა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 29 დეკემბრის დადგენილება

მოსკოვი, 30 დეკემბერი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის პირველი წლის შედეგებმა სავსებით დაადასტურეს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახით მასიურ გამოცდილებაზე გამოაშკარავებულ და შემოწმებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე ისეთი მსხვილი კოლექტიური სასოფლო მეურნეობის მოწყობის ფორმა, რომელშიაც ყველაზე უფრო სრულად შეთანხმებულია კოლმეურნეთა მასების თვითმოქმედება თავიანთი კოლექტიური მეურნეობის მშენებლობაში პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანიზაციულ და ტეხნიკურ დახმარებასა და ხელმძღვანელობასთან.

ამასთან დაკავშირებით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნა და განმტკიცება ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს ყველა პარტორგანოებს სამანქანო სატრაქტორო სადგურების როლის არასათანადოდ შეფასების წინააღმდეგ,—სადგურების, რომლებიც, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენენ.

ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. კოლმეურნეობებისათვის დანიშნული ტრაქტორების მთავარი ნაწილი მოხმარდეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოწყობას, რათა 1931 წლის დამლევისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი აყვანილ იქნას 1.400-დე ისეთი სატრაქტორო პარკით, რომელსაც 980 ათასი გამწევი ძალა ექნება, აქედან 1931 წლის გაზაფხულზე უნდა არსებობდეს 1.105 სამანქანო-სატრაქტორო სადგური და სატრაქტორო პარკი 692 ათასი ძალით.

საკავშირო მიწსახკომმა და სატრაქტორო ცენტრმა 1931 წლის გაზაფხულზე უზრუნველყონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებით გაზაფხულის ნათესი 18 მილიონ ჰექტარის ფართობზე.

2. სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მშენებლობის, ამ ბოლშევიკურ გეგმის შესრულება, რომელიც დიდ კაპიტალურ ხარჯებს მოითხოვს, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, სახელმწიფოს მნიშვნელოვან დაბანდებებთან ერთად, ამ საქმეს მოხმარდება აგრეთვე კოლმეურნეების და გლეხური მოსახლეობის სახსრები. ამისათვის საჭიროა მასიური ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლა სატრაქტორო ცენტრის აქციების გასავრცელებლად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობა ყოველ რაიონსა და მხარეში უნდა განხორციელდეს მჭიდროდ იმასთან დაკავშირებით, თუ რა მონაწილეობას ღებულობს მასში მოსახლეობა თავისი სახსრებით.

3. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობების ხელშეკრულებათა დადების კამპანია და თვით ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ორგანიზაცია გაშლილ უნდა იქნას, როგორც მნიშვნელოვანი სამეურნეო და პოლიტიკური კამპანია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობებისაკენ დაწყებული ლტოლვის გადაქცევა ნამდვილად მასიურ ლტოლვად, რომელშიაც ჩაებმებიან მეურნეობათა ათეული მილიონები და, რომელიც უზრუნველყოფს ახალი სერიოზული ნაბიჯის გადადგმას წინ, მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის გზაზე.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ გლეხებთან ხელშეკრულებების დადების დროს მიზნად უნდა იქნას დასახული ყველა იმ ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობათა გაერთიანება არტელებში, რომლებსაც სამსახურს უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, და იმ მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობათა გადასვლა არტელების წესდებაზე, რომელთაც სამსახურს უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება ჩამორჩენილი რაიონებისათვის, სელისა და მებამბეობის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის.

ამასთან ძველი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში გაძლიერდეს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების (მემინდვრეობის გარდა), განსაკუთრებით მეცხოველეობის შემდგომი განსაზოგადოება და ნებაყოფლობით საფუძველზე არტელების გადასვლა საკოლმეურნეო მოძრაობის უმაღლეს საფეხურზე, რაც სასტიკად უნდა შეეფარდოს კოლმეურნეების ნამდვილი შეგნების ზრდას და მათ მიერ კოლმეურნეობათა უმაღლესი ფორმების უპირატესობების გაგებას.

4. საკმაოდ არ არის შესრულებული ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი დირექტივა იმის შესახებ, რომ გამწევი ძალის მწვავე ნაკლებობის გამო, საჭიროა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ტრაქტორის გამწევი ძალის შეთანხმება მთელი ცოცხალი გამწევი ძალის და კოლმეურნეობათა ინვენტარის სრულ რაციონალურ გამოყენებასთან.

ცენტრალური კომიტეტი კვლავ აღნიშნავს, რომ აუცილებელია გადაუხრელად შესრულდეს მიწსახკომის და სატრაქტორო ცენტრის მითითებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, ტრაქტორების გამოყენებასთან ერთად, უფრო მეტად გამოყენებულ იქნან ცხენები, რაც საწარმოო დავალებათა ნამდვილად შესრულების აუცილებელი პირობაა; გადაუხრელად უნდა განხორციელდეს პრაქტიკაში აგრეთვე კოლმეურნეობების მიერ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან დადებული ხელშეკრულების მე-18 მუხლი, რომლის ძალითაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურის თანხმობის გარეშე კოლმეურნეობებს ეკრძალებათ ცხენების გაყიდვა.

5. მარცვლეული და ტეხნიკური კულტურების ნათესების საგრძნობლად გაფართოება, რაც მთლიანი კოლექტივიზაციის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობის გაშლის შედეგია, ყველაზე უფრო ვიწრო ადგილად ხდის მთელს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოსავლის აკრეფის გადაზიდვის და პირვანდელ გადამუშავების პროცესებს. ამასთან დაკავშირებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა-მშენებლობის ცენტრალურ ამოცანას ეხლანდელ პერიოდში წარმოადგენს მანქანების დამზადება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის აკრეფის და პირვანდელი გადამუშავების მექანიზაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს 1931 წლის აკრეფის კამპანიისათვის დაუყოვნებლივ მზადების საჭიროებას და წინადადებას აძლევს სატრაქტორო ცენტრს—ნამდვილად უზრუნველყოს ხელშეკრულების იმ პუნქტების განხორციელება, რომელიც ეხება კოლმეურნეობათა ყველა რთული ასაკრეფი მანქანების და რთული სალეწი მანქანების მუშაობის მართვას და ორგანიზაციას. მომავალში კოლმეურნეობებისათვის დანიშნულ ყველა ასაკრეფი მანქანები და სალეწი მანქანები სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საჭიროების სავსებით დაკმაყოფილებამდე გადაეგზავნოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

6. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების შესაძენად დიდძალ სახსრების დახარჯვა მოითხოვს მაქსიმალურად ფრთხილ დამოკიდებულებას მანქანებისადმი და მათდამი დაუდევარ და ვულგარულ მოპყრობის ყოველი შემთხვევის გადაჭრით აღმოფხვრას. ცენტრალური კომიტეტი გადაუდებელ საჭიროებად სთვლის საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ სპეციალური კანონის გამოცემას, რომელიც გაითვალისწინებს სასჯელს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობისათვის. საკავშირო მიწსახკომმა და სატრაქტორო ცენტრმა უნდა გამოსცენ და ფართოდ გაავრცელონ სპეციალური ინსტრუქცია წესების შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყრან სასოფლო-სამეურნეო იარაღს, პირველ რიგში კი ტრაქტორებს და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

7. უზრუნველყოფილ იქნას საკავშირო მიწსახკომის კოლეგიის 1930 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში სამანქ.-სატრაქტ. სადგურების ტრაქტორისტების, მექანიკოსებისა, აგროტეხნიკური პერსონალის და დირექტორების საჭირო კადრებით შევსება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დირექტორების შერჩევას მუშაობის დიდი პრაქტიკული და ორგანიზაციული გამოცდილების მქონე გამობრძმედილ პარტიულებიდან, რომლებიც შესძლებენ სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის და პარტიული ხაზის განხორციელების უზრუნველყოფას საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზაციაში. 15 თებერვლისათვის გამოიყოს იმ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს 1.000 დირექტორი, რომლებიც მოეწყობა 1932 წელს, რათა მათ 1931 წლის განმავლობაში იმუშაონ როგორც არსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების თანაშემწეებმა.

8. აღნიშნოს პურის დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება და საქონლიანობის საგრძნობი გადიდება იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ემსახურებიან, რაც წარმოადგენს პურის დამზადების კამპანიაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უდიდესი ორგანიზაციულ-ტეხნიკური მნიშვნელობის შედეგს, და საჭიროდ იქნას ცნობილი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, როგორც კოლმეურნეობათა განსაზოგადოებული საქონლიანი პროდუქციის უშუალოდ სახელმწიფო შესაგროვებელ პუნქტებისა (მარცვლეულ), შაქრის ქარხნებისა (ჭარხალი) და სხვებისათვის ჩაბარების ორგანიზატორების, მუშაობის ყოველნაირად განმტკიცება.

9. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ოპერატიულ-სამეურნეო მუშაობაში ჩაურევლობის შესახებ ცენ. კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების მთელ რიგ უხეშ დარღვევას. ცენტ. კომიტეტი გაფრთხილებას იძლევა, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, როგორც მტკიცე გეგმის და ხელმძღვანელობის მკვრივ ერთმმართველობის საფუძველზე მომუშავე სოციალისტური საწარმოებისა, ტეხნიკური ბაზის, დაქუცმაცების ყოველნაირი ცდა ტრაქტორების სხვაგან გადაგზავნით და მათი მუშაობის დეზორგანიზაციით შეთავსებული იქნება, როგორც პარტიის უმნიშვნელოვანესი დირექტივების პირდაპირი დარღვევა, რომლის წინააღმდეგაც გაძლიერებული ბრძოლა იქნება წარმოებული, სამანქ.-სატრაქტ. სადგურების მუშაობის ამ დეზორგანიზატორების თვით პარტიიდან გამორიცხვამდე. თავის მხრივ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები ვალდებულნი არიან გადაუხრელად გაატარონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველა დირექტივები, რომლებიც მიმართულია სატრაქტორო ცენტრის მიერ განსაზღვრული საწარმოო პროგრამის საუკეთესო შესრულებისაკენ.

ხვალიდან ვიწყებთ ═ ხუთწლედის მესამე და გადამწყვეტი წლის ═ გეგმისათვის ბრძოლას

მრეწველობის მთავარი დარგები გამარჯვებით გადადიან ხუთწლედის დამკვრელ წელში

შრომის ფრონტზე ბრძოლის მოწინავე რიგებში მიდიან:

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა, თბილისის მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, სპილენძის სატკეცი ქარხანა, № 1-ლი ტყავის ქარხანა, ფეხსაცმელების ფაბრიკა, თელავის, ოზურგეთის, ხონის და ქუთაისის ძაფსახვევი ფაბრიკები და ჭიათურის მაღაროები,

ტემპებს ჩამორჩნენ:

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ტყიბულის მაღაროები, აჭარისტანის მრეწველობა, თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკა, ანდეზიტის წარმოება, მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა და ხე-ტყის სახერხი ქარხნების უმრავლესობა, რომლებმაც დამკვრელი კვარტალის გეგმა შეასრულეს მხოლოდ 20-დან 80 პროცენტამდე.

ოპერატიული ცნობები

ამართლებენ დამკვრელობის სახელს

ფოთი, 30 დეკემბერი. (საქ. კორ.). ფოთის ლიმონათის ქარხანას განსაკუთრებულ კვარტალში გეგმით უნდა გამოეშვა 90000 ბოთლი გაზიანი წყლები, დღემდე გამოშვებულია 115047 ბოთლი. გეგმა ქარხანამ შეასრულა 4 დეკემბერს დღის 12 საათზე. წისქვილს უნდა დაემუშავებია 150000 კ.-გ. მარცვლეული, დღემდე დამუშავებულია 163547 კ.-გ. გეგმა წისქვილმა შეასრულა 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. სტამბას უნდა დაემუშავებია 4000 მანეთის ღირებულების სამუშაო, დღემდე შესრულებული აქვთ 4196 მანეთის, ანუ 4-6 პროცენტით გადაჭარბებით. ტყავის ქარხანას უნდა დაემზადებია 4500 კ.-გ. ტყავი, დღემდე გამოშვებულია 4675 კ.-გ. ანუ 3-9 პროცენტით გადაჭარბებით. ფოთის ხე-ტყის ქარხანაში უნდა გამოემუშავებიათ 2120 კ.-გ. მასალა, დღემდე გამომუშავებულია 2050 კ.-გ. ანუ გეგმის 96,7 პროცენტი. ყულევის ხე-ტყის ქარხანას უნდა გამოემუშავებია 1825 კგ. მასალა, დღემდე გამომუშავებულია 1591 კ.-გ. ანუ გეგმის 77,1 პროცენტი. ასე რომ, ფოთის წარმოების მუშები ღირსეულად ამართლებენ დამკვრელების სახელწოდებას.

გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული

ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანამ სამგზავრო ვაგონების შეკეთების გეგმა შეასრულა 27 დეკემბრისათვის. გეგმით მთელი კვარტალის განმავლობაში გამოშვებული უნდა ყოფილიყო 42 სამგზავრო ვაგონი. უკვე გამოშვებულია 44. პერიოდული შემოწმება უნდა მოეხდინად 131 ვაგონზე — მოახდინეს—132 ვაგონის შემოწმება. საკონვენციო რემონტიდან უნდა გამოეშვათ 810 ვაგონი, გამოუშვეს 848 ვაგონი.

30 და 31 დეკემბრის განმავლობაში დამთავრდება დამატებით 20 ვაგონის შეკეთება.

სამი ორთქლმავალი მეტი

განსაკუთრებული კვარტ. განმავლობაში ამხ. სტალინის სახ. სარემონტო ქარხანას უნდა გამოეშვა 28 ორთქლმავალი კაპიტალური რემონტიდან და საშუალო რემონტიდან—48 ორთქლმავალი. 29 დეკემბრისათვის კაპიტალური რემონტიდან გამოშვებული იყო 26 ორთქლმავალი და საშუალო რემონტიდან 47.

30 დეკემბერს ქარხანამ უკვე დაამთავრა დანარჩენი ორთქლმავლების გამოშვება. 30 და 31 დეკემბერს ქარხანაში დამთავრებული იქნება 3 ახალი ორთქლმავლის გამოსაშვებად დაწყებული მუშაობა. აქედან 2 ორთქლმავალი გამოდის კაპიტალური რემონტიდან, ხოლო 1 ორთქლმავალი საშუალოდან.

ბრძოლა მარგანეცისათვის

(ჭიათურა, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მღვიმევის სექცია

მღვიმევის სექციამ ქვის გარეცხვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

№ 27 ქარხანას გეგმით უნდა გაერეცხა 1393 ტონა, ფაქტიურად გარეცხილი იქნა 1449,8 ტონა. გეგმა შესრულებულია 104,1 პროცენტით.

№ 33 ქარხანას ორცვლიანი მუშაობით უნდა გაერეცხა 1393 ტონა, ერთცვლიან მუშაობით ქარხანამ გარეცხა 1091,8 ტონა. გეგმა შესრულა ერთცვლიან მუშაობით 156,8 პროცენტით.

გამოღების გეგმა გადაჭარბებით სრულდება. მღვიმევის სექციაში მხოლოდ № 36 მაღარო აწარმოებს მუშაობას, რომელმაც **გამოღების გეგმა შეასრულა 109,8 პროცენტით.** მაღაროს გეგმით უნდა გამოელო **5555,48 ტონა, ფაქტიურად გამოღებული იქნა 6100,8 ტონა.** შრომის ნაყოფიერებაც გაიზარდა წარსულთან შედარებით.

რგანის სექცია

რგანის სექციას გასარეცხად მიღებული ქონდა 21 დეკემბრამდე 33.210 ფ. ფაქტიურად გარეცხილი იქნა 39.000 ფუთი. გეგმა შესრულებულია 117 პროცენტით.

სექციას დეკემბრის თვეში უნდა გამოელო **891300 ფ.** შავი ქვა. ფაქტიურად 2 დეკადაში გამოღებული **იქნა 300.726 ფუთი. გეგმა შესრულებულია 67,2 პროცენტით.**

პერევისის სექცია.

პერევისის სექციას დეკემბრის მთელ თვეში უნდა გამოელო 60.832 ტონა. მხოლოდ ორ დეკადაში ამოღებული იქნა 24.014 ტონა. სექციას მთელი თვის გამოსაღები ქვა ორ დეკადაში შესრულებული აქვს 71,85 პროც.

გეგმით სექციას მთელ თვეში, დეკემბერში უნდა გაერეცხა 35.415 ტონა, ორ დეკადაში გარეცხილი იქნა 19.114 ტონა. მთელი თვის გეგმა ორ დეკადაში შესრულებულია 54.11 პროცენტით.

შავი დაფის კანდიდატები

№ 29-30 ქარხნებმა გეგმა ვერ შეასრულეს. დეკემბრის ორ დეკადაში ქარხნებმა მთელი თვის გეგმის მხოლოდ 49 პროცენტი შეასრულეს.

№ 17 მაღარომ გამოღების გეგმა ვერ შეასრულა. 21 დეკემბრამდე დავალება შესრულებულია 56 პროცენტით.

№ 29-30 მაღაროებმა გეგმა ვერ შეასრულეს. დეკემბრისთვის გეგმა 21 დეკემბრამდე შესრულებულია მხოლოდ 51 პროცენტით.

ხერ მეტრი.

დამკვრელი ტემპებით

ვხვდებით ახალ სამეურნეო წელს

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 3 სექტემბრის მიმართვის დამუშავებამ გააძლიერა ტემპები, განსაკუთრებით იმ საწარმოებში, რომლებიც ჩამორჩნენ 1929-30 წელს.

დამკვრელ კვარტალში მუშების, პროფკავშირების და სამეურნეო ორგანოების წინაშე დაისახა კონკრეტული ამოცანა: არ შეამცირონ სექტემბერში აღებული ტემპები, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული ხუთწლედის გადამწყვეტი მესამე წლის პროგრამის შესრულება. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ შეასრულა გეგმა და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ხუთწლედის ოთხ წელში შესრულება არის არა უბრალო ლაპარაკი, არამედ სრული რეალობა და მუშათა კლასის სიძლიერის მაჩვენებელი, რომელმაც კარგად იცის რისთვის იბრძვის იგი. განსაკუთრებულ კვარტალში მრეწველობის მუშაობას ახასიათებს ის, რომ თითქმის სრულიად არ ისმის საყვედური ეგრედწოდებულ „ობიექტიურ მიზეზების" შესახებ. ეხლა გაცილებით უფრო მაღალი ტემპები იყო აღებული, ვიდრე ხუთწლედის პირველ და მეორე წელს.

დამკვრელ კვარტალში მრეწველობის არც ერთ დარგში არ ჰქონია ადგილი ლაპარაკს „ობიექტიურ პირობებზე", რომლებიც ხელს უშლიან პროგრამის შესრულებას. მრეწველობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგშიაც კი—ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, — როცა მუშებმა დაინახეს საწარმოო პროგრამის ჩაშლის მიზეზები, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მომარაგების მოგვარებას, რაზედაც იყო დამოკიდებული საწარმოთა მუშაობა. დამკვრელმა კვარტალმა დაამუშავა 1931 წ. სამრეწველო საფინანსო გეგმა.

ჩვენში დღეს, არ არის ისეთი საწარმო, რომელსაც თავის მუშაობის, თავის დაზგის ღრმა შესწავლით არ გამოეაშკარავებია თავისი საწარმოს დაფარული ძალა, არ გამოენახა ხუთწლედის გადამწყვეტ წელში პროდუქციის გამოშვების საგრძნობლად გადიდების შესაძლებლობა.

სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობაში მუშათა ახალი ჯგუფები ჩაებნენ. „საზოგადოებრივი ბუქსირი", რომელიც ხუთწლედის მეორე წლის დამლევს დაიწყო, დამკვრელ კვარტალში განვითარდა როგორც მუშაობის მაღალი ტემპების დროს მუშათა საზოგადოებრივი დახმარების აუცილებელი ფორმა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი ჩვენი საწარმოთა, განსაკუთრებით საგეგმო და მომწესრიგებელ ორგანოების მუშაობა. დეფექტები ბევრია, მაგრამ ეს დეფექტები გამოაშკარავებულია და ისინი აღმოიფხვრება.

დამკვრელმა კვარტალმა გვიჩვენა, რომ ხუთწლედის ოთხ წელში განხორციელება სავსებით შესაძლებელია.

1-ლ იანვარს დაზგასთან

დამკვრელთა მეორე დღეს, მე ნიკოლოზ ციცაგი, მე-3 სტამბის (ახლა 1-ლი სტამბა) ყოფ. მუშა ვაცხადებ, გამოვცხადდე 1-ლ იანვარს დილის 8 საათზე ამ სტამბაში სამუშაოდ და ვიწვევ ამავე სტამბიდან დაწინაურებულ მუშებს სოცშეჯიბრში: აკაკი ფანცულაიას (საბჭ. სავ. მუშაკთა კავშირი), ჭიჭინაძე ალექსანდრე (ტეჟე), კაიტამჯიანცი სტეფანე, ზურაბოვი არუთინი (ა-კ. ცაკი) და ზურაბოვი ალექსანდრა.

დაწინაურებული მუშა ნიკოლოზ
ციცაგი

ვინ უნდა იქნეს შეტანილი წითელ დაფაზე

საწარმოები, რომლებმაც შეასრულეს დამკვრელი კვარტალის გეგმა

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 23 დეკემბერს შეასრულა მარგანეცის ამოღების და გარეცხვის პროგრამა.

თბილისის ახალმა აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ გეგმა შეასრულა 3 პროც. გადაჭარბებით. 1929-30 წელს, ფაბრიკამ გეგმა ვერ შეასრულა მთლიანად.

თბილისის მაუდის ფაბრიკამ „საბჭოთა საქართველო" შეასრულა დამკვრელი კვარტალის გეგმა და გამოუშვა 150 ათასი მეტრი მზა პროდუქცია. მთელი 1929-1930 წლის განმავლობაში ფაბრიკამ გამოუშვა მხოლოდ 250 ათასი მეტრი.

№ 1 ტყავის ქარხანამ დაამზადა 19.500 ტყავი. საწარმოო პროგრამა ყველაზე უწინ—25 დეკემბრისათვის შეასრულა სანაცრო განყოფილებამ.

ტყავტრესტის ფეხსაცმელების ფაბრიკამ გამოუშვა 250.200 წყვილი მზა ფეხსაცმელი. მთელი 1929-30 წ. განმავლობაში ფაბრიკამ გამოუშვა 615 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა. მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული კვარტალის გეგმის შესრულებას ოქტომბერ-ნოემბერში ბევრი აკლდა (ნედლეულის და მასალის უქონლობის გამო), **დეკემბერში მთელმა ქარხანამ გმირული მუშაობის ტემპები გამოიჩინა.** ყველაზე უწინ—24 **დეკემბერს—საწარმოო პროგრამა შეასრულა სასწორების საამქრომ.**

თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.
ხონის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.
ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.
ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.
შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.
ახალდაბის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.
ახალციხის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.
ბათომის ცენტრალური ხის დამმუშავებელი ქარხანა.
თბილისის ამხ. სუხიშვილის სახ. ლითონის სატკეცი ქარხანა.
ქსანის აგურის ქარხანა.
შროშის აგურის ქარხანა.

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლების და ვაგონების სარემონტო ქარხანა დამკვრელ კვარტალში საბჭოთა კავშირის მოწინავე სარემონტო ქარხნების გვერდით იდგა. საწარმოო პროგრამა ყველაზე უწინ შეასრულეს ჩამომსხმელმა, სახარატო-საბორბლე, სახარატო და ამწყობმა საამქროებმა.

ვინ არ შეასრულა დამკვრელი კვარტალის პროგრამა

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროებმა დამკვრელი კვარტალის გეგმა შეასრულეს 75 პროცენტით. ჩამორჩენის მიზეზია—ადმინისტრაციის მოუმზადებლობა პროგრამის შესასრულებლად, მაღაროების არასაკმაო მომარაგება მასალებით და მუშა-ხელით. მაღაროების კომიტეტს არ გაუშლია მუშაობა დამკვრელობის და სოცშეჯიბრების გასაძლიერებლად.

ყაზბეგის ანდეზიტის სამუშაოებზე გეგმა 50 პროცენტითაც არ არის შესრულებული.

პროგრამა აგრეთვე არ შეუსრულებიათ:

ქუთაისის აბრეშუმის ძაფ-სალეგ ფაბრიკას.

თბილისის ბამბის საქსოვ ფაბრიკას; უკანასკნელი გეგმის შესრულებაში ჩამორჩა 5-8 პროცენტით, ვინაიდან ამიერ-კავკასიის საფეიქრო ტრესტმა ფაბრიკაში ტეხნიკური გაუმჯობესება ვერ შეიტანა.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკას.

მარელისის გრეხილი ავეჯეულის ფაბრიკას.

თბილისის ავეჯეულის და სადურგლო ფაბრიკას.

თბილისის ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

თბილისის ფანერის სახერხ ქარხანას.

კოდორის (აფხაზეთი) ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

საჭილაოს ხე-ტყის სახერხ ქარხანას.

რიონის ჰიდროსადგურის მშენებლობას.

თბილისის მექანიკური ქარხნის მშენებლობას.

საგარეო და საშინაო მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივნის ამხ. ს. მამულიას მოხსენება საქ. ა. ლ. კ. კ. მეათე ყრილობაზე 27 დეკემბერს

გარდატეხის პერიოდი

ჩვენ ვიმყოფებით საპასუხისმგებლო და თავისი შინაარსით მდიდარ მომენტში.

18 წელია, რაც ერთმანეთს ებრძვის ორი ქვეყანა—სოციალისტური და კაპიტალისტური.

ამ ორი ქვეყნის ერთმანეთთან ბრძოლა ისეთ გამოცდილებას იძლევა, საიდანაც არა თუ შეგნებულ პროლეტარს, არამედ ჩამორჩენილ მუშასაც კი არ გაუჭირდება გააკეთოს დასკვნა, თუ რით უნდა დამთავრდეს ეს ბრძოლა.

უკანასკნელი პერიოდი პირველ ისტორიულ ჯამს უკეთებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთ ბრძოლას.

ამ შეჯამებას ეს ორი ქვეყანა მიჰყავს ორ სხვადასხვა საზღვრამდე—ერთი მათგანი აუცილებელ გამარჯვებამდე, ხოლო მეორე—აუცილებელ დაღუპვამდე.

ჯერ კიდევ ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობამ ეს პერიოდი საერთაშორისო განვითარების საქმეში სცნო გარდატეხის პერიოდათ, როგორც კაპიტალისტური მსოფლიოსათვის, ისე სოციალისტური ქვეყნისათვისაც, მხოლოდ სხვადასხვა, ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით.

„თუ დავახასიათებთ ორი სიტყვით წარსულ პერიოდს“,—ამბობდა ამხ. სტალინი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე,—„შეგვეძლო გვეწოდებინა მისთვის გარდატეხის პერიოდი, ის იყო გარდატეხის პერიოდი არა მარტო ჩვენთვის, საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც. მაგრამ ამ ორ გარდატეხას შორის არსებობს ძირითადი განსხვავება. იმ დროს, როდესაც ეს გარდატეხა საბჭოთა კავშირისათვის ახალი, უფრო სერიოზული ეკონომიური გაძლიერებისაკენ გადახრას ნიშნავდა, კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ეს გარდატეხა ეკონომიურ დაცემას წარმოადგენდა. ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც თანდათან იზრდება სოციალისტური მშენებლობა. იქ კი, კაპიტალისტურ ქვეყნებში, მრეწველობაშიაც და სოფლის მეურნეობაშიაც თანდათან იზრდება ეკონომიური კრიზისი“.

ცოცხლად ლპება და იხრწნება კაპიტალიზმი

კაპიტალისტურ წესწყობილებაში არსებობს ბევრი წინააღმდეგობანი; მათ შორის არის ერთი წინააღმდეგობა, რომელიც საბოლოოდ წყვეტს და განსაზღვრავს კაპიტალიზმის ბედიღბალს.

ეს არის წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კაპიტალისტურ ხასიათს შორის.

ამ ძირითად წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს მეორე წინააღმდეგობა: ეს არის წინააღმდეგობა წარმოების თანდათან ზრდასა და ხალხთა მასების მოხმარების დაბალ დონეს შორის, ანუ დისპროპორცია საწარმოო შესაძლებლობათა დონესა და სყიდვითი უნარიანი მოთხოვნილების ვიწრო ბაზისს შორის.

ამ წინააღმდეგობათა გამოხატულების დონე კაპიტალიზმის განვითარების ისტორიაში სხვადასხვა იყო.

ამ წინააღმდეგობათა გამწვავება ბადებდა კრიზისებს, რომელიც კაპიტალიზმის აუცილებელ თანამგზავრს წარმოადგენდა და თავს იჩენდა პერიოდულად.

და აი, კაპიტალიზმის ომის შემდგომ განვითარებას მე-12 წლის თავზე შედეგად მოჰყვა ამ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავება.

კაპიტალისტური წესწყობილების ამ ძირითად წინააღმდეგობათა ასეთ გაფართოებულ ზრდას შედეგად მოჰყვა ის ეკონომიური კრიზისი, რომელიც დაიწყო ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში—ჩრდილო - ამერიკის შეერთებულ შტატებში, დაახლოებით 1929 წლის მეორე ნახევარში, ფინანსიური კრიზისით, შემდეგ გადაიქცა სამრეწველო კრიზისად, ხოლო ბოლოს—საერთო ეკონომიურ კრიზისად და მოედო კიდით-კიდემდე მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს.

ამ მსოფლიო კაპიტალისტურ კრიზისით ბოლო ელება „კაპიტალიზმის სტაბილიზაციას“.

ამ კრიზისთან ერთად სრული გაკოტრება განიცადა ყოველივე ლაპარაკმა კაპიტალიზმის „აყვავების“ შესახებ, პირველ რიგში—ამერიკული კაპიტალიზმის „აყვავების“ შესახებ.

ამ კრიზისმა პირქვე დაამხო ამხ. ბუხარინის თეორიაც „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ შესახებ.

ამ კრიზისმა დაამსხვრია აგრეთვე მემარჯვენე ლოვსტონის (ამერიკის კომპარტიიდან) მტკიცებაც იმის შესახებ, რომ „უოლსტრიტის პანიკა შედეგად არ მოჰყოლია ამერიკის კაპიტალისტური მეურნეობის შესუსტებას; იგი წარმოადგენს ამერიკული კაპიტალისტური მეურნეობის ნამდვილი ძალონის გამოხატულებას“ და სხვ. (რენეგატ ლოვსტონის წერილიდან ამერიკის კრიზისის დასაწყისის მომენტში. „რევოლიუციონერი ეიჯი“; 15 ნოემბერი, 1929 წელი).

ამ კრიზისმა ასეთივე ბედი არგუნა აგრეთვე რენეგატ ჰილბუმის (შვეციის კომპარტიიდან) წინასწარმეტყველებასაც იმის შესახებ, რომ „შვეციის კაპიტალიზმისათვის კვლავ ოქროს ხანა დადგა... და მუშათა შეგნებული ან შეუგნებელი მოტყუება იქნებოდა, ჩვენ რომ გვეთქვა მათთვის, რომ შვეციაში კაპიტალისტური სისტემა მერყეობს, რომ ახლოვდება ეკონომიური კრიზისი“... (რენეგატ ჰილბუმის წერილიდან, სექტემბერი, 1929 წელი).

კრიზისმა წარმოების დაცემა გამოიწვია

კრიზისს შედეგად მოჰყვა წარმოების ძლიერი დაცემა ყველა კაპიტ. ქვეყნებში მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში სახ. მეურნეო ზრდის ტემპების ყოველწლიურად გაძლიერების მეოხებით პრაქტიკულად ხორციელდება დიდი მასწავლებლის—ლენინის ისტორიული ანდერძი: „უახლოეს ისტორიულ დროში დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურად და ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს“.

ამ დროს, როდესაც ჩვენში მრეწველობის პროდუქცია 1929-30 წელს, 1928-29 წელთან შედარებით, 25 პროც. გაიზარდა, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი 1930 წლის სექტემბერში, 1929 წლის სექტემბერთან შედარებით, დაეცა 26 პროცენტით; გერმანიაში—1930 წლის ივლისში, 1929 წლის ივლისთან შედარებით 21 პრ., პოლონეთში—1930 წლის აგვისტოში, 1929 წლის აგვისტოსთან შედარებით—16 პროც.

1930 წლის ივნისმა კაპიტალისტურ ქვეყნებში, 1929 წლის ივნისთან შედარებით, ძირითად დარგებში პროდუქციის უდიდესი შემცირება მოგვცა. რკინის წარმოება შემცირდა: ინგლისში 15 პროც., გერმანიაში—25 პროც., ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში—21 პროც., ფოლადის წარმოება: ინგლისში—28 პროც., გერმანიაში—28 პროც., ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში—12 პროც.

საერთოდ პროდუქციის შემცირება ერთი წლის განმავლობაში უდრის 25 პროც., ხოლო საბჭოთა კავშირში დაახლოებით იმავე პერიოდში ჩვენ გვაქვს მძიმე მრეწველობის ზრდა 40 პროც.

კრიზისი და კაპიტალიზმის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობათა გამწვავება

კრიზისმა გამოიწვია უაღრესი გამწვავება ყველა წინააღმდეგობათა, რაც კაპიტალიზმის ბუნებას ახასიათებს:

წინააღმდეგობათა გამწვავება ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის;

წინააღმდეგობათა გამწვავება ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და მათ ჯგუფებს შორის;

წინააღმდეგობათა გამწვავება იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა, კოლონიებს და ნახევრად-კოლონიებს შორის.

წარმოების შემცირებასთან დაკავშირებულია უმუშევრობის ზრდა, რამაც ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში უაღრესად ფართო ხასიათი მიიღო.

მაშინ, როდესაც ჩვენში 1929—30 წელს მუშათა კლასის რიცხვი 16,2 პროცენტით გაიზარდა და უმუშევრობა უკვე მოისპო, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში მრეწველობაში დაბანდებული მუშების რიცხვი 1930 წლის სექტემბერში 28 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 1929 წლის იმავე თვეში.

უმუშევართა რიცხვი ამჟამად ჩრდილო-ამერიკაში 8.000.000 აღწევს.

გერმანიაში 1929 წლის სექტემბრიდან 1930 წლის სექტემბრამდე კავშირის წევრ უმუშევართა პროცენტი გაიზარდა 9,6 პროცენტიდან 22 პროცენტამდე, ე. ი. 1 მილ. მეტით. სულ უმუშევართა რიცხვი გერმანიაში 4 მილიონს სჭარბობს.

ინგლისში 1929 წლის სექტემბრიდან 1930 წლის სექტემბრამდე უმუშევართა პროცენტი გაიზარდა 10-დან 18-მდე და სხვ.

კრიზისის შესანელებლად და მსოფლიო ბაზარზე საკონკურენციო ბრძოლაში გასამარჯვებლად ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს სხვადასხვა რაციონალიზატორული ღონისძიებანი და გააფთრებით უტევს მუშების ხელფასს.

წარმოების კაპიტალისტური რაციონალიზაცია ქუჩაში ყრის მრავალ ასეულ ათას მუშას და ამასთანავე აუარესებს იმ მუშების შრომის პირობებს, რომელნიც წარმოებაში რჩებიან.

ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარეობს სამუშაო ხელფასის შემცირება, ასე, მაგალითად, ოფიციალური ცნობების მიხედვით, გერმანიაში 1930 წლის მხოლოდ 6 თვის განმავლობაში მუშათა კლასის რეალურმა შემოსავალმა 12 პროცენტით იკლო, ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში სამუშაო ხელფასი 1929 წლის მეორე კვარტალში 19 პროცენტით შემცირდა, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშების სამუშაო ხელფასის თანხამ 1929 წლის აგვისტოდან 1930 წლის აგვისტომდე 27 პროცენტით იკლო და სხვ.

ამასთან დაკავშირებით მუშათა კლასი მემარცხენდება, კომპარტიების ავტორიტეტი და გავლენა იზრდება, გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღები სულ უფრო ხშირად და უფრო ფართოდ არყევს კაპიტალისტურ ქვეყნების სიმტკიცეს.

ეკონომიური ბრძოლა სულ უფრო და უფრო მაღალ საფეხურზე ადის; იგი პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა. ეკონომიური ბრძოლის გამოცდილებიდან მუშები რწმუნდებიან, რომ პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის გარეშე ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაც შეუძლებელია.

პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი მუშათა კლასის წინაშე უშუალოდ დგება.

მილიონები ხმას აძლევენ პროლეტარიატის დიქტატურას, პროლეტარულ რევოლუციას.

4 ნახ. მილიონზე მეტმა პროლეტარმა გერმანიაში ხმა მისცა კომპარტიას რეიხსტაგის უკანასკნელ არჩევნების დროს და სხვ.

კრიზისი უშუალოდ აყენებს თვითეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს წინაშე საკითხს გასაღების ბაზრის გაფართოებისა და მსოფლიოს ახალი დაყოფის შესახებ.

უფრო და უფრო მწვავდება ბრძოლა ბაზრებისათვის ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის.

ეს ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს კაპიტალის ორ ვეშაპ შორის—ჩრდილო-ამერიკის შტატებსა და ინგლისს შორის, ხოლო შემდეგ საფრანგეთსა და იტალიას შორის.

ამის ასახსნელად მოვიყვანოთ რამდენიმე უკანასკნელი ცნობა: შეზიდვა ჩინეთში შეერთებული შტატებიდან 1928 წელს შეადგენდა 321 პროცენტს 1913 წელთან შედარებით, საფრანგეთიდან—407 პროცენტს, დიდი ბრიტანეთიდან — 212 პროცენტს და იაპონიიდან—260 პროცენტს.

ჩვენ ვხედავთ, რომ მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის რომელთა შეზიდვაც ჩინეთში არაჩვეულებრივად იზრდება, პირველი ადგილი ამ შეზიდვაში პროცენტული შეფარდებით უჭირავს შეერთებულ შტატებს და საფრანგეთს, თუმცა აბსოლუტური ციფრებით პირველი ადგილი უჭირავს იაპონიას, მეორე—დიდ-ბრიტანეთს და ბოლოს შეერთებულ შტატებს.

თუ 1913 წელს 100-ად ავიღებთ, დავინახავთ, რომ კანადაში დიდი-ბრიტანეთის ექსპორტი 1924 წელს გაიზარდა მხოლოდ 6,7 პროცენტით და 1929 წელს—46,6 პროცენტით, მაშინ, როდესაც ექსპორტი შეერთებული შტატებიდან 1924 წელს გადიდდა 38,1 პროცენტით, 1929 წელს კი—200 პროცენტით.

ასეთივე სურათი გვაქვს არგენტინის მიმართაც, სადაც თანაბარი ციფრები დიდი ბრიტანეთისათვის უდრის — 9 და 28 პროცენტს, ხოლო შეერთებულ შტატებისათვის —148 და 345 პროცენტს.

შემდეგ, თუ ავიღებთ ბალკანეთის ქვეყნებს, დავინახავთ, რომ აქაც ბრძოლას საფრანგეთსა და იტალიას შორის ეკონომიური საფუძველი აქვს, მაშინ,როდესაც ექსპორტი იტალიიდან ბალკანეთის ქვეყნებში იზრდება, ექსპორტი საფრანგეთიდან უაღრესად ჩამორჩენილია.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ბულგარეთი და სამხრეთ-სლავეთი, ექსპორტი იტალიიდან 1928 წელს დაახლოვებით ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთის ექსპორტს.

მზადება მსოფლიოს ახალი დაყოფისათვის წარმოადგენს ახალი დაპყრობითი ომისათვის მზადებას. ამას ვერ დამალავენ ვერავითარი „განიარაღების“ კონფერენციებით და ვერავითარი „პაციფისტური“ ლაყბობით, ვის ბაგიდანაც არ უნდა გვესმოდეს იგი. აქ ერთნაირ თვალთმაქცობათ და დანაშაულებრივ გაიძვერობათ ხვდება ჩვენს ყურთასმენას როგორც ქრისტეს მოყვარული მაკდონალდის ისე პაციფისტ ვანდერველდეს, „მშვიდობისმყოფელ“ ჰუვერის და პუანკარე— ომის სიტყვები.

კრიზისის შესამსუბუქებლად კაპიტალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ თავიანთ შეტევას კოლონიებისა და ნახევრად-კოლონიების წინააღმდეგ, რათა რაც შეიძლება მეტი წვენი გამოსწოვონ ამ დამონებულ ქვეყნებს, რომ ამით უმკურნალონ საკუთარ მომაკვდავ კაპიტალიზმს.

ამ შეტევის პასუხია ის ამბები, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს განსაკუთრებით ჩინეთსა, ინდოეთსა და ინდო-ჩინეთში.

ჩინეთისა და ინდოეთის ჩაგრული ხალხების ბრძოლა ახალ მაღალ საფეხურზე ავიდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალური ბრძოლიდან იგი იქცა ჩინეთის მშრომელთა ბრძოლად იმპერიალიზმის წინააღმდეგ და საკუთარ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციის წინააღმდეგაც საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

კრიზისიდან გამოსავლის ძიების პროცესში ხშირად წარმოიშობა ბრძოლა სხვადასხვა კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის და ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიებსა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

სხვა მიზეზებთან ერთად ამით აიხსნება კაბინეტების ხშირი კრიზისი სხვადასხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და აგრეთვე სხვადასხვა სეიმების დაშლა, გარეკვა და სხვ.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგათ ბურჟუაზია თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად სულ უფრო მეტად მიმართავს შიშველი ძალადობის და აშკარა დიქტატურის მეთოდებს, რაც თავის გამოხატულებას სახელმწიფო ხელისუფლების ფაშიზაციაში პოულობს, მაგალითად: ფაშიზაცია სამხრეთ ამერიკის, ავსტრიისა, რუმინეთისა, ფინლიანდიისა, იტალიისა, პოლონეთისა და სხვ.

კაპიტალის შეტევაში მუშათა კლასის, კოლონიების და ნახევრად-კოლონიების წინააღმდეგ და ბურჟუაზიის მიერ კრიზისიდან გამოსავლის ძებნაში სრულიად ნათელი გახდა მუშათა კლასისათვის სოციალ-დემოკრატიის როლი.

მუშათა კლასისთვის სავსებით ნათელია, რომ სოციალ-დემოკრატია არის ბურჟუაზიის მოკავშირე, ბურჟუაზიის აგენტურა მუშათა კლასში.

სოციალ-დემოკრატია სოციალ-ფაშისტურ პარტიად გადაიქცა. იგი აშკარად მხარს უჭერს ბურჟუაზიას პროლეტარიატისა და კოლონიალური ხალხების დამონების საქმეში (მოვიგონოთ ცერგიებელის მიერ მუშების დახვრეტა გერმანიაში და სხვ.).

სოციალ-დემოკრატიის ყურთასმენას ამშვიდებს ლოიდ-ჯორჯის შემდეგი [illegible] მაკდონალდის მთავრობის მოქმედების შესახებ:

„...უთუოდ უპირატესობით უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მთავრობა სდგას. ეს მეტის-მეტად ადვილებს ინგლისის საზოგადოებრივი აზრის შეკავშირებას მეფის მოადგილის დასახმარებლად მის ბრძოლაში, რომელიც მიმართულია ინდოეთში ანარქიის ჩასაქრობად“ („ნეიე ფრეიე პრესე“, 1930 წ., ივნისის 7).

ხედავენ რა სოციალ-დემოკრატიის ფაშისტურად გარდაქმნას, მუშები ზურგს აქცევენ მას და კომპარტიის ხელმძღვანელობით იმუშავებენ დამოუკიდებელი ბრძოლის ტაქტიკას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მხოლოდ სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტებს არ ესმით ეს და არც სურთ ამის გაგება.

ასე, მაგალითად, შემარიგებელთა განცხადებაში ევერტის მეთაურობით, რომელიც წარედგინა გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობას (1929 წლის ივნისში), ნათქვამია შემდეგი: „მარქსისტული არ არის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართულ ჩაგვრის ყველა ღონისძიებებს უწოდეთ ფაშიზმი და სოციალ-დემოკრატიის ყოველგვარ მონაწილეობას ჩაგვრის ასეთ ღონისძიებებში—სოციალ-ფაშიზმი“.

იმავე პოზიციას ადგია ფაქტიურად ტროცკიც:

„არაფრად ვარგა ის კომუნისტი, რომელიც სდგას ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის შეჯახების წინაშე და ფარავს ამ შეჯახებას სოც.-ფაშიზმის შიშველი ფორმულით, რომელსაც არავითარი შინაარსი არ გააჩნია“ („Бюллетень оппозиции“, 1929 წლის, ნოემბერი-დეკემბერი).

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ტროცკი მხარს უჭერს ბლოკს კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

„მომავალში იქნება კიდევ ათეული და ასეული შემთხვევა, როდესაც კომუნისტები არა თუ ვერ შესძლებენ უარი სთქვან რეფორმისტებთან პრაქტიკულ შეთანხმებაზე, არამედ ვალდებული იქნებიან იკისრონ ასეთი შეთანხმების ინიციატივა“ („Бюллетень оппозиции“ 1930 წლის, იანვარი).

ამხ. ს. მამულია

ცხადია, [illegible] სახოკვდილ[illegible] მიური კრ[illegible] ცევა. კრიზისი [illegible] ბურჟუაზი[illegible] ტისათვის, [illegible] „აბა[illegible] ტერვენცი[illegible] „რევოლუ[illegible] ამხ. სტალ[illegible] ბაზე. ის ამბობ[illegible] მოხდა, თ[illegible] ლინის ამ[illegible]

სწრაფი ნაბიჯებით მიიმართება წინ სოციალიზმისაკენ საბჭოთა კავშირი

1918—20 წლების სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შემდეგ ჩვენ შეუდექით საბოლოოდ განადგურებულ სახალხო მეურნეობის აღორძინებას.

თუ რამდენად გაანადგურა ჩვენი მეურნეობა იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ გინდ იქიდანაც, რომ 1920 წ. თუჯის წარმოება შეადგენდა არა უმეტეს 2,4 პროცენტისა, 1913 წელთან შედარებით, მადანის—1,7 პროც.,—ხოლო სპილენძის წარმოებას სრულებით არ ჰქონდა ადგილი.

და თქვენ ხომ იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ლითონს.

მუშათა კლასის ძალღონით და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ 5-6 წლის განმავლობაში აღვადგინეთ ეს განადგურებული მეურნეობა და ომამდე არსებულ დონეს მივაღწიეთ.

ამ საფუძველზე ჩვენ 1926—27 წლიდან გადავედით მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაზე, ახალ მაღალ ტეხნიკის საფუძველზე და ახალ ფართო სოციალისტურ მშენებლობაზე.

რეკონსტრუქციული პერიოდის პირველ მიღწევათა საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა,—პროგრამა ისტორიისათვის უჩვეულო და გაუგონარი დიდი სამუშაოებისა, როგორც მეურნეობის საერთო ზრდის ტემპების, ისე სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტური ელემენტების განდევნის ტემპების მხრივ.

ჩვენ ხუთწლედს ჩვენი მტრები თოფიარაღით შეხვდენ, მაგრამ არც ყველა ჩვენი მეგობრები ამ გეგმას კეთილის თვალით უყურებდენ. ბევრს არ სწამდა ჩვენი ხუთწლედი და მოითხოვდენ მის გადასინჯვას.

ტყუილად კი არ ამბობდა ამხ. სტალინი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე, რომ „ზოგი ამხანაგი ისე უყურებდა ჩვენ ხუთწლედს, როგორც ფანტასტიკას. ბურჟუაზიულ მწერლებს კი თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდათ მხოლოთ სიტყვა „ხუთწლედის“ გაგონებაზე.

ხუთწლედისაგან გაცოფებული ბურჟუაზიული ეკონომისტები სწერდენ, რომ „ვაი ევროპას, თუ ხუთწლედი განხორციელდაო“.

ხუთწლედით შეშინებული სოციალ-დემოკრატები ლაპარაკობენ, რომ

„სოციალისტებმა მთელი ენერგიით უნდა უარყონ ეს გეგმიანი მეურნეობა და გამოაცხადონ მისი არსებობა დიდ უბედურებად მთელი მსოფლიოსათვის და ტრაგედიათ რუსეთის პროლეტარიატისათვის“.

ხუთწლედისადმი ამ მტრულ დამოკიდებულებაში სოციალ-დემოკრატებს არ ჩამორჩა არც კონტრ-რევოლუციონერი ტროცკი, რომელზედაც ფიქრობდენ, რომ იგი ზეინდუსტრიალისტია.

აი რას სწერს სწორედ ეს „ზეინდუსტრიალისტი“ ტროცკი ჩვენ მიერ აღებულ სოციალისტურ მშენებლობის ტემპების და ჩვენი ხუთწლედის შესახებ:

„ჩვენი ძირითადი ლოზუნგი, რომელიც ეხლა შეიცავს ყველა სამეურნეო, პოლიტიკურ, პარტიულ და კომინტერნის ამოცანებს, ასეთია: თავის დროზე და გეგმიანად დავიხიოთ ავანტიურიზმის პოზიციებიდან“... „მრეწველობის დარგში უნდა შევაჩეროთ ინდუსტრიის [illegible] ტემპი და უარვყოთ ლოზუნგი „ხუთწლედი ოთხ წელში“...

„სოფლის მეურნეობის დარგში უნდა შევაჩეროთ შემდეგი კოლექტივიზაცია და განუმარტოთ გლეხობას რესურსების განსაზღვრულობა, ხოლო მთელი სახსრები მოვახმაროთ ყველაზე უფრო ფართო და უზრუნველყოფილ კოლმეურნეობებს“...

„გლეხური სახნისისა და გლეხის გაძვალტყავებული ცხენებისაგან, თუ გინდ ისინი კიდევაც გავაერთიანოთ, არ შეიძლება შექმნა მსხვილი სასოფლო მეურნეობისა ისევე როგორც მეთევზეთა ნავების შეერთებით ვერ შევქმნით გემს“... „შეუძლებელია დღეს ავაშენოთ კოლმეურნეობა მომავალ ტრაქტორებზე“...

ჩვენი მიღწევები, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ისე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, სავსებით უარყოფენ მოღალატე ტროცკის ამ ნაწერებს.

ჩვენ უკვე დავასრულეთ ხუთწლედის ორი წლიწადი და რას ვხედავთ?

ჩვენ გვაქვს ზრდის სარეკორდო ტემპები, როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო-მეურნეობაში; ამ ტემპებმა ბევრად წინ გაუსწრო ხუთწლედით გათვალისწინებულ ტემპებს.

მსხვილმა სახელმწიფო მრეწველობამ 1928-29 წელში მოგვცა საერთო პროდუქციის ზრდა 25 პროცენტით, რითაც გადააჭარბა მიმდინარე წლის დავალებას 5 პროცენტით; ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია უდრის 30,5 მილიარდ მანეთს, წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებულ 29.8 მილიარდ მანეთისა.

ხუთწლედის პირველ ორ წელში მძიმე ინდუსტრიამ 7 პროცენტით გაუსწრო გეგმით დასახულ დონეს.

მრეწველობის წლიური წარმოების მოცულობამ 1929-30 წელში ორჯერ მეტად გადააჭარბა ომამდე არსებულ წლიურ წარმოებას.

ნათესის სივრცე გაიზარდა 118 მილიონ ჰექტარიდან 28-29 წ. 127,8 მილიონ ჰექტარამდე მიმდინარე წელში; ამავე დროს, როგორც მარცვლეულის, ისე განსაკუთრებით, ტეხნიკური კულტურების (ბამბა, შაქრის ჭარხალი და სხვ.) კულტურების დარგში ნათესების არეამ ბევრად წინ გაუსწრო გეგმით დასახულ რაოდენობას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია. პურეულის საერთო დამზადებამ 1930 წელს მოგვცა 87,4 მილიონი ცენტნერი, წინააღმდეგ 1929 წლის 71,7 მილიონი ტონისა (ზრდა უდრის 21,7 პროც.).

ბამბის საერთო დამზადება იქნება არა ნაკლებ 18,5 მილიონი ცენტნერისა, წინააღმდეგ 29 წლის 8,6 მილიონი ცენტნერისა. შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი უდრის 151,7 მილიონ ცენტნერს, წინააღმდეგ წარსული წლის 62,5 მილიონ ცენტნერისა.

ხუთწლედის დავალებანი კოლექტივიზაციის სფეროში ბევრად გადაჭარბებით იქნა შესრულებული. უკვე 1930 წლის დეკემბრის დასაწყისისათვის, თუ ვიანგარიშებთ საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებს და სოფლის მეურნეობის ყველა დარგებს (მიწად-მოქმედება, მეცხვარეობა, მეთევზეობა, მონადირეობა), კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 6,15 მილიონზე მეტი, ე. ი. 24,1 პროც. ძირითად მარცვლეულ რაიონებში კი კოლექტივიზაციის პროცენტი ავიდა 49,3 პროცენტამდე. 1930 წ. გაზაფხულსა და შემოდგომაზე კოლმეურნეობებში ნათესი სივრცე შეადგენს 43,4 მილიონ ჰექტარს წინააღმდეგ იმ 20,6 მილიონი ჰექტარისა, რაც გათვალისწინებული იყო ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ ხუთწლედის პირველ ორ წელში ჩვენ უკვე მოვახერხეთ, ორჯერ წინ გაგვესწრო მთელი ხუთწლიანი გეგმისათვის. ამრიგად, განსაზოგადოებული სექტორის ნათესის სივრცე აღწევს 48,2 მილიონ ჰექტარს.

1930 წლის მოსავლის მარცვლეულის სასაქონლო პროდუქციის განსაზოგადოებული სექტორის ხვედრითი წონა შეადგენს 50 პროცენტამდე, წინააღმდეგ იმ 43 პროცენტისა, რაც განზრახული იყო ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის.

ხუთწლედი სრულდება 4 წლიწადში. ხოლო ზოგიერთ დარგში კი სამსა და ორ წელში.

ჩვენი წარმატებანი იძულებულია აღიარონ ზოგიერთმა ჩვენმა მტრებმაც კი.

უდიდესი ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ-ტაიმსი“ აღიარებს, რომ „არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში არ მოუხდენია ისეთი გიგანტური ნახტომები, როგორსაც ფიქრობს რუსეთი მიმდინარე წელს. მე შემიძლია განვაცხადო, — სწერს შემდეგ ბურჟუაზიული ჟურნალისტი, რომ ეს შესრულებული იქნება“.

ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსებული წერილი სათაურით „რა მდგომარეობაშია ხუთწლედის გეგმა საბჭოთა რუსეთში“.

„საბჭოთა გემები გამოდიან გემთსაშენებიდან, ახლდება და შენდება უდიდესი ქარხნები რკინისა, ფოლადისა და მადანის გადასამუშავებლად და ისინი თანდათან უფრო ფართო მასშტაბით აკმაყოფილებენ ნედლეულით გაუმაძღარ ფაბრიკებს. თვალსაჩინოდ იზრდება მანქანათმშენებლობისა და ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ციფრები ისევე, როგორც სწრაფი ნაბიჯით წინ მიდის მიღწევანი ელექტრო-ტეხნიკურ და ქიმიურ ინდუსტრიისა და მრეწველობის მრავალ სხვა დარგებში“...

„ხუთწლიან გეგმას უმაღლეს საფეხურზე აჰყავს შრომის ნაყოფიერება, რომელსაც თან სდევს შეუსუსტებელი მისწრაფება საზღვარ-გარეთისაგან დამოუკიდებლობის მიღწევისა..

„თუ ამერიკა შეუზღუდველ შესაძლებლობათა ქვეყანა იყო, საბჭოთა რუსეთი გაუგებარ შესაძლებლობათა ქვეყანაა. მისი მიღწევები აღიარებულ უნდა იქნას და ცნობილი ჩვენი თვალსაზრისითაც“

და შემდეგ ბურჟუაზიული მწერალი კეთილსინდისიერად ხსნის ჩვენი მიღწევების მიზეზებს.

„საბჭოთა ქვეყანაში მუშა გახდა თავისუფალი. იგი გახდა ბრძანებელი მანქანებისა. 13-მა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც კრემლში წითელი დროშა ფრიალებს და ამ ხნის განმავლობაში გამოღვიძებულია და განთავისუფლებული ამდენხანს მიძინებული უზარმაზარი ძალები. ამ დროის განმავლობაში ძველი თაობის მრავალმა მილიონმა შეისწავლა წერა-კითხვა და ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში. ახალმა თაობამ გაიარა წითელი მეწნიერება და მისი მოწინავე ელემენტები ავსებენ ეხლა უნივერსიტეტებს, ცოდნისა და შრომის წყურვილით აღგზნებულები. ისინი ამზადებენ შემცვლელებს. ახალი თაობა იცნობს მხოლოდ საბჭოთა ქვეყანას, მან იცის, რომ მხოლოდ მუშა უნდა იყოს ბატონ-პატრონი; იგი ეხლა ადვილად იტანს ჭირ-ვარამს, ვინაიდან იცის, რომ ვერავინ ვერ ცხოვრობს უკეთესად, ვინემ მუშათა კლასი. მუშა გადაიქცა ბატონ-პატრონად სახელმწიფოში მთელი თავისი აქ-კარგით. ამ მუშას ეკუთვნის ეს სახელმწიფო“.

საბჭოთა კავშირი შევიდა სოციალიზმის პერიოდში

ჩვენი ხუთწლედის და მისი შესრულების გადამწყვეტი მომენტს პირველი ორი წლის განმავლობაში წარმოადგენს სოციალისტური ელემენტების მიერ კაპიტალისტურ ელემენტების განდევნის ტემპები, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

შევამოწმოთ ციფრებით კაპიტალიზმზე მუშათა კლასის ძლევამოსილი შეტევის და სოციალიზმის განმანადგურებელი იერიშის ფაქტი ამ უკანასკნელ წლებში. ამისთვის შევადაროთ 1926-27 წლ., რეკონსტრუქციული პერიოდის დაწყების, ციფრები განვლილ 1929-30 წელს. ეს ციფრები გვეუბნებიან შემდეგს: მთელს მრეწველობაში სოციალისტურ სექტორში დაბანდებულ შრომის ხვედრითი წონა (აღებულია მუშათა რიცხვი მოსამსახურეების გარეშე) ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 46,2 პროცენტიდან 61,1 პროცენტამდე. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში ამავე დროს გაიზარდა 77,2 პროცენტიდან 90,3 პროცენტამდე. ხოლო მისი ხვედრითი წონა ძირითად ფონდებში 90,3 პროცენტიდან 95,2 პროცენტამდე. კაპიტალისტურმა სექტორმა კი ამავე პერიოდის განმავლობაში შემდეგი ცვლილება განიცადა: მუშათა რიცხვის მიხედვით მისი ხვედრითი წონა უდრიდა—8,8 პროცენტს, ეხლა იგი არ აღემატება 0,6 პროც. საერთო პროდუქციაში მას ჰქონდა 5,4 პროც., ეხლა აქვს 0,7 პროც., ხოლო ძირითად ფონდებში ჰქონდა 1,9 პროც. და ეხლა აქვს 0,5 პროც.

სავსებით მართალი იყო ამხანაგი სტალინი, როდესაც იგი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე ამტკიცებდა, რომ საკითხი შესახებ იმისა, თუ „ვინ-ვის“, საკითხი იმის შესახებ, სოციალიზმი დაამარცხებს კაპიტალისტურ ელემენტებს მრეწველობაში, თუ ეს ელემენტები დაამარცხებენ სოციალიზმს, უკვე გადაწყვეტილია მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ; გადაწყვეტილია უდავოდ და საბოლოოდ“.

სოფლის მეურნეობაში ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების მოძრაობის საფუძველზე ჩვენ მთელ რიგ რაიონში უკვე გადავედით მთლიან კოლექტივიზაციაზე და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციაზე.

საშუალო გლეხი უკვე მიდის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობაში იგი ღარიბ გლეხობასთან ერთად გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად სოფლად.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და კიდევ უფრო ფართოვდება სოციალიზმის საფუძველი. თვალსაჩინოთ შევიწროვდა და თანდათან კიდევ უფრო ვიწროვდება ის საფუძველი, რომელზედაც იბადება და ფეხს იკიდებს კაპიტალიზმი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის შორის არსებული შეფარდება 42,1 პროც. და 57,9 პროც. შეიცვალა დღეისათვის, შეფარდებით 53 პროც. და 47 პროც.

ამას უნდა დავუმატოთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი და 24,1 პროც., სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა მთელს საბჭოთა კავშირში და 49,3 პროც. კოლექტივიზაციისა ძირითად მარცვლეულ რაიონებში 1930 წ. დეკემბრის პირველისათვის.

ნულამდე დავიდა კერძო კაპიტალისტური სექტორის როლი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საქონლის ბრუნვაში. იმ დროს, როდესაც 1926-27 წელში კერძო კაპიტალისტური სექტორის ხვედრითი წონა საბითუმო ვაჭრობაში შეადგენდა 9,8 პროც. და საცალო ვაჭრობაში 32,6 პროც., 1930 წლის დასასრულისათვის მისი ხვედრითი წონა საბითუმო ვაჭრობაში მხოლოდ ათწილად პროცენტებში თუ გამოიხატება, ხოლო საცალო ვაჭრობაში იგი 10 პროც. უფრო მცირეა.

ასეთივე სურათი გვაქვს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ბრუნვაში. გეგმიანი დამზადება და კონტრაქტაცია თითქმის სრულიად იპყრობს სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას, განსაკუთრებით კი მის ძირითად დარგების პროდუქციას.

კავშირი სოფლისა და ქალაქს შორის კერძო ვაჭრის მეშვეობით შეიცვალა კავშირით სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მეშვეობით.

ჩვენ ეხლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელ სტადიაში ვიმყოფებით. გაფართოვდა ადამიანთა შორის სოციალისტური ურთიერთობის ჩანასახი შრომის პროცესებში.

თანდათანობით ყალიბდება ახალი სოციალისტური დამოკიდებულება თვითონ შრომისადმი. ამისი მაჩვენებელია მუშათა მასებში ფართოდ გავრცელებული შრომის ახალი ფორმები—სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა.

შრომა, როგორც ამბობდა ამხ. სტალინი ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობაზე, გადაიქცა მონობის უღლიდან „სასახელო, პატიოსნების, გმირობის და ვაჟკაცობის საქმედ“.

შრომა გადაიქცა, როგორც ამაზე თავის დროზე მარქსი სწერდა, „პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად და არა მხოლოდ სასიცოცხლო საშუალებად“.

კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის ბრძოლა ავიდა ახალ ეტაპზე

კაპიტალისტური მსოფლიო შევიდა ისეთ პერიოდში, როდესაც თანდათან უფრო ფართოვდება და ღრმავდება კრიზისი. ამ კრიზისს კაპიტალისტური სამყარო მიჰყავს დაღუპვის კარამდე.

საბჭოთა კავშირში დაიწყო სოციალისტური მშენებლობის ახალი აღორძინების პერიოდი, კაპიტალიზმის ნაშთების ძირიანფესვიანად აღმოფხვრის პერიოდი, კაპიტალისტური კლასებისა და ჯგუფების ლიკვიდაციის პერიოდი, სოციალიზმის პერიოდი.

საბჭოთა კავშირმა გადასჭრა საკითხი „ვინ-ვის“ მრეწველობის დარგში „მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ“, გადასჭრა „უდავოდ და საბოლოოდ“ (სტალინი).

საბჭოთა კავშირი დიდის წარმატებით სწყვეტს ამ საკითხს სოფლის მეურნეობის დარგშიაც.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირში იმპერიალიზმის დასაყრდენი პუნქტების ლიკვიდაციას, ეს ნიშნავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელი ბურჯის—კულაკობის ლიკვიდაციას, ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციის შესახებ მსოფლიო კაპიტალიზმის იმედების ლიკვიდაციას, ეს ნიშნავს კაპიტალიზმის დამხობის დაჩქარებასა და მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების მოახლოებას.

„მემარცხენე“-მემარჯვენე ბლოკის ორპირიან ოპორტუნისტებს არ ესმით ეს. ლომინაძეს „ეჭვი ეპარება“ იმაში, დაიწყო თუ არა ჩვენში სოციალიზმის პერიოდი და მოხსნილია თუ არა სადმე (მრეწველობაშიაც კი) საკითხი „ვინ-ვის“.

„ჩვენ თვითმდინარეობით“ — ამბობს სირცოვი, „და ძალიან ბრმად და დაურაზმავად შევედით ისეთ ეკონომიურ მოვლენათა სფეროში, რომელიც ეხლა მთელი ქვეყნის თავსამტვრევ მსჯელობის და განგაშის საგანს წარმოადგენს“. იგი (სირცოვი) ხედავს „ოპტიმიზმის ერთგვარ სიჭარბეს სოფელზე ჩვენი გეგმიანი ზეგავლენის შეფასებაში“.

სამაგიეროდ მსოფლიო ბურჟუაზიას მშვენივრად ესმის ეს და იგი ცდილობს სამხედრო ინტერვენციით, საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმით თავი დაიძვრინოს კრიზისისაგან და ჩაშალოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის საშიშროება არასდროს 18-20 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ ისე ახლო და რეალური არ ყოფილა, როგორც ეს დღეს არის.

მხოლოდ უიმედო რეგვენებსა და ოპორტუნისტებს თუ შეუძლიათ არ დაინახონ და არ გაიგონ ეს. მხოლოდ ჩვენ მტრებს არ სურთ დაინახონ და გაიგონ ეს ამბავი.

ინტერვენციისათვის მზადება მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპებით და მრავალი გზებით:

საზოგადოებრივი აზრის მომზადებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომის“ საჭიროების შესახებ;

მავნებლობის ორგანიზაციით საბჭოთა კავშირის შიგნით, რათა ამით ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობა, ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას და საბჭოთა ქვეყნის მუშები და მშრომელი მასები ჩაყარონ სიმშილსა და სიღატაკეში;

გაცხოველებული შეიარაღებით, რომელსაც ფარავენ განიარაღებაზე ლაყბობით;

საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების ფაშიზაციით და სხვა...

„ჯვაროსნული ლაშქრობის“ იდეის დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიამ მოიგონა ზღაპარი ეგრედწოდებულ „საბჭოთა დემპინგის“ შესახებ, რომელიც თითქოს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაღრმავების მიზეზს წარმოადგენს.

თვითონ ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის, რომ ნამდვილად არავითარი „საბჭოთა დემპინგი“ არ არსებობს. ჩვენ კიდევაც რომ განზრახ ვამცირებდეთ ფასებს ჩვენს საექსპორტო საქონელზე, რასაკვირველია, ამას არ შეეძლო არც გამოეწვია და არც გაეღრმავებინა ეკონომიური კრიზისი, ვინაიდან საბჭოთა ექსპორტი მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს და იგი 1,5 პროცენტს არ აღემატება.

ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ექსპორტის მიზანს შეადგენს იმპორტისათვის სათანადო შესაძლებლობათა შექმნა.

ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ჩვენ უფრო მეტ საქონელს ვყიდულობთ, ვინემ ვყიდით.

ყვირილი „საბჭოთა დემპინგის“ შესახებ, სჭირდებათ იმისათვის, რომ დამალონ მსოფლიო კრიზისის ნამდვილი მიზეზები, რომ გააძლიერონ სპეკულიანტური ციებ-ცხელება მსოფლიო ბაზარზე, რომ მოამზადონ საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ გაამართლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიღებული ეკონომიური ბრძოლის ღონისძიებანი, რომ გაამართლონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადება, რომ მშრომელთა ფართო მასების ყურადღება ააცილონ მათი თანდათან უფრო გაძლიერებული სიღატაკისა და გაჭირვების ნამდვილ მიზეზებს.

ეხლა უკვე, „სამრეწველო პარტიის“ მავნებელთა ორგანიზაციის პროცესის შემდეგ, საფრანგეთის იმპერიალისტებს (და სხვებსაც) არაფრით არ შეუძლიათ თავი იმართლონ. ისეთი ლაყბობით, რომ თითქოს „საქმე მავნებლების შესახებ, მოგონილი იყო“, რომ თითქოს ნამდვილი მავნებლების მაგიერ ბრალდებულთა სკამზე „ტიკინები“ ისხდნენ. რასაკვირველია, ასეთი ლაყბობით საფრანგეთის იმპერიალისტები ვერ შესძლებენ დაუმალონ მუშათა კლასს, რომ მავნებლობის ორგანიზატორები და სულის ჩამდგმელები „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან“ ერთად ისინიც იყვნენ, რათა ამით გაეადვილებიათ სამხედრო ინტერვენცია.

ლარიშემ განაცხადა, რომ „საფრანგეთის შტაბი მიგვითითებდა, რომ გამოსვლის ინიციატივა პოლონეთისა და რუმინეთის ხელში იქნებაო“.

„აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის გამოცდილებამ წინააღმდეგი დაგვიმტკიცა—წითელი არმიის სამხედრო უნარიანობის გაძლიერება. ამიტომ იძულებული შევიქენით ინტერვენციის მომენტი უფრო შორეულ დროისათვის გადაგვედვა“,—ამბობს თავის ჩვენებაში მეორე მავნებელი ჩარნოვსკი.

ვერავინ ვერ შესძლებს ვერავითარ ლაყბობით „ჰუმანიზმის“ და „კულტურის ინტერესების“ შესახებ მიჩქმალოს ის კომერციული ანგარიშები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ყოფილი რუსეთის კაპიტალისტები ინტერვენციის მომზადების საქმეში.

მათ ძლიერ უჭირთ ამის დაფარვა.

აი რას სწერს კაპიტალისტი რიაბუშინსკი ამის შესახებ, რომ კიდევ უფრო გაალვივოს მსუნაგ იმპერიალისტების მადა:

„არ არის მსოფლიოში ისეთი წარმოება, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით უფრო გამართლებული და უფრო რენტაბელური იყოს, ვინემ რუსეთის განთავისუფლება. ერთი მილიარდი მანეთის დაბანდებით კაცობრიობა მიიღებს შემოსავალს არა ნაკლებ ხუთი მილიარდისა, ე. ი. წლიურ ხუთას პროცენტს, რასაც ზედ ერთვის ამ მოგების ყოველწლიურად 100—200 პროცენტით კიდევ ზრდის პერსპექტივა“.

საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია აქტიურად მხარს უჭერს ინტერვენციას

ამხანაგებო, თქვენ უნდა გახსოვდეთ ის შხამიანი სისინი, რომელსაც სისტემატიურად აწარმოებდენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თქვენ უნდა გახსოვდეთ მეორე ინტერნაციონალის მიერ ა. წ. გაზაფხულზე გამოშვებული მოწოდება, რომელშიც ის არწმუნებდა საერთაშორისო პროლეტარიატს, რომ „რუსეთის რევოლუციას კონტრ-რევოლუციის საფრთხე მოელის“.

თქვენ უნდა გახსოვდეთ მეორე ინტერნაციონალის მოწოდება საერთაშორისო პროლეტარიატისადმი: „სოლიდარულად მხარი დაუჭირეთ რუსეთის სოციალ დემოკრატიის ბრძოლას რუსეთის დემოკრატიზაციისათვის“-ო.

თქვენ უნდა გახსოვდეთ საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ლეონ ბლიუმის წერილები, რომელშიც იგი „ამტკიცებდა“, რომ სამხედრო საფრთხის კერას წარმოადგენს „სტალინის რუსეთი“, რომ ბრიანს „ისევე სძულს ომი, როგორც ჩვენ-ო ე. ი. სოციალ-დემოკრატიასო.

„სამრეწველო პარტიის“ მავნებელთა ორგანიზაციის და კონდრატიევ-ჩაიანოვის „გლეხთა პარტიის“ გამოაშკარავებასთან დაკავშირებით ნათელი ხდება მათთან გრომანოვებისა და სუხანოვების რუსეთის სოციალ-დემოკრატიის კავშირი.

საზღვარ. გარეთის სოციალ-დემოკრატიის პრესა ცდილობს დაიცვას მავნებელთა ორგანიზაციები საბჭოთა კავშირში, რუსეთის ემიგრანტები და ევროპის იმპერიალისტები.

ოტო-ბაუერის ვენის გაზეთ „არბეიტერ ცაიტუნგ“-ში წუწუნებს „პროფესორების ნამდვილი თავდასხმისა“, „ცნობილ მეცნიერთა ჯგუფის—კონდრატიევ-ჩაიანოვის და ისეთ დიდ სამეურნეო მუშაკების, როგორიც გრომანია, ცნობილი სტატისტიკოსის და ძველი სოციალისტის სუხანოვის“ დაჭერის შესახებ.

საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის გაზეთმა „პოპულერმა“ თავის თავზე იდვა პუანკარესა და საფრანგეთის გენერალური შტაბის გენერლებისა და „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის“ მეთაურთა დაცვა; იგი აცხადებს:

„რაც შეეხება უცხოელ პირებს, ბრალდება მათ წინააღმდეგ პირდაპირ სასაცილოა. რუსი ემიგრანტების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება სწორედ რომ კომიურია“.

თვითონ ემიგრაციის წყაროებიც გვაუწყებენ იმას, რომ ინტერვენციას მხარს უჭერენ ევროპის „სოციალისტები“. მავნებელ იუროვსკის ჩვენებაში ჩვენ სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ:

„რაც შეეხება საფრანგეთის სოციალისტების დამოკიდებულებას ინტერვენციისადმი, მილიუკოვის სიტყვით, მუშები წინააღმდეგნი იყვნენ ინტერვენციისა, მაგრამ სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელები, თუ აშკარად არა, ფაქტიურად მაინც მხარს დაუჭერენ მას“.

ოპორტუნისტები მავნებელთა სულის ჩამდგმელები იყვნენ მუშები თავის გმირობით შლიდნენ მავნებელთა გეგმებს

მავნებელთა ჩვენებიდან ცხადია, რომ ოპორტუნისტები ობიექტიურად მათი სულის ჩამდგმელები იყვნენ. რამზინი თავის ჩვენებაში ლაპარაკობდა, რომ „გაცხოველებული შინაპარტიული ბრძოლა, მკაცრი კრიტიკა მემარჯვენე ოპოზიციის მიერ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისა საბოლოოდ გვიმტკიცებდა რწმენას ამ პოლიტიკის დამარცხებასა და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის აუცილებლობაში“.

„მხარის დაჭერა იმ იდეებისა და მიმართულებისათვის, რომელიც ცნობილია „მემარჯვენე გადახრის“ სახელწოდებით, რომ ეს იდეები გვეჩვენებოდა იმდენად შესაფერისად, იმდენად ხელსაყრელად და ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარებისათვის შანსების მომცემ იდეებად, არსებითად ბურჟუაზიული ხასიათის იდეების განვითარებად, რომ ჩვენთვის მათი დაცვა სასურველიც და აუცილებელიც იყო“.

მათივე ჩვენებიდან ჩანს, რომ მუშები თავისი გმირობით შლიდენ მავნებელთა გეგმებს. იმათ ჩვენებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ „სამრეწველო პარტიის გეგმიანი მავნებლობის ჩაშლის მიზეზი, რაც გამოაშკარავდა 1929 წლის დასასრულსა და 1930 წ. დასაწყისში, იყო შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმების წამოყენება, რომელმაც ბოლოს და ბოლოს სავსებით ჩაშალა მავნებელთა მუშაობა. შემხვედრმა სამრეწველო-საფინანსო გეგმამ საბოლოოდ გაანადგურა მავნებელთა გეგმიანი მუშაობა. ამან გვაიძულა უარი გვეთქვა მინიმალისტური გეგმების მეთოდებზე, ვინაიდან შემხვედრმა საწარმოო-საფინანსო გეგმამ ერთბაშად წამოაყენა სრულებით სხვა ციფრები, ერთბაშად მოახდინა მძაფრი გარდატეხა ამ საქმეში და სიმართლე რომ ვსთქვათ, ბოლო მოუღო სამრეწველო პარტიის გეგმიან მავნებლობას“.

„შემხვედრმა სამრეწველო საფინანსო გეგმებმა ბოლო მოუღო მავნებლობას“,—ამბობს კლასიური მტერი.

მემარჯვენე ოპორტუნისტი და ორპირიანი სირცოვი კი ჩვენს დამკვრელ მუშაობას დასცინის და მას უწოდებს „ბიძგებით“ და „ნახტომებით“ მუშაობას. მუშაობა თანახმად რუსული სიმღერის „Эй дубинушка ухнем“-ის პრინციპისა“ და სხვა.... იგი ფიქრობს რომ:

„ცალკე ფაბრიკებსა და ქარხნებში შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმის დამუშავება მიმდინარეობს არა საქმიანი განხილვის წესით, არამედ ტარდება ცნობილ არა ჯანსაღ მორალურ პოლიტიკურ ზეგავლენის ზომებით, რაც ამახინჯებს განხილვის იდეიას და იწვევს პასივობას“.

იგი ცილს გვწამებს და ამტკიცებს, რომ შემხვედრი სამრეწველო საფინანსო გეგმის იდეა „თანდათან ბიუროკრატიულ სამოსელში იხვევაო“, შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმა... „თანდათან ყალბ სახეს ღებულობს და მახინჯდებაო“ და სხვ. და სხვ.

ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ; ჩვენ ვიცავთ მშვიდობიანობას

ნათქვამიდან უნდა იყოს ცხადი, რომ ომი—რეალური საფრთხეა.

ჩვენი პოლიტიკა იყო წარსულში მშვიდობიანობის პოლიტიკა და დარჩება უცვლელად მომავალშიაც:

ჩვენ ეს დავამტკიცეთ განიარაღების კონფერენციებზედაც და ჩვენი თავდაჭერილობით საერთაშორისო იმპერიალისტების პროვოკაციის მიმართ..

ჩვენ ამას დავამტკიცებთ მომავალშიაც.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავდასხმის დროს ჩვენ თავს არ დავიცავთ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მოვემზადებით პასუხის გაცემისათვის.

ჩვენ დაუმტკიცეთ მთელ მსოფლიოს, რომ მშვიდობიანობისათვის შეგვიძლია ბევრი მოვითმინოთ, მიუხედავად იმისა, რომ იმპერიალისტები და მათი ყურ-მოჭრილი მონები სხვადასხვა პროვოკაციების საშუალებით ხშირად გვიწვევენ ომში. მაგრამ ჩვენ დაუმტკიცეთ მთელ მსოფლიოს ისიც, რომ შევწევს ძალა გადამჭრელი პასუხი გავცეთ მათ, როდესაც მათ მსუნაგობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ჩვენ ეს თვალსაჩინოთ დავამტკიცეთ ჩინეთის საზღვარზე კონფლიქტის მაგალითზე. სჯობია, რომ კარგათ დაიმახსოვრონ იმპერიალისტებმა ეს საგულისხმო გაკვეთილი.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება იმ ლოზუნგით, რომელიც ამხ. სტალინმა მოგვცა მე-16 ყრილობაზე.

„არც ერთი გოჯა სხვისი მიწისა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს სხვას არ მივცემთ“.

ჩვენი გამარჯვება—ეს საბჭოთა სისტემის გამარჯვებაა კაპიტალიზმის კრიზისი — ეს კაპიტალისტური სისტემის დაშლაა

ჩვენ საბჭოთა კავშირში გვაქვს ზრდა, წინსვლა.

მათ—კაპიტალისტებს კრიზისი, დაცემა. რით აიხსნება ეს? რატომ ხდება ეს ასე?

კაპიტალისტურ ქვეყნებში ხომ გაცილებით უფრო მეტი კაპიტალია, ვიდრე საბჭოთა კავშირში, უფრო მაღლა სდგას ტეხნიკა, ტეხნიკური კადრები უფრო მეტია, კულტურული განვითარების დონე უფრო მაღალია, და სხვა?

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვიმარჯვებთ, რაშია აქ საქმე? საქმე იმაშია, რომ ჩვენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა გვაქვს, მმართველობის საბჭოთა სისტემა გვაქვს. მათ კი მეურნეობის კაპიტალისტური და მმართველობის ბურჟუაზიული სისტემა.

საქმე იმ უპირატესობაშია, რომელიც სოციალისტურ სისტემას აქვს კაპიტალისტურ სისტემის წინაშე.

აი ძირითადად ეს უპირატესობანი:

გეგმიანი ხელმძღვანელობა და კონკურენციის შეუძლებლობა;

სახალხო შემოსავლის განაწილება სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესების სასარგებლოდ;

მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესება;

მუშათა კლასი ქვეყნის პატრონია;

მუშათა კლასი შრომას შეგნებულად ეპყრობა და გმირულად მუშაობს;

სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა—შრომის გადამწყვეტი მეთოდია და სხვა.

ერთის სიტყვით, საბჭოთა სისტემა შეიცავს შესაძლებლობებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის კაპიტალიზმზე.

გადამწყვეტი ბრძოლით პარტიის გენერალური ხაზისათვის, ბრძოლით ორ ფრონტზე ჩვენ უზრუნველვყოფთ სოც. მშენებლობის სიძნელეთა გადალახვას და სოციალიზმის გამარჯვებას

ამხანაგებო! მე ვამბობდი, რომ საბჭოთა სისტემა შეიცავს იმის შესაძლებლობას, რომ სოციალიზმმა დაამარცხოს კაპიტალიზმი.

მაგრამ საბჭოთა სისტემა თავის თავად ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას.

შესაძლებლობა ჯერ კიდევ სინამდვილე არ არის.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ გადავაქციოთ შესაძლებლობა სინამდვილედ.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სოციალისტური მშენებლობის გზაზე წინ გვეღობება მრავალი სიძნელე და დაბრკოლება, რომელიც უნდა გადაელახოთ შეუპოვარი ბრძოლით და ჩვენი ძალების უდიდესი შეკავშირებით.

ეს სიძნელეებია:

ა) კაპიტალიზმის გარეშე ძალების მტრობა და წინააღმდეგობა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ წინააღმდეგობას გვიწევენ კაპიტალიზმის გარეშე ძალები. ისინი ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ ჩვენს წინააღმდეგ, გვისისინებენ მეზობელ სახელმწიფოებს, ფუსფუსებენ და ჩხირკედელაობენ ხან აქ და ხან იქ ჩვენს საზღვრებზე, არბევენ თავიანთ სახელმწიფოებში ჩვენს სრულუფლებიან და სავაჭრო წარმომადგენლობას. მხარს უჭერენ, აწყობენ და ასულდგმულებენ მავნებლობას და სხვადასხვა სადივერსიო მუშაობას საბჭოთა კავშირის შიგნით და სხვ. თქვენ იცით, რამდენი ყურადღება და სახსარი გამოსტაცა ჩვენს უშუალო სოციალისტურ მშენებლობას იმ მდგომარეობამ, რომელსაც ამ ერთი წლის წინათ ჩინეთის საზღვარზე ჰქონდა ადგილი.

ბ) კაპიტალიზმის შინაგანი ძალების--კულაკების, ნეპმანების, სხვადასხვა მავნებლების და სხვ. გაშმაგებული წინააღმდეგობა. მხოლოდ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ელემენტები ვერ ხედავენ ამას და კლასიურ ბრძოლას ხსნიან იმ შეცდომებით, რომელსაც თითქოს ჩვენს მუშაობაში ვუშვებთ.

გ) ჩვენი ტეხნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით.

დ) ჩვენი კულტურული ჩამორჩენა და სხვ.

მხოლოდ საბჭოთა სისტემის ყველა შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით, მხოლოდ ჩვენი კლასიური ძალების ორგანიზაციით და მთელი ჩვენი ენერგიის უდიდესი ამოძრავებით იყო შესაძლებელი ამ სიძნელეთა გადალახვა.

ასეთ ხაზს ატარებდა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შტაბი—ლენინური ცენტრალური კომიტეტი.

მაგრამ ყველა კომუნისტმა ვერ გამოიჩინა ბოლშევიკური სიმტკიცე და მხნეობა ასეთი ხაზის განსახორციელებლად და სიძნელეების გადასალახავად.

ზოგიერთი სიძნელეების წინაშე პანიკამ მოიცვა, ისინი სიძნელის მიზეზს იქ ეძებდენ, სადაც იგი არ იყო; ყველაფერში ბრალს სდებდენ პარტიის გენერალურ ხაზს და იცავდენ სრულიად ახალ ხაზს, ხაზს, რომელიც კი არ რაზმავდა ჩვენს კლასიურ ძალებს სიძნელეთა გადასალახავად და სოციალიზმის გასამარჯვებლად, არამედ შლიდა ამ ძალებს; ეს ხაზი აგებული იყო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურაზე, ეს ხაზი სპობდა ბრძოლისა და ძალების დარაზმვის შესაძლებლობას, ეს იყო თვითმდინარეობის ხაზი.

ამ ხაზს ყოველთვის დაუნდობლად ამხელდა ჩვენი პარტია და მას თავიდან იშორებდა, პარტიიდან იდევნებოდენ ამ ხაზის შემქმნელნიც და მატარებელნიც.

პარტია შეუპოვრად ებრძოდა ყოველგვარ გადახრას პარტიის ხაზიდან. პარტია მტკიცედ და მხნედ ახორციელებდა თავის გენერალურ ხაზს.

პარტია არ გაჰყვა ტროცკის ავანტიურისტულ გზას, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩაშლა, სოფლის მეურნეობის განადგურება, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის გაწყვეტა, პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლების შერყევა და კაპიტალიზმის რესტავრაცია.

პარტიამ გამოაშკარავა ტროცკიზმის კონტრ - რევოლუციონური შინაარსი და შემდეგ კი თავისი რიგებიდან განდევნა ჯიუტობით შეპყრობილი ტროცკი და ტროცკისტები.

პარტია ამჟამად ებრძვის მათ სახელმწიფოებრივი ზომებით როგორც კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს.

პარტია არ გაჰყვა მემარჯვენეების ხაზს, რომელსაც უნდა შეენელებია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ტემპი, შეესუსტებინა ჩვენი ბრძოლა კულაკობასთან და სხვა კლასიური მტრებთან, არ გაჰყვა იმიტომ, რომ მემარჯვენეთა ხაზი წარმოადგენდა კაპიტულიაციას კულაკობის წინაშე და პირდაპირ გზას კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ.

პარტიამ გამოაშკარავა მემარჯვენე გადახრის კულაკური შინაარსი, ბევრი ჯიუტი განდევნა თავისი რიგებიდან და სერიოზული და უკანასკნელი გაფრთხილება მისცა მემარჯვენე გადახრის ლიდერებს ბუხარინს, რიკოვს და ტომსკის.

პარტია განაგრძობს ბრძოლას ტროცკიზმის ყოველგვარ რეციდივებთან და მემარჯვენე გადახრის ყოველგვარ გამოხატულებასთან.

პარტიამ გამოაშკარავა ტროცკიზმის რეციდივი 1929 წელს, რომლის მატარებელნიც იყვნენ შაცკინი, სტენი, ლომინაძე და სხვ., ამათი ლოზუნგი იყო.

„ეჭვი შეიტანე ყველაფერში“, მათ შორის, „პარტიის გენერალურ ხაზის სისწორეშიც“; „ნუ გეშინიან გადახრებისა“, თორემ იქნები ობივატელი, მოხელე [illegible] „ბრძოლა გადახრებთან [illegible]“ და სხვ..

ისინი ურჩევდენ არა [illegible] კომუნისტებს, არამედ კომკავშირელებსაც, რომ „ეჭვი შეიტანათ“ ყველაფერში [illegible] შორის „პარტიის გენერალური ხაზის სისწორეშიაც“, ისინი ურჩევდენ კომკავშირელებს „პარტიის გენერალური ხაზის ავკარგიანობაში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნებულიყვნენ“ და სხვ.. მოვიყვან ერთ ადგილს სტენის წერილიდან ამ საკითხის შესახებ:

„თვითეულმა კომკავშირელმა თავისი გამოცდილების მიხედვით სერიოზულად უნდა დაამუშაოს ყველა საკითხი და ამ გზით უნდა დარწმუნდეს პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში. მხოლოდ ასეთ დარწმუნებას, რომელიც დამყარებული იქნება საკუთარ გამოცდილებაზე და ყველა ძირითადი საკითხების დამოუკიდებელ დამუშავებაზე შეიძლება ჰქონდეს წონა და დამკვრელი ძალა პრაქტიკულ მოქმედებაში“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ აშკარად მემარჯვენე ბუხარინის შეხედულება გვაქვს, რომელმაც ულმერთოთა ყრილობაზე განაცხადა, რომ მარქსის სათაყვანებელი ლოზუნგი იყო—„ყველაფერს ეჭვის თვალით უნდა შევხედოთო“.

„ყველაფერში ეჭვის შეტანა“ ახასიათებს აგრეთვე სირცოვს, ლომინაძეს, შაცკინს და სხვ. მემარჯვენე—„მემარცხენე“ ბლოკს, რომელიც ჩვენ უკანასკნელ პერიოდში გამოვამჟღავნეთ.

„ყველაფერში ეჭვის შეტანა“-მ ისინი მიიყვანა იქამდე, რომ დაიწყეს ლაპარაკი: „გაჭირვება თანდათან იზრდებაო“, „კრიზისის პერიოდში შევდივართო“, „რევოლუციის ბინდ-ბუნდი დგებაო“, „ჩვენ ბევრათ დაბლა ვდგევართ იმ ამოცანებზე, რასაც ცხოვრება აყენებს“, ჩვენ ბიუროკრატიზმის გარდა არაფერი გაგვაჩნია, მე[illegible] მასებს, ჩაიშალა რეალური სამუშაო ხელფასი, საჭიროა „კაპიტალური მშენებლობის ფრონტის შეკუმშვაო“ და სხვა.

გამოსავალი ჩვენი სიძნელეებიდან მათთვის იმაში მდგომარეობს, რომ „შევზღუდოთ კაპიტალური მშენებლობის ფრონტი“ მაშინ, როდესაც ჩვენ უახლოესი დროისათვის გამოსავალს სწორედ სოციალისტურ მშენებლობის ტემპების გაძლიერებაში ვხ

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

დგთ. ბურჟუაზიისათვის კრიზისიდან გამოსავალი არის მშენებლობის ფრონტის შეკუმშვა, რადგანაც მას არა აქვს გასაღების ბაზარი; ჩვენ კი, სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს. ჩვენი წარმოება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მასების მოთხოვნილებას და მოსახლეობის სყიდვითი უნარს. ამიტომ გამოსავალი სიძნელეებიდან ჩვენთვის მდგომარეობს არა კაპიტალური მშენებლობის შემცირებაში, არამედ მის მაქსიმალურ გაფართოებაში; ჩვენი გამოსავალი ის არის, რომ წარმოება რაც შეიძლება გავზარდოთ და სხვ. სირცოვ-ლომინაძის, ე. წ. მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკი მემარჯვენეების პლატფორმაზე იდგა. ამ ბლოკის მუშაობის მეთოდი იყო ორპირობა, ე. ი. ოფიციალურად ისინი ერთს ლაპარაკობდნენ, ფიცს სდებდნენ პარტიის გენერალური ხაზის ერთგულებაზე სიტყვით და საქმით კი არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ, პარტიის საქმიანობის ჩაშლას ლამობდნენ. ორპირობის წყალობით მათ შესძლეს დროებით პარტია მოეტყუებინათ. პარტიამ ამხილა ორპირები. პარტიამ ცხადად და აშკარად უჩვენა მთელს მუშათა კლასს, მთელს საბჭოთა კავშირს ამ ორპირების და მუშათა კლასის გამცემლების ნამდვილი სახე.

ტზე, აწარმოებდა ბრძოლას ორ ფრონტზე, გადაჭრით ებრძოდა ყოველგვარ გადახვევას პარტიის ხაზიდან. ამ ბრძოლის [illegible] პარტიამ შესძლო სინამდვილეში [illegible] თა სისტემის მეურნეობის შესაძლებლობა, რომლის ძალითაც სოციალიზმი [illegible] იზმი უნდა დაამარცხოს. პარტია [illegible] ურაც განაგრძობს ბრძოლას ორ ფრონტზე [illegible] მემარჯვენე გადახრასთან, როგორც [illegible] საფრთხესთან დღევანდელ ეტაპზე, ყოველგვარ „მემარცხენე" გადახვევებთან [illegible] ყოველგვარ მემარჯვენე-„მემარცხენე" [illegible] თან და ყველასთან, ვინც ამ გადა[illegible] მემარჯვენე შემარიგებლობას და გულ[illegible]ბას გამოიჩენს.

[illegible] ლით უზრუნველყავით და მომავალ[illegible] უზრუნველყოფთ სიძნელეების გადა[illegible] და სოციალიზმის გამარჯვებას, [illegible] როგორც ამხ. სტალინი ჩვენი პარტ[illegible] 16 ყრილობაზე ამბობდა: „შეუძლ[illegible]ია გავშალოთ ნამდვილი ბრ[illegible]ა კლასიური მტრების წინააღმდ[illegible] თუ ზურგში—პარტიაში მათი [illegible] თუ ზურგში დავტოვებთ ის ხალხი, რომელთაც [illegible] ნი საქმე არა სწამთ და ყოველ[illegible]ად სცდილობენ ჩვენი წინსვლ[illegible] უფერხონ".

გიგანტური ნაბიჯით წავალთ წინ სოციალიზმისაკენ

ჩვენ დავამთავრეთ ხუთწლედის ორი წელი. დავამთავრეთ გადამეტებით.

ჩვენ შევდივართ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში.

ჩვენ ამ წლისათვის ავიღეთ ზრდის კიდევ უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე ხუთწლედის პირველი ორი წლისათვის.

კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში (მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და სხვ.) განსაზღვრულია 17 მილიარდი მანეთით, წინააღმდეგ 10 მილიარდი მანეთისა წარსულ წელში.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ფონდი 1931 წლისათვის განსაზღვრულია 14,6 მილიარდი მანეთით, წინააღმდეგ 11,5 მილიარდისა 1930 წელში.

სოციალისტური მრეწველობისა და ელექტროფიკაციის (სარაიონო ელექტრო-სადგურები) კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1931 წლისათვის განსაზღვრულია 7.470 მილიონი მანეთით. მშენებლობის ღირებულების შემცირება განსაზღვრულია 12 პროცენტით.

დაწესებულია მთელი სახელმწიფო მრეწველობის (სმუს, მომარაგების სახკომისარიატი) საერთო პროდუქციის მატება 45 პროცენტით, 1930 წ. შედარებით, რაც ნიშნავს მთელი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას სამრეწველო წარმოებაში ხუთწლედის მესამე წელს, ე. ი. 1931 წ.,—79 პროცენტით და მძიმე ინდუსტრიის დარგებში—98 პროცენტით.

1931 წლის დამლევისათვის ყველა მომქმედი ელექტრო-სადგურების საერთო ძალოსნობა აყვანილ უნდა იქნეს 1,5 მილიონ კილოვატამდე, ელექტრო-ენერგიის წარმოება კი—12,7 მილიარდ კილოვატ-საათამდე, წინააღმდეგ 8,8 მილიარდ კილოვატ-საათისა 1930 წელში.

სმუს-ის მიერ დაგეგმილ მრეწველობაში მუშათა რიცხვის ზრდა დაწესებულია 10 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდა—28 პროცენტით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება—10 პროცენტით, პროდუქციის ღირსების სავალდებულო გაუმჯობესებით.

გადაწყვეტილია 1931 წელს უზრუნველყოფილ იქნეს საშუალოდ გლეხურ მეურნეობათა 80 პროცენტის ჩაბმა მაინც უკრაინის (ველი), ჩრდილო-კავკასიის, ქვედა ვოლგისა და შუა ვოლგის (ვოლგის იქითა მხარე) კოლექტ. მეურნეობებში, რაც ამ რაიონებისათვის ნიშნავს არსებითად მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის დამთავრებას. დანარჩენ მარცვლეულ რაიონებში—ცენტრალური შავმიწიანი ოლქში, ციმბირში, ურალზე, უკრაინაში (ტყე-ველი) და ყაზახისტანში (მარცვლეული რაიონები) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გლეხურ მეურნეობათა 50 პროცენტის კოლექტივიზაცია. სამომხმარებლო ზოლში მარცვლეულ მეურნეობათა მიმართ—20—25 პროც. ბამბისა და ჭარხლის რაიონებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმა მეურნეობათა საერთო რიცხვის 50 პროცენტი მაინც.

საშუალოდ კი, კავშირში სოფლის მეურნეობის უმეტეს დარგებში გადაწყვეტილია უზრუნველყოფილ იქნეს 1931 წელს გლეხურ მეურნეობათა ნახევარი რაოდენობის კოლექტივიზაცია.

სატრაქტორო [illegible] სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი წლის ბოლოსათვის გადაწყვეტილია აყვანილ იქნეს 1.400-მდე ტრაქტორის 980.000 ცხენის ძალის ოდენა სიძლიერებით.

„სკოტოვოდის" ჯოგი აყვანილ უნდა იქნეს 1.800 ათას სულამდე; „ოვცევოდის" ჯოგი 4,4 მილიონ სულამდე; „სვინოვოდის" ჯოგი—1.300 ათას სულამდე; რძე-კარაქის ტრესტის ჯოგი—[illegible] ათას ძროხამდე.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში (საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები) გადაწყვეტილია განსაზღვრულ იქნეს 2,8 მილიარდი მანეთით, მათ შორის სახელმწიფო სექტორისა 1055 მილიონი მანეთით და კოლმეურნეობისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების—1745 მილიონი მანეთით.

რკინიგზის ტვირთბრუნვის რაოდენობა 1931 წლისათვის გადაწყვეტილია განსაზღვრულ იქნეს 330 მილიონი ტონით, 281 მილიონის წინააღმდეგ, რომელიც გათვალისწინებული იყო ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის.

1931 წლისათვის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი გადაწყვეტილია განსაზღვრულ იქნეს 16 მილ. კაცით, წინააღმდეგ 14 მილიონი კაცისა 1930 წ.

1931 წლისათვის ხელფასის ზრდა განსაზღვრულ უნდა იქნეს, 1930 წელთან შედარებით, 6 პროცენტით, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტში ჩაბმულ მუშათათვის—8 პროცენტით. ხელფასის ფონდი 1931 წლისათვის შესაბამისად განსაზღვრულ უნდა იქნეს 15,8 მილიარდი მანეთით, წინააღმდეგ 12,5 მილიარდი მანეთისა 1930 წელში.

მუშათა და მოსამსახურეთა დაზღვევის წლიური ფონდი 1931 წლისათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს 2,13 მილიარდი მანეთით (წინააღმდეგ 1,6 მილ. მანეთისა 1930 წ.), რაც აჭარბებს ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებულ დავალებას (1.950 მილიონი მანეთით).

მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის საერთო რაოდენობა წლისათვის განსაზღვრულ უნდა იქნეს [illegible] მილიონი მანეთით, წინააღმდეგ 125 მილიონისა 1930 წელს.

შრომის დაცვისათვის სა[illegible] თანხები მრეწველობაში და ტრანსპორტში განსაზღვრულ უნდა იქნეს 155 მილიონი მანეთით.

დაბანდებანი საბინაო მშენებლობაზე განსაზოგადოებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განსაზღვრულ უნდა იქნეს 1,1 მილიარდი მანეთით, წინააღმდეგ 582,5 მილიონი მანეთისა წარსულ წელში.

განათლების, კადრების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ფინანსებით მოვლების საერთო ფონდი განსაზღვრულ უნდა იქნეს 6,5 მილიარდი მანეთით, წინააღმდეგ [illegible] მილიარდისა 1930 წელს.

ჩვენი ამოცანები მიმდინარე პერიოდში

აი, ამხანაგებო, საერთოდ ყველა ის საგარეო და საშინაო პირობები, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით.

აი ის გზები და საშუალებანი, რომლითაც ჩვენ განუწყვეტლივ ვიმარჯვებდით დღემდე სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

აი სოციალისტური მშენებლობის ხუთ[illegible] ტემპები, რომლებიც [illegible] ჩვენ მომავალი პერიოდისათვის.

ყველა ამის შეჯამებამ უნდა გამოარკვიოს ჩვენი ამოცანები მიმდინარე პერიოდში.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ს.ს.რ. კავშირის მებრძოლო-ძლიერე

იმპერიალისტების ჯოჯოხეთურ გეგმებზე ჩვენი პასუხი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალის და თავდაცვის უნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცება.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომი გაშლით, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შემდგომი გადამწყვეტი შეტევით, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის პრაქტიკული განხორციელებით ჩვენ გავაფართოვებთ და განვამტკიცებთ სსრ კავშირის თავდაცვის ბაზას და გავანადგურებთ იმპერიალისტების სამხედრო ინტერვენციის ბაზას სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი სანაპირო მდგომარეობა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს კომუნისტების და კომკავშირელების წინაშე აყენებს განსაკუთრებულ ამოცანებს [illegible] საზღვრების დაცვის საქმეში.

საქართველოს ყოველ კომუნისტს, ყოველ კომკავშირელს კარგად უნდა ახსოვდეს [illegible] ყრილობებზე, კონფერენციებსა და კრებებზე, არამედ საწარმოებშიაც, ყანაშიაც, სკოლებშიაც, ჯარშიაც და სხვ.

უნდა ახსოვდეთ იმისათვის, რომ პრაქტიკული მუშაობის ყოველ დარგში შეიტანონ განსაზღვრული წვლილი წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებისა და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

კომკავშირი არის წითელი ფლოტის შეფი.

კომკავშირის მხრივ შეფობის, ამ უდიდესად საპატიო წოდების, საუკეთესო გამართლება იქნება, თუ ყოველი კომკავშირელი საწარმოში იქნება დამკვრელი, სამაგალითო მწარმოებელი მუშაკი, თუ ყოველი კომკავშირელი კოლმეურნეობაში იქნება საუკეთესო კოლმეურნე, თუ ყოველი კომკავშირელი სკოლაში იქნება საუკეთესო მოწაფე, თუ ყოველი კომკავშირელი არმიაში იქნება სამაგალითო წითელარმიელი, კომანდირი და პოლიტმუშაკი.

კომკავშირის მხრივ ინტერვენტების ზრახვებზე პასუხი უნდა იყოს:

საუკეთესო კომკავშირელები წითელ არმიაში და ფლოტში.

არც ერთი კომკავშირელი სამხედრო ცოდნის გარეშე.

არც ერთი კომკავშირელი დამკვრელობის გარეშე.

არც ერთი კომკავშირელი კოლმეურნეობის გარეშე.

არც ერთი კომკავშირელი იმ სპეციალური ცოდნის გარეშე, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ის გახდეს სოციალისტური მშენებლობისა და წარმოების კომანდირი.

საუკეთესო კომკავშირელები სამხედრო სკოლებში, არმიისა და ფლოტის წითელ კომანდირების ამ სამჭედლოში.

საუკეთესო ტექნიკა წითელ არმიას.

ხუთწლედის მესამე წლის გეგმა გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ

ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმების შესრულება უზრუნველყო: პარტიის გენერალურ ხაზის გადამჭრელმა გატარებამ, ორ ფრონტზე ბრძოლამ, მუშათა გმირობამ, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლამ, შემხვედრმა სამრეწველო-საფინანსო გეგმამ და სხვ. უფრო მაღალ საფეხურზე აყვანილი იგივე პირობები, უზრუნველყოფენ ჩვენთვის ხუთწლედის მესამე წლის გეგმის შესრულებასაც. კომკავშირი შრომის სოციალისტური ფორმების პიონერი იყო და ის შემდეგშიაც შრომის ამ სოციალისტური ფორმების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის პიონერი უნდა დარჩეს.

საქართველოში დამკვრელობაში ჩაბმულია კომკავშირის დაახლოებით 60 პროც. ჩვენს მებრძოლ ლოზუნგს, რომელიც უთუოდ განხორციელებულ უნდა იქნას, უნდა წარმოადგენდეს: არც ერთი კომკავშირელი დამკვრელობისა და სოციალისტური შრომის ახალი ფორმების გარეშე. კომკავშირის როლი გეგმის განხორციელებაში ძლიერ დიდია. მოზარდთა პრც-ტი კავშირის ბევრ საწარმოში 40—50 აღწევს. ეს პროცენტი დღითი-დღე გაიზრდება. აქედან ცხადია, თუ რა როლი აქვს კომკავშირს სოციალისტური მშენებლობის გეგმის ბოლშევიკურად შესრულების საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კომკავშირი შესძლებს ამ ამოცანის განხორციელებას. ამის საწინდარს წარმოადგენს ის საწარმოო ენტუზიაზმი, რომლითაც შეპყრობილია მთელი კომკავშირი კომკავშირული ორგანიზაციების იმ კონფერენციებისა და ყრილობებთან დაკავშირებით, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობენ. კომკავშირი კვლავ ერთგული რჩება ლენინის შემდეგი მითითებებისა: „კომკავშირული ახალგაზრდობის კავშირი უნდა გახდეს დამკვრელ ჯგუფად, რომელიც ხელს უწყობს ყოველგვარ მუშაობას, იჩენს თავის ინიციატივას და თაოსნობას".

სოციალისტური მშენებლობის გეგმის განხორციელების დროს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პროდუქციის ღირსებას. პროდუქციის ღირსების მხრივ ჯერჯერობით საქმე დამაკმაყოფილებლად ვერ არის. ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ პროდუქციის ღირსებისათვის. თქვენ ალბად გეცოდინებათ, რომ ამჟამად არსებობს სანიმუშო პროდუქციის დამკვრელი ბრიგადები ჩვენს მრავალ წარმოებაში. მოსკოვში „ნამგალი და ჩაქუჩი"-ს საწარმოში უკვე შექმნილია ასეთივე ბრიგადები. ამ ბრიგადების მუშაობის გამოცდილება ჩვენ უნდა გადმოვიტანოთ ყველა ჩვენს საწარმოებში.

გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და რეკონსტრუქციის ტემპები

ამჟამად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპები. ამასთან ერთად ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ძველი შეცდომები საკოლმეურნეო მშენებლობაში. ჩვენში არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ შევასრულოთ ჩვენი დადგენილებებით გათვალისწინებული კოლექტივიზაციის ტემპები. ამას ამტკიცებს კოლექტიურ მეურნეობათა ის ზრდა რომელსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე წლის შემოდგომაზე. მიუხედავად იმისა, რომ საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისა და, კერძოდ, საკოლმეურნეო მოძრაობის ხელმძღვანელობა საკმარისად არ იყო უზრუნველყოფილი; არ იყო უზრუნველყოფილი არც ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობათა ზრდა 7,8 პროცენტით საშემოდგომო კამპანიის დროს. ამ წლის აგვისტოში ჩვენ გვქონდა კოლექტივიზაციის 13 პროც., ხოლო დეკემბრის პირველისათვის იგი გაიზარდა 20,8 პროც.

მარტო ეს იმას გვეუბნება, რომ თუ ჩვენ მომავალშიაც შევძლებთ ნამდვილად უზრუნველვყოთ მტკიცე ბოლშევიკური ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო მოძრაობაზე, და ჩვენ ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ, მაშინ ჩვენ მნიშვნელოვნად გავაძლიერებთ კოლექტივიზაციის ტემპებს.

პირველ ყოვლისა კომუნისტები და კომკავშირლები უნდა შედიოდნენ კოლმეურნეობაში. ისინი უნდა გახდნენ საუკეთესო და სამაგალითო კოლმეურნეებად.

დღეს-დღეობით კომკავშირლების პროცენტი საქართველოს კოლმეურნეობებში 40-ს არ აღემატება. ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს, და ეს ლოზუნგი უნდა განვახორციელოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს—კომკავშირელთა მთელი 100 პრ. კოლმეურნეობებში; არც ერთი კომკავშირელი კოლმეურნეობის გარეშე.

კომკავშირის თვითეულმა უჯრედმა უნდა მოაწყოს კოლმეურნეობა. სამარცხვინოდ უნდა ჩაითვალოს ისეთი ფაქტი, როდესაც სოფლად კომკავშირის უჯრედი არსებობს, ხოლო ამავე დროს არც ერთი კოლმეურნეობა ამ სოფელში მოწყობილი არ არის.

კომკავშირმა პირი უნდა იბრუნოს კოლმეურნეობისაკენ და მის საწარმოო-სამეურნეო მიზნებისაკენ. კოლმეურნეობებში კომკავშირელები დამკვრელ ჯგუფებს უნდა აწყობდენ. სწორედ ამ თვალსაზრისით უდიდესია კომკავშირის როლი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამას ამხ. ლენინი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც, სამოქალაქო ომის მიწურულში, ჩვენ მხოლოდ ვიწყებდით ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენას და როდესაც ჯერ კიდევ, წამოყენებული არ იყო სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანა. კომკავშირის მესამე ყრილობაზე, 1920 წელს, წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. ლენინი ამბობდა: „იმდენად, რამდენადაც განვითარდება სოცშეჯიბრება, რამდენადაც ახალგაზრდობა გაერთიანებს თავის ძალებს, სწორედ იმდენადვე უზრუნველყოფილი იქნება სოციალიზმის მშენებლობა".

აი, როგორ უკავშირებდა ამხ. ლენინი სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებას მუშა-ახალგაზრდობის ამოცანებს. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ მუშაობა ღარიბ-ღატაკი და საშუალო გლეხობის ახალგაზრდობის შორის. ჩვენ უნდა ჩავაბათ მთელი ეს ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საკოლმეურნეო-კოოპერატიულ სისტემაში.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით ჩვენში, საქართველოში, დასმულია დამატებითი ამოცანები სოფლის მეურნეობის აგრო-კულტურული რეკონსტრუქციისა, ე. ი. მარცვლეული კულტურების სპეციალური და ტექნიკური კულტურებით გამოძევების ამოცანება.

თავისი მიწისა და ნიადაგის პირობების მიხედვით საქართველო უნდა გადაიქცეს სპეციალური და ტექნიკური კულტურების ქვეყანად და ნედლეულის ბაზად, როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო მრეწველობისათვის. მარცვლეული კულტურები უნდა გამოძევებულ იქნან სპეციალური და ტექნიკური კულტურებით. ამ მხრივ ჩვენში ძლიერ ცოტა რამ არის გაკეთებული.

ჩვენ მხოლოდ ეხლა შევუდექით ამ საქმეს.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ და შევიმუშავეთ გეგმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა, კოლექტივიზაციისა და სოფლის მეურნეობების სპეციალიზაციის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში ჩვენ სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს კულაკობა, საქართველოში კენაფისა, რამისა და ბამბის გავრცელების გარშემო გამწვავებული კლასიური ბრძოლა გაჩაღდა. კულაკი გააფთრებით ებრძვის ტექნიკური კულტურების გავრცელებას ჩვენში.

ამ საქმეში ჩვენ წინააღმდეგობას გვიწევენ საქართველოს ნაციონალისტური ელემენტებიც.

რა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ეს ნაციონალისტური ელემენტები, როცა ისინი ეწინააღმდეგებიან ტექნიკური კულტურების გავრცელებას და ტექნიკური კულტურებით მარცვლეული კულტურების გამოძევებას?

ისინი გვეუბნებიან, რომ თუ ჩვენ სპეციალური და ტექნიკური კულტურებით გამოვაძევებთ სოფლის მეურნეობიდან მამაპაპურ მარცვლეულ კულტურებს, ჩვენ არ გვექნება საკუთარი პური და ამიტომ მუდამ „რუსეთისაგან" ვიქნებით დამოკიდებულნი.

ეს არის პირწავარდნილი კარჩაკეტილი ინტეგრალური მეურნეობის თეორია. აშკარაა, რომ მათ უნდათ საქართველოს მუშები და გლეხები ჩამოაშორონ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადს. ჩვენ მიზნად ვისახავთ საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ისეთი გეგმის განხორციელებას, რომელმაც ძირითადი გარდატეხა უნდა მოახდინოს მთელ მის სტრუქტურაში. სწორედ ამიტომ მომავალი წელი იქნება ჩვენთვის საქართველოს სოფლის მეურნეობის ბოლშევიკური რეკონსტრუქციის წელი არა მარტო საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ზრდის მხრივ, არამედ სპეციალური და ტექნიკური კულტურებით მარცვლეული კულტურების გამოძევების მხრითაც. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაძლიერდება. ჩვენ წინააღმდეგობას გვიწევს არა მარტო კულაკობა, არამედ ჩვენი საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა. ამით უფრო ყოველგვარად ისარგებლებს ჩვენი კლასიური მტერი, რათა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენი სოფლის მეურნეობის გადასვლას მარცვლეული კულტურებიდან სპეციალური და ტექნიკურ კულტურებზე. კულაკობისა და ნაციონალისტური ელემენტების ეს წინააღმდეგობა ჩვენი ბოლშევიკური გეგმის მიმართ სპეციალური და ტექნიკური კულტურებით მარცვლეული კულტურების გამოძევების საქმეში, აუცილებლად თავის გამოხატულებას ჰპოვებს ჩვენი პარტიის შიგნითაც. ჩვენ უკვე აშკარად ვხედავთ ამის ნიშნებს. ჩვენ უკვე გვაგონია ლაყბობა იმის შესახებ, რომ „ასეთ ტემპებს ჩვენ ვერ გავწევთ", რომ „ეს გეგმა არ არის რეალური", რომ „ჩვენს პირობებში ტექნიკური კულტურები არარენტაბელური კულტურებია" და სხვ.

ზოგიერთი ამხანაგი სერიოზულად ფიქრობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების რენტაბელობის პრობლემას. ისინი გვიმტკიცებენ, რომ შეუძლებელია გლეხობა გადავიყვანოთ ტექნიკურ კულტურებზე მაშინ, როდესაც გლეხობა ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არის იმაში, რომ ეს ტექნიკური კულტურები ძველ მარცვლეულ კულტურებზე უფრო რენტაბელურია.

ეს არის აშკარად ყალბი და მასთან მემარჯვენე ოპორტუნისტული მოსაზრება იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, საქართველოში სპეციალური და ტექნიკური კულტურები სრულებითაც არ არიან უფრო ნაკლებ რენტაბელური, ვინემ მარცვლეული კულტურები; მეორეს მხრივ, ეს წარმოადგენს ჩვენი გლეხობის ჩამორჩენილი ნაწილის დრომოჭმული აზრების კუდში ჩაბმას; ეს არის კულაკური და ნაციონალისტური მისწრაფებების გამოხატულება; ეს არის აშკარა დაუფარავი მისწრაფება თვითდინებისაკენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში; დასასრულ, ეს წარმოადგენს ცილისწამებას ჩვენი გლეხობის ღარიბი და საშუალო მასების მიმართ, ვინაიდან ყველგან, სადაც კი ჩვენ დარაზმულად შევუდექით ამ პრობლემის გადაჭრას, ყველგან, გლეხობის ძირითადი მასები ჩვენთან იყვნენ.

ამასთან ერთად, შესაძლებელია ისეთი გარემოებაც, როცა ახალ სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებზე გადასვლა შეიძლება ნაკლებ რენტაბელური იყოს ცალკე მეურნეობათათვის, განსაკუთრებით, კულაკების და შეძლებული გლეხობის ზედაფენების მეურნეობათათვის. მაგრამ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გავიზიაროთ კერძო სამეურნეო რენტაბელობის თვალსაზრისი, რომელიც მხოლოდ კულაკების სასარგებლო მოვლენას თუ წარმოადგენს.

ჩვენთვის რენტაბელური უნდა იყოს მხოლოდ ის, რაც რენტაბელურია ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად, რაც სასარგებლოა ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის. ხოლო ის, რაც რენტაბელური მთლიანად ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის, ცხადია, რენტაბელურია და ეფექტური გლეხობის საშუალო და ღარიბი მასებისათვის. ჩვენ, კომუნისტებს ამა თუ იმ კულტურის რენტაბელობის საკითხი არ შეგვიძლია განვიხილოთ დამოუკიდებლად მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სარგებლიანობისაგან.

პარტიამ და მასთან კომკავშირმა გადაჭრითი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ყველა ამგვარ აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულ მისწრაფებებს.

ჩვენს წინ მძიმე სამუშაოა, ჩვენ საუკეთესოდ უნდა დავრაზმოთ მოჯამაგირეთა და გლეხობის საშუალო და ღარიბი მასები, მათ შორის ახალგაზრდობაც, რათა მთლიანად შევასრულოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩვენ მიერ დასახული ბოლშევიკური რეკონსტრუქციის გეგმა. ჩვენ უნდა დავრაზმოთ ეს მასები კულაკობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ წინააღმდეგობის დასათრგუნავად. ამ საქმეში კომკავშირი პარტიის სერიოზულ დამხმარე ძალას უნდა წარმოადგენდეს.

პარტიასთან ერთად კომკავშირმა უნდა მისცეს გლეხობას მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მარცვლეული კულტურებიდან სპეციალურ და ტექნიკურ კულტურებზე გადასვლა, როგორ უნდა მოხდეს დაქუცმაცებულ და დაფანტულ ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა.

ჩვენში, საქართველოში, მიმდინარე წელს ცუდათ გვაქვს საქმე ბამბის დამზადებაში. ჩვენ ვერ შევასრულეთ ის გეგმა, რომლის იმედიც ჰქონდა საბჭოთა მრეწველობას. ნაცვლად 8.000 ტონა ბამბისა, ჩვენ მრეწველობას მხოლოდ 3.000 ტონა მივეცით; ამრიგად, დანაკლისი 5.000 ტონას უდრის. ასეთი დავალიანებით ვიწყებთ ახალ წელიწადს. მომავალი წლისათვის ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს ბამბის ნათესი სივრცის გადიდება 8.000 ჰექტარიდან 20,000 ჰექტარამდე. ეს გეგმა ყოველ მიზეზის გარეშე უნდა შევასრულოთ. ამ 20.000 ჰექტარიდან ჩვენ უნდა მივიღოთ 14.000 ტონა ნედლი ბამბა.

რათაც არ უნდა დაგვიჯდეს 1931 წელს ჩვენ უნდა მივცეთ მრეწველობას ეს 14.000 ტონა ბამბა.

მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მიმდინარე წლის დავალიანებაც 5.000 ტონის რაოდენობით, რომელიც ყოველი მიზეზის გარეშე უნდა გადავიხადოთ ამავე 1931 წელში.

თუ ჩვენ შევძლებთ ბოლშევიკურად ჩავატაროთ ბამბის კამპანია, თუ უზრუნველვყოფთ საშემოდგომო და საზამთრო დახვნას, თუ თავის დროზე მოვახერხებთ ბამბის გამარგვლას, მორწყვას და მოსავლის მოწევას, ერთი სიტყვით, თუ ჩვენ ბამბის ზრდის პროცესის ყველა ძირითად მომენტებს ბოლშევიკურად მოვკიდებთ ხელს, ჩვენ შევძლებთ არა თუ ჩვენი მოვალეობის შესრულებას საბჭოთა მრეწველობის წინაშე, არამედ ძველი დავალიანებასაც გადაუხდით მას. ამ საქმეში კომკავშირმა დიდი და სერიოზული დახმარება უნდა გაუწიოს პარტიას. კომკავშირმა ასეთივე დახმარება უნდა გაუწიოს პარტიას სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გეგმათა შესრულებაშიც. კომკავშირს შეფობა აქვს აღებული ჩვენი სახალხო მეურნეობის რამდენიმე დარგზე. იგი არის შეფი მეცხოველეობისა, კოლხეთის ჭაობების ამოშრობისა, საყოველთაო სწავლების ჩატარებისა, ელექტროფიკაციისა და სხვა. მე ეხლა არაფერს ვიტყვი თუ როგორ ახორციელებს კომკავშირი შეფობას სახალხო მეურნეობის ამ დარგებზე. ამის შესახებ, ალბად, ამხ. ბუჯიაშვილი მოგახსენებთ. მე მოგიწოდებთ, საქართველოს კომპარტიის სახელით, მიიღოთ შეფობა სოფლის მეურნეობის კიდევ ერთ დარგზე და ეს აღნიშნოთ ამ ყრილობის დადგენილებებში—მიიღოთ შეფობა საქართველოს ბამბაზე (ტაში).

გავაძლიეროთ ჩვენი კლასიური სიფხიზლე, ვამხილოთ კლასიური მტრები

ჩვენი სოციალისტური მშენებლობა გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში კლასიური მტრების, კულაკების, ნეპმანების, ემიგრანტების, იმპერიალისტების და სხვ. გამძვინვარებული წინააღმდეგობის პირობებში მიმდინარეობს. უკანასკნელ დროს, როდესაც სოციალისტურმა მშენებლობამ გადამწყვეტი გამარჯვებანი მოიპოვა, როდესაც სოციალიზმი გადაჭრით უტევს კაპიტალიზმს მთელი ფრონტით, ჩვენმა კლასიურმა მტრებმა უაღრესად განავითარეს თავიანთი აქტივობა პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენ იცით, რომ კულაკების იდეოლოგებისაგან ჩამოყალიბდა ე. წ. „გლეხთა შრომის პარტია", „კონდრატიევის, ჩაიანოვის და სხვ. მეთაურობით; ამ პარტიის მიზანი იყო მავნებლობა და სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპების ჩაშლა.

იცით აგრეთვე, რომ ბურჟუაზიის ნაშთების იდეოლოგებმა, იმ ბურჟუაზიის, რომელიც დიდმა ოქტომბერმა მოსპო, შექმნეს ე. წ. „სამრეწველო პარტია" რამზინის მეთაურობით; ეს პარტია მიზნად ისახავდა—აშკარა მავნებლობისა და ინტერვენციის საშუალებით აღედგინა კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში. იცით ისიც, რომ ორივე პარტია შეერთდა, ორივემ ბლოკი შეჰკრა მენშევიზმის ნაშთებთან (სუხანოვი, გრომანი და სხვ.). მათი ხელმძღვანელნი იყვნენ იმპერიალისტები და ფაქტიურად „საბჭოთა-სამრეწველო კომიტეტი", რომელიც ჩვენი ქვეყნიდან გაქცეული ბურჟუაზიის ორგანიზაციას წარმოადგენს. მავნებლობას ადგილი ჰქონდა ჩვენი მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, მავნებლობა ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ მომზადებულიყო პირობები ინტერვენციის გასაადვილებლად. ასეთ მოვლენებთან ჩვენ ნაყოფიერ ბრძოლას ვაწარმოებთ სახელმწიფოებრივი ზომებით.

რაც შეეხება იდეოლოგიურ ბრძოლას, იგი საქართველოში საკმარისად გაშლილი ვერ არის. იდეოლოგიური ბრძოლა რამზინშჩინისა და კონდრატიევშჩინის წინააღმდეგ სათანადოთ ვერ სწარმოებს. ჩვენი პრესა (როგორც გაზეთები, ისე ჟურნალები) საკმაოდ ვერ აშუქებდა კონდრატიევშჩინასთან ბრძოლის საკითხებს. ავიღოთ თუნდაც გაზ. „კომუნისტი". ოქტომბრის დამლევს მან მოათავსა ერთი წერილი (ამხ. ჩახვაძის) „კონდრატიევშჩინა"-ს შესახებ და მხოლოდ ამასწონად ერთი მიმოხილვა კრებისა, რომელიც შესდგა ფინანსიურ-ეკონომიურ ინსტიტუტში. გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში მეტი წერილები იყო მოთავსებული, მაგრამ არ ითქმის, რომ ამ წერილების ხარისხი დამაკმაყოფილებელი ყოფილიყო. სრულიად არ არის გაშუქებული რამზინშჩინა, როგორც სპეციფიური მოვლენა. ამ მხრივ მთელი ჩვენი პრესა დაკმაყოფილდა მხოლოდ უბრალო ცნობების მოთავსებით (სამრეწველო პარტიის) პროცესის შესახებ, მაგრამ ჩვენმა პრესამ ვერ მოგვცა მავნებლობის ამ ტიპის ვრცელი და დასაბუთებული სოციალ-ეკონომიური ანალიზი.

მეტად ნელი ტემპით იშლება დისკუსია კონდრატიევშჩინას შესახებ ჩვენს დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. ოქტომბრის დამლევს მოეწყო დისკუსია ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტში და მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში და შუა რიცხვებში გაიმართა ასეთი დისკუსია საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში. ისეთ სასწავლებელში როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დისკუსია დღემდე არ ჩატარებულა. კონდრატიევშჩინა ზოგჯერ ძალიან ვიწროდ ესმით. ბევრის აზრით ეს მხოლოდ პირდაპირი და აშკარა მავნებლობაა ისიც მარტოოდენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში. ამიტომ ბევრი გაკვირვებული იყო, „რათ უნდა მოეწყოს ასეთი დისკუსია პედაგოგიურ ინსტიტუტში"-ო. ზემოაღნიშნული წერილები კონდრატიევშჩინას სწორედ ასეთი ვიწრო აზრით აშუქებენ და მის საერთო სოციალურ-ეკონ. ანალიზს არ იძლევიან. არც ერთი დისკუსია არ ჩატარებულა ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და სხვა დაწესებულებებში სპეციალურად რამზინშჩინას შესახებ. რამზინშჩინის სფეროში ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ „მეტინგებით", სადაც ინჟინერები და პროფესორები საზეიმო დეკლარაციებით გამოდიოდნენ. თუ ზემოაღნიშნულ წერილებს დავახასიათებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ამხ. ორახელაშვილის წერილი (იხ. „ზარია ვოსტოკა" 27 ოქტ. და 6 ნოემ.) დაწერილია მეტად რბილი და თითქმის ლიბერალური ტონით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორს თითქოს სურს კონდრატიეველებს რწმენა შეუცვალოს, დაუმტკიცოს მათ, რომ ისინი ცდებიან, რომ ისინი მარქსიზმს არ იცნობენ და სხვ. ეს მდგომარეობა სრულიად სამართლიანად იყო აღნიშნული გაზ. „პრავდა"-ში ნოემბრის 21-ს.

ასეთი რბილი ტონი და ლიბერალური სული დაჰკრავს ამხ. გახანოვის წერილს „ზარია ვოსტოკა"-ში (8 ნოემბ.); ამ წერილში დაშვებულია მეორე სერიოზული შეცდომა: აქ კონდრატიევშჩინა არ არის დაკავშირებული მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან. ამხ. ჩახვაძის წერილშიაც კონდრატიევშჩინა სრულიად არ უკავშირდება ოპორტუნისტულ გადახრებს ჩვენს პარტიაში. ეს შეცდომა ამხ. ჩახვაძემ გამოასწორა თავის მეორე წერილში (იხ. „ზარია ვოსტოკა" 16 დეკ.) და აგრეთვე იმ წერილში, რომელიც მოთავსებულია „ბოლშევიკი"-ს 7-8 ნომერში (ქართული)). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი წერილი, თუმცა არასაკმარისად, მაგრამ მაინც შეეხება კონდრატიევშჩინის სოციალურ ბაზას, რასაც სხვა წერილებში ვერ ვხედავთ.

საფინ.-კოოპერატიულ ინსტიტუტში მოწყობილ დისკუსიაზე აუდიტორია იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ოვაციებით ხვდებოდნენ; ამ ოვაციებში ზოგიერთი კომუნისტები და კომკავშირელებიც კი ღებულობდნენ მონაწილეობას. უფრო მწყობრად ჩატარდა დისკუსია პედაგოგიურ ინსტიტუტში, თუმცა ზოგიერთი შეცდომები აქაც იყო. ზოგიერთმა პროფესორებმა (მემარჯვენეებმა) აშკარად დაამტკიცეს თავისი კონტრ-რევოლუციონერობა. მოხდა აგრეთვე ზოგიერთების გამორკვევა იმ პირთა შორის, რომელნიც შეგნებულად „ჭაობში" ითვლებოდნენ. მათ გამოააშკარავეს თავიანთი ანტიმარქსისტული იდეოლოგია. დისკუსიის შედეგად შესაძლებელი გახდა პროფესორთა შორის ერთგვარი დიფერენციაცია მოგვეხდინა.

ამ დისკუსიებმა უდიდესი დადებითი შედეგი მოგვცა, პროლეტარული სტუდენტობა გაეცნო თავის პროფესორებს და საკუთარი სიფხიზლე გააძლიერა. მხილებული პროფესორები, რომელთაც დაინახეს ესოდენ მოულოდნელი და სერიოზული შეტევა არა მარტო კომუნისტ-მეცნიერ მომუშავეების მხრივ, არამედ პროლეტარული სტუდენტობის მხრივაც, ცოტა არ იყოს, ჩაფიქრდნენ.

უნდა მოხდეს მთელი ჩვენი პრესის, ყველა ჩვენი საწარმოს და დაწესებულების აქტივიზაცია, რათა სავსებით განხორციელდეს კონდრატიევშჩინის მხილება ფართო მნიშვნელობით და აგრეთვე რამზინშჩინის მხილება; ამასთანავე ეს პოლიტიკური კამპანია უნდა დაუკავშირდეს ბრძოლას ორ ფრონტზე—ბრძოლას, პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ.

მე ვაცხადებ, რომ პარტიაში და კომკავშირში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გაშლილი ახსნა-განმარტებითი მუშაობა კონდრატიევშჩინის და რამზინშჩინის შინაარსის შესახებ; ჯერჯერობით ჩვენ ამ მოვლენებს არსებითად სახელმწიფოებრივი ხასიათის ზომებით ვებრძვით, იდეოლოგიური ბრძოლა კი ნაკლებად არის განვითარებული; უნდა ითქვას, რომ ბევრმა ხეირიანად არც კი იცის რას წარმოადგენს ეს კონდრატიევშჩინა, თუ რამზინშჩინა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები საჭირო სიფხიზლეს ვერ იჩენენ მავნებლობის მიმართ. როგორც იცით, მავნებლები ათასნაირი ნიღაბით გვევლინებიან: ისინი გამოდიან როგორც საბჭოთა ხელისუფლების „[illegible]" დამცველნი, „გულმოდგინედ" მუშაობენ 12-14 საათს, სხედან, სწერენ, ხაზავენ, ადგენენ გეგმებს, „აღფრთოვანებით" იხსენიებენ საბჭოთა ხელისუფლებას და სხვ., ნამდვილად კი ისინი ცდილობენ თავს მოგვახვიონ ისეთი გეგმები, რომელთა განხორციელებასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალისტური მშენებლობის ჩაშლა და სხვ. ზოგიერთი მომუშავენი ამას ვერ ამჩნევენ, რადგანაც სათანადო კლასიური სიფხიზლით ვერ ეკიდებიან ყველა იმ მოვლენებს, რომელსაც მავნებლები მიმართავენ, რათა თავისი მავნებლობა დამალონ. წარმოებაშიაც ასეთივე სურათი გვაქვს. თუ რამ გაფუჭდა, ისინი თავს იკლავენ, ფუსფუსობენ, „ერთგულებისაგან" ოფლად იღვრებიან, მაზუთსა და მტვერში მიძვრებიან, ერთი სიტყვით თავს არ იზოგავენ ნაყოფიერი სამეურნეო მშენებლობისათვის.

საქართველოში გასავალი აქვს ერთ საინტერესო თეორიას, რომელსაც ნაციონალისტური ელემენტები ავრცელებენ; ეს თეორია ამტკიცებს,—შეუძლებელია, რომ ქართველი საქართველოში მავნებელი იყოსო. ისინი ამბობენ, რომ ქართველები თავის სამშობლოს არ უღალატებენ და ამიტომ ისინი მავნებლებიც ვერ იქნებიანო. რომელ სამშობლოზეა ლაპარაკი? საბჭოთა საქართველო ნაციონალისტისა, ბურჟუაზიულ ნაშთებისა და მემამულე-ფეოდალური ელემენტებისათვის სამშობლოს არ წარმოადგენს; ეს არის საქმის თავი და ბოლო. მათთვის საბჭოთა საქართველო სამშობლო არ არის, სწორედ ამიტომ ცდილობენ ავნონ ამ საქართველოს. სულ სხვა არის, რომ საქართველო ბურჟუაზიული და ფეოდალური ქვეყანა იყოს; მაშინ, რაღა თქმა უნდა, ისინი მავნებლობას არ ჩაიდენდენ. ეს მავნებელი თეორია უნდა ვამხილოთ ყველგან და ყოველთვის, იგი ძირიან-ფესვიანად უნდა ამოვგლიჯოთ.

ასეთ თეორიას მოთმინებით და შემარიგებელი განწყობილებით ვერ მოვეკიდებით. ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი ამბები უყურადღებოთ დავტოვოთ. უკვე არის იმის მაჩვენებელი ფაქტები, რომ ქართველი საქართველოში შეიძლება მავნებელი იყოს. თქვენ იცით, რომ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოში აღმოჩენილი იქნა რამდენიმე ინჟინერი, მათ შორის ქართველებიც, რომელნიც მავნებლობას ეწეოდნენ; ეს მავნებლობა სულ უკანასკნელ დროს გამოაშკარავდა.

ბოლო დროს გამოცოცხლება ემჩნევა ყველა კლასიურ მტრებს და მათ პირდაპირ აგენტებს—მემარჯვენეებს, კონტრ-რევოლუციონერ ტროცკისტებს, მენშევიკებს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დროს ზოგიერთ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში შესუსტდა ყურადღება მენშევიზმთან და კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმთან ბრძოლისადმი. ამ მტრული ძალების გამოცოცხლება გვაკისრებს იმას, რომ მოვახდინოთ ყველა ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივიზაცია მათთან ბრძოლის საქმეში.

კლასიურ მტერს არ სძინავს. ჩვენზეა დამოკიდებული, რომ თავი არავის მოვატყუებინოთ. ჩვენი გადაუდებელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ კლასიური სიფხიზლე, დაუნდობლად ვამხილოთ და დავამხოთ როგორც აშკარა, ისე ფარული კლასიური მტრები და მათი იდეოლოგები.

თავდავიწყებით ვიბრძოლებთ პარტიის გენერალური ხაზისათვის, ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე

სოციალისტური მშენებლობა ახალ ეტაპზე უსათუოდ გამოიწვევს კლასიური მტრების გამძაფრებულ წინააღმდეგობას ყველა ფრონტზე.

ჩვენ ვნახეთ კლასიური მტრების წინააღმდეგობა სამეურნეო ფრონტზე.

მაგრამ კლასიური მტრები გვებრძვიან აგრეთვე იდეოლოგიისა, ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტზე.

კლასიური მტერი ძალიან კადნიერად აფასებს ხელოვნების როლს და ცდილობს გამოიყენოს ის როგორც ფართო მასებზე პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის მძლე იარაღი.

თეატრის დარგში მეტად თვალსაჩინოდ მჟღავნდება კლასიური ბრძოლა. ჩვენი თეატრი, რომელიც თანამგზავრ თეატრად უნდა ჩაითვალოს, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ნაციონალისტური და ბურჟუაზიულ-მეშჩანური გემოვნებისაგან. რას ნიშნავს პასკვილური კომედიის—„კაკალ გულში"—დადგმა, რომელიც კლასიური მტრის სარკაზმით დასცინის დაწინაურებას და საბჭოთა აპარატს. ამ კომედიაში თვითკრიტიკის ნიღაბქვეშ მეშჩანები და ობივატელები ხითხითებენ. აქ ფრთას შლიან [illegible] მტრული განწყობილებანი. ანდა რა არის შილლის პიესის „ბეატრიჩეს" დადგმა. რამდენიმე საათის განმავლობაში საზოგადოება მაყურებელს უჩვენებენ იმას, რომ ვიღაც დეგენერატი—ფეოდალი ცდილობს საკუთარ ქალიშვილს დაეუფლოს,—ეს მეტი რომ არა ვთქვათ, ნიშნავს საბჭოთა თეატრის ამოცანების არ გაგებას, ან და კიდევ დადგმა არსებითად რეაქციონული პიესისა, როგორიც არის რობაქიძის „ლამარა".

პროლეტარული დრამატურგიის სექტორი ჯერ-ჯერობით სუსტია. ჩვენ გვაქვს მხოლოდ თითო-ოროლა პირველი ცდები, პირველი მიღწევები, მუშათა კლუბებში და სოფლის სცენაზე კიდევ, უფრო მეტია მეშჩანური, მავნებელი, ხოლო ზოგჯერ აშკარად კონტრ-რევოლუციონური ძველი პიესები.

კლასიური ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე კინოს სფეროშიაც. ამას წინად ჩვენ გვქონდა ფაქტი (არსებითად) პიესის—„კაკალ გულში" კინოფიკაციისა „ბებია ჩემის" სახით. ჩვენი კინო-წარმოება ჯერ-ჯერობით ვერ გვაძლევს ისეთ ძალებს, რომელნიც შესძლებენ დაუპირისპირდნენ საზღვარგარეთის (და აგრეთვე ჩვენი) ბურჟუაზიულ-მეშჩანურ ფილმებს; ეს ფილმები კი ისწრაფვიან გახრწნან ან შეასუსტონ მასიური მუშა და გლეხი მაყურებლის აქტიური რევოლუციონური ნებისყოფა.

მუსიკის დარგში ჯერ კიდევ გაბატონებულია მეშჩანურ-ობივატელური, ფეოდალურ-ბურჟუაზიული გემოვნება და იდეოლოგია.

მწვავე კლასიური ბრძოლა სწარმოებს მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე. ადგილი აქვს მკვეთრ გარდატეხას და ძალთა გადაჯგუფებას. მხატვრულად გაძლიერებული და იდეოლოგიურად განმტკიცებული გამოდის პროლეტარული ლიტერატურა. პროლეტარულმა ლიტერატურამ გადადგა ნაბიჯები თავისი იდეური ჰეგემონიის უზრუნველყოფის გზაზე. პროლეტარული ლიტერატურის ზრდას უპირისპირდება ფეოდალურ-ბურჟუაზიული, კულაკური ლიტერატურის ნაშთები. მერყევ წვრილ ბურჟუაზიულ მწერალთა შორის ადგილი აქვს ფენებად დაყოფას. მათი განსაზღვრული ნაწილი ბურჟუაზიულ-კულაკური ლიტერატურის პოზიციაზე გადადის ნაწილი კი პროლეტარულ იდეოლოგიას უახლოვდება.

მწერალთა რეაქციონური ნაწილი აქტიურად იბრძვის. ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია ინგოროყვას და სხვ. მეთაურობით, რეაქციონური მწერლების ორგანიზაციული ციხე-სიმაგრე იყო. „აკადემიკოსებს" ჰქონდათ თავის გამომცემლობა „ქართული წიგნი", რომლის გარშემოც მათ დარაზმეს რეაქციონური, ნაციონალისტური ინტელიგენცია. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ, შესძლო განდევნა პოზიციებიდან ეს „აკადემიკოსები" და მათი ყველაზე უფრო „კოლორიტული" წარმომადგენელნი ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, [illegible] დედაბრიანი და სხვ. აკადემიურმა ასოციაციამ პროლეტარულ და საბჭოთა მწერლობისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის კომუნისტური კრიტიკის გავლენით, თავისი თავი დაშალა. გამომცემლობა „ქართული წიგნი" ამ „აკადემიკოსებს" წავართვით და ამჟამად ხდება [illegible] გამომცემლობის გასაბჭოება. თვითეული კლასიკი, რომელიც ინგოროყვამ „ქართული წიგნის" საშუალებით გამოუშვა (სათანადო შერჩევით და კომენტარიებით), ცოცხალი პროპაგანდისტი იყო რეაქციონური, ნაციონალისტური იდეებისა.

უკანასკნელ ხანებში ლიტერატურის რეაქციონური ფრონტი ძლიერდება. მერყევ მწერალთა ერთი ნაწილის ხარჯზე ზოგიერთი მწერლები, რომელთაც წინათ თანამგზავრობის პრეტენზია ჰქონდათ, აშკარად მემარჯვენე ბანაკში გადავიდნენ. ასე მოიქცა მაგალითად, მწერალი მიხ. ჯავახიშვილი.

ამ პროცესებთან ერთად ლიტერატურაში იზრდება და მტკიცდება ნამდვილ თანამგზავრთა რაზმი, ისეთი თვალსაჩინო პოეტი, როგორიც არის გალაქტიონ ტაბიძე, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ყველაფერი რაც ქართულ ლიტერატურაში ჯანსაღი და სიცოცხლის უნარიანია, ორგანიულად იცვლება და რევოლუციის მხარეზე გადადის. ასეთივე მაგალითს წარმოადგენს საუკეთესო ნაწილი მემარცხენე მწერალთა ჯგუფიდან.

პარტიის ხაზი ლიტერატურის სფეროში, რომელიც განუხრელად ტარდებოდა მთელი წლების განმავლობაში არსებითად შემდეგში გამოიხატება: დაუნდობელი, შეურიგებელი ბრძოლა მწერალთა რეაქციონური ნაწილის წინააღმდეგ, გამოაშკარავება მათი მოქმედების კლასიურად მტრული ბუნებისა; დახმარების გაწევა პროლეტარულ მწერლებისათვის ჰეგემონიის მოპოვების საქმეში.

სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი რეზოლიუცია პარტიის პოლიტიკის შესახებ ლიტერატურის სფეროში (1925 წ.), რომელმაც ამ წლების განმავლობაში თავისი ყველა დებულების სისწორე დაგვიმტკიცა, აყენებდა თანამგზავრებისადმი დიფერენციალური მიდგომის ამოცანას, გვაძლევდა დირექტივას მათდამი ტაქტიკური და ფრთხილი მოპყრობის შესახებ.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების დღევანდელ ეტაპზე თანამგზავრობის პრობლემა სხვაგვარად უნდა დაისვას. რეკონსტრუქტიული პერიოდის თანამგზავრებს ახალი მოთხოვნილებები უნდა წაეყენოთ. რევოლუციის მიღება და საბჭოთა ხელისუფლებისადმი „თანაგრძნობა"—ეს თანამგზავრისათვის სრულიადაც საკმარისი არ არის. თანამგზავრი უნდა შეუერთდეს სოციალისტური შეტევის ტემპს. მან უნდა შეიგნოს პარტიის ისეთ ღონისძიებათა სისწორე, როგორიცაა კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე და სხვ. თანამგზავრმა უნდა გაიზიაროს მუშათა კლასის ძირითადი სოციალისტური ამოცანები დღევანდელ ეტაპზე და მონაწილეობა მიიღოს ამ ამოცანების გადაწყვეტაში. ასეთი თანამგზავრი მუშათა კლასის „მოკავშირედ" გადაიქცევა.

ძირითადი ლიტერატურული ორგანიზაცია, რომელსაც პარტია ეყრდნობა, არის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

პროლეტარული ლიტერატურა გაიზარდა, გაფართოვდა, გამტკიცდა და გადაიქცა ძლიერ მიმდინარეობად. რომელიც ლიტერატურის რეაქციონურ ნაწილს უპირისპირდება. მომწიფდნენ პროლეტარულ მწერალთა ახალი კადრები. მწერალთა რეაქციონური ფრონტის მიმართ შეტევამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ამ ფრონტის წარმომადგენელთა მხრივ. რეაქციონური მწერლები ეცადნენ გავლენა მოეხდინათ პროლეტარულ მწერალთა ნაკლებ მტკიცე და ნაკლებ გამორკვეულ ელემენტებზე. ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობის დროს, როდესაც პროლეტარული მწერლები გადაჭრით ებრძოდნენ რეაქციონურ ფრონტს, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში გაჩნდა მემარჯვენე ჯგუფი (ვაკელი, მუზნიკაშვილი, სამსონიძე, ზომლეთელი, ლისაშვილი), რომელიც ამ ასოციაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოვიდა. ეს ჯგუფი აშკარად იცავდა რეაქციონურ-ბურჟუაზიულ მწერლებს. მათ შეიტანეს განცხადება ცენტრალურ კომიტეტში, სადაც სწერდნენ, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის ხაზი უვარგისია, რომ „ცისფერი ყანწელები" და ჯავახიშვილი და სხვ. არ არიან თანამგზავრები (მათი აზრით კი ისინი თანამგზავრები იყვნენ) „და ამაში მთლიანად ბრალი მიუძღვის სუსტ ხელმძღვანელობას და ხაზის უვარგისობას, რასაც ღრმად ადგილი ქონდა მწერალთა ფედერაციის მიმართ პროლეტარულ მწერალთა მხრით".

ამ ჯგუფმა საერთო ენა გამონახა რეაქციონურ მწერლებთან და, მათთან შეკავშირებულმა, ბრძოლა დაიწყო, სრულიად დაუშვებელი ინტრიგებისა და კინკლაობის მეთოდებით, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობას, რომელიც სწორ ხაზს ატარებდა. მეორეს მხრით ამიერ-კავკ. პროლ. მწერ. ასოციაციაში მოხდა ისეთი ამბები, რასაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ლომინაძის ხაზთან. საქმე ის არის, რომ ლომინაძეს ლიტერატურაში თავისი ხაზი ჰქონდა, ხაზი, რომელიც ორგანიულად მისი პოლიტიკური ხაზიდან გამომდინარეობდა. იგი მომხრე იყო ოპოზიციონური „მემარცხენე" დაჯგუფებისა, რომელიც თავის თავს „ლიტფრონტს" უწოდებს; ეს ბლოკი („ლიტფრონტი") იბრძოდა რუსეთის პროლ. მწერ. ასოციაციის სწორი ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ. „ლიტფრონტი" ობიექტიურად, საერთოდ, გამოიყენა სირცოვ-ლომინაძის ორპირმა ბლოკმა, რომელიც ცდილობდა შეექმნა მისგან ერთ-ერთი დასაყრდენი ბაზა კულტურულ ფრონტზე პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სირცოვ-ლომინაძის ჯგუფი „ლიტფრონტს" შიგნით უშუალოდ ეყრდნობოდა იმ ორპირებს, რომელნიც ამჟამად პარტიიდან გამორიცხულნი არიან (ზონინი, გალპერინი, პანკრუშინი და სხვ.) ამ გარემოებამ ყველაზე მკვეთრად თავი იჩინა ამიერ-კავკასიაში, ლომინაძემ, რომელიც ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო, გადასწყვიტა ამიერ-კავკ. პროლ. მწერალთა ასოციაცია თავისი ორპირული ანტიპარტიული პოლიტიკის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენად გაეხადა.

ლომინაძეს არა ერთხელ დაუბარებია თავისთან ამიერ-კავკ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბუაჩიძე და ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტ. პროპ. განყოფილებისა და ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მომუშავე—ტატულოვი და მიუცია მათთვის წინადადება თავიანთი პოზიცია შეეცვალათ. ტატულოვი სწრაფად შეუერთდა ლომინაძის ხაზს, ამიერ-კავკ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს ფრაქციის სხდომაზე, აგვისტოს 14-ს, [illegible] „ლიტფრონტის" ხაზი.

ამის შემდეგ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა ამხ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ლომინაძის ხაზს მკვეთრად უპირდაპირდებოდა. სისტემატიური წინააღმდეგობისა და ბრძოლისათვის საქართველოს პროლეტ-მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა, ამხ. ბუაჩიძის მეთაურობით ლომინაძისა და მის კვალზე დამდგარ ტოროშელიძის გავლენით, მოხსნილ იქნა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რომელშიაც პოლიტიკური შეფასება მისცა ლიტერატურულ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. ამ დადგენილებაში, კერძოდ გამომჟღავნებულია და შეფასებულია ტოროშელიძის პოზიცია კულტურის ფრონტში როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტული.

ამჟამად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ნორმალურ მუშაობას იწყებს; მან უკანასკნელ დროს სერიოზული პოლიტიკური გამოცდა ჩააბარა, მაგრამ საჭიროა, რომ ამხანაგებმა ფხიზლად შეაფასონ თავიანთი გამარჯვება, გაშალონ თვითკრიტიკა და ბრძოლა ორ ფრონტზე, დაუნდობლად შეუტიონ თანამედროვე ეტაპზე მთავარ მემარჯვენე საფრთხის ყოველგვარ გამოხატულებას, „მემარცხენე" გადახვევებს მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკს—და მათთან შემარიგებლობას; მაგრამ საჭიროა რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ ლიტერატურულ ფრონტზე გამართულ ბრძოლიდან გამარჯვებით გამოსულმა არ მოუყვიდეს თავბრუ დახვევა ამ გამარჯვებიდან. ამნაირი გაფრთხილება ჩვენ აუცილებლად უნდა მივცეთ. საჭიროა დაუცხრომელი ბრძოლის წარმოება ლიტერატურის რეაქციონურ ფრონტთან. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ამჟამად ატარებს დამკვრელ მუშათა გაწვევას ლიტერატურაში. ეს დიდი, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომლის განხორციელებითაც მუშათა ელემენტები პროლეტარულ ლიტერატურაში გაძლიერდებიან. საჭიროა, რომ როგორც საერთოდ, ისე ამ საქმეშიაც პროლეტარულ მწერლებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს პარტიულმა და კომკავშირულმა საზოგადოებრიობამ.

კლასიური მტერი გვებრძვის ისეთი პოზიციებიდანაც, რომელიც ჩვენში ნაკლებ ეჭვებს იწვევს. მაგალითად „პრავდა"-ს მოჰყავს საინტერესო ცნობა ლენინის სახელობის ერთი ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ. სახლი, სადაც ერთ დროს ვლადიმერ ილიჩი ცხოვრობდა გადაცემულ იქნა სპეციალურად მისი სახელობის ბიბლიოთეკის მოსაწყობად. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელად დანიშნეს ვინმე ვინოგრადოვი, ხოლო საბავშო განყოფილების გამგეთ ამ უკანასკნელმა დააყენა თავისი და.

ბიბლიოთეკა აქტიურად აწვდიდა რელიგიურ წიგნებს როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს; ბავშვებს აძლევდენ „მხიარულ ლექსებით მდიდარ წიგნებს:

Повсюду благовесть гудит
Из всех церквей народ валит,
Заря глядит уже с небес
Христос Воскрес, Христос Воскр ес.

მოზრდილთა განყოფილებაში რელიგიური წიგნებით ფორმალობისათვის არჩევენ და პოლიტგანათლების სამართველოს შეატყობინებს—„ძველებური ლიტერატურის ბალასტი თავიდან მოვიშორეთ"-ო.

ამავე დროს რელიგიური წიგნები არქივიდან ეძლეოდათ დიასახლისებს და მოსამსახურეებს, გამოყენებულ იქნა ძველი ნაცადი ხერხიც: საბჭოთა წიგნში სდებდენ ბროშურას „В скорби богу покорна".

ამ მხრივ უცოდველი არც ჩვენი ბიბლიოთეკებია. მაგალითად, განათლების მუშაკთა კავშირის ბიბლიოთეკიდან 9-10 წლის ბავშვებს აძლევენ ძველ ჟურნალს—„მთამბს".

ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ საჭიროა გავაძლიეროთ კლასიური სიფხიზლე სამეურნეო და კულტურული ფრონტის ყველა დარგში.

კლასიურ მტრებს ხელიდან უნდა გამოვტაცოთ ხელოვნებაც, ლიტერატურაც, ბიბლიოთეკაც და წიგნიც. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა პროლეტარული თეატრისათვის, პროლეტარული ხელმძღვანელობისათვის, პროლეტარული ლიტერატურისათვის, საბჭოთა წიგნისა, საბჭოთა ბიბლიოთეკისა, საბჭოთა საბავშო ლიტერატურისათვის და სხვ.

სწრაფი ტემპებით ჩავატაროთ მორიგი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები

ტემპები, რომელიც ჩვენს მიერ აღებულია სამეურნეო განვითარებისა და საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სფეროში, მოითხოვენ აგრეთვე მუშაობის სათანადო სწრაფ ტემპებსა და მეთოდებს. სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ ქალაქად და, განსაკუთრებით, სოფლად და რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ მუშათა ფართო მასები ქალაქად და კოლმეურნეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მასები სოფლად, აუცილებლად უნდა განხორციელდეს მასიური მუშაობის იმავე მებრძოლი ბოლშევიკური ტემპებით. სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები, როგორიც არის სოფლის მეურნ. პროდუქციის დამზადება, ფულადი რესურსების მობილიზაცია, საშემოდგომო და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიები, კოლმეურნეობათა ორგანოების არჩევნები და სხვ.,—მკვეთრად უნდა გამოხატავდენ და გამოხატავენ კიდეც ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს.

ეს კამპანიები არსებითად ნიშნავს რეალურ ასრულებას პრაქტიკაში ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისა სოციალისტური მშენებლობის სფეროში. ეს დებულება თანაბრად ვრცელდება, როგორც სამეურნეო მნიშვნელობის კამპანიებზე (დამზადებანი, საგაზაფხულო თესვა და სხვ.), ისე იმ კამპანიებზედაც, რომელთა მიზანიც არის მასების კულტურული დონის ამაღლება, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცება და სხვ.

ავიღოთ ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის საყოველთაო-სავალდებულო სწავლება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს საკითხებიც კლასიური ბრძოლის საკითხებია, მათი მიზანიც იგივე სოციალიზმის მშენებლობაა ჩვენს ქვეყანაში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხებს ლენინი თავის დროზე უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ლენინი სწერდა, რომ „გაუნათლებელ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია", რომ „ამისათვის საჭიროა, რათა თითონ ახალმა თაობამ მოკიდოს ხელი ამ საქმეს"; „სიტყვით—ეს ჩვენი საქმეა, შევერთდებით და მივაშურებთ სოფლებს, რათა ჩვენს მოზარდ თაობას არ ჰყავდეს წერა-კითხვის უცოდინარი". აქედან ცხადია, თუ რა ამოცანა დგას ახალი თაობის წინაშე და რა ამოცანა დააკისრა ლენინმა ახალ თაობას წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმეში.

ავიღოთ ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის პურის დამზადება ან სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, საშემოდგომო ან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია და სხვ.. ყველა ეს ღონისძიება მარტო ვიწრო სამეურნეო მნიშვნელობის როლიც; მათ ამავე დროს უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვთ. გეგმიანი დამზადების საშუალებით ჩვენ ვამაგრებთ სოციალისტური ინდუსტრიის საფუძვლებს, ვაწვდით მას საჭირო ნედლეულს, ვზღუდავთ და ვაძევებთ კაპიტალისტურ ელემენტებს, ვაფართოვებთ სოციალისტური სექტორის გავლენას სოფლის მეურნეობაში. დამზადებათა საშუალებით და მათ საფუძველზე ჩვენ ვრაზმავთ კლასიურ ძალებს სოფლად, რათა გადაჭრით შეუტიოთ კულაკობას და გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ კლასიური მტრების წინააღმდეგ.

ყველა ამ კამპანიებს, როგორც ვსთქვი, აქვს არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც; და სცდებიან ისინი, ვინც ამ კამპანიებს მხოლოდ სამეურნეო თვალსაზრისით უყურებს. ეს კამპანიები ემსახურებიან როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკურ ამოცანებს; ასეთი ამოცანებია, მაგალითად, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ფართო მასების ორგანიზაცია, მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების მოქმედების გაძლიერება, ჩვენი კლასიური ძალების დარაზმვა სოფლად, რათა ამ გზით განხორციელებულ იქნეს ის ღონისძიებანი, რომელთა მიზანიც არის საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი ზრდა, კოლმეურნეობებში გლეხობის ახალი მასების ჩაბმა და ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მობილიზაცია კულაკობასთან საბრძოლველად და მის განსადევნად. აი, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ყველა ზემოაღნიშნულ კამპანიას. ამ კამპანიების ჩატარების დროს უნდა გამოვიყენოთ მუშაობის ახალი სოციალისტური მეთოდები და ფორმები, როგორიც არის: სოცშეჯიბრი, დამკვრელობა, შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმების დამუშავება და სხვ. ყველა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ, როგორც ცენტრში, ისე განსაკუთრებით ადგილობრივ, უნდა იბრუნოს პირი აღნიშნულ კამპანიებისაკენ. ეს იქნება ნამდვილი პრაქტიკული დახმარება ჩვენი პარტიის გენერალური გეგმის ასრულების საქმეში.

სოციალისტური მშენებლობის მაღალ ტემპებთან ერთად, ჩვენ, ამხანაგებო, უნდა აღვმართოთ ბრძოლის დროშა ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის: ჩვენ უნდა განვახორციელოთ ლოზუნგი—„დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიური მხრით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს". ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გავშლით მუშების, კოლმეურნეების, მოჯამაგირეების, ღარიბების და საშუალო გლეხების შემოქმედებით ინიციატივას, თუ შევძლებთ, რომ მათში გამოვიწვიოთ საწარმოო ენტუზიაზმი, თუ განვამტკიცებთ და კიდევ უფრო განვავითარებთ მთელი მასების აქტივობას ჩვენს მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

მაღლა ავსწიოთ ბრძოლის დროშა სოციალისტური მშენებლობის კადრებისათვის

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, პარტიის ლოზუნგის—„დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკურ-ეკონომიურ მხრივ"—რეალიზაცია და კლასიური ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და მთელი სიმწვავით აყენებს კადრების მომზადებისა და გადამზადების პრობლემას.

კადრების პრობლემა პოლიტიკური პრობლემაა. ამ პრობლემის გადაჭრა ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფას.

არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი კლასიური მტრებიც კი გრძნობენ კადრების საკითხის მთელს სიდიადეს. „რუსეთში პროფესიონალურ მომზადებულ ინჟენერების კადრების შექმნა ბევრად უფრო სერიოზული საკითხია, ვინემ ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ... სპეციალისტების მომზადების პრობლემა წარმოადგენს უდიდეს პრობლემას, რომელიც ეხლა საბჭოების წინაშე სდგას, იგი ბევრად უფრო დიდი პრობლემაა, ვინემ ის პოლიტიკური საკითხები, რომელიც ამდენ აურზაურს იწვევენ მსოფლიოში",—სწერს ჩვენში გავლით მყოფი გაზეთ „მანჩესტერ გარდიენის" კორესპონდენტი.

ჩვენს პარტიაში მხოლოდ მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებს და შემარიგებლებს რომელნიც გვიქადაგებენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებას, არ ესმით ახალი კადრების მომზადების პრობლემის მთელი სიმწვავე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ქრონიკა

საპაიო თანხების შეგროვება

ოქტომბერ-ნოემბრის განმავლობაში ა. კ. სამომხმარებლო კოოპერაციამ საპაიო კაპიტალის სახით შეაგროვა 5.268.700 მანეთი, რაც განსაკუთრებული კვარტალის გეგმის 68,7 პროც. შეადგენს.

საქართველოში ოქტომბერ-ნოემბერში განსაკუთრებული კვარტალის გეგმა შესრულებულია 65,9 პროც.

ლ. მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო

2 იანვარს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ლადო მესხიშვილის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო, რომელზედაც ხელოვნების მთავარ სამმართველოს მიერ მივლინებულია სათეატრო მუზეუმის გამგე დ. არსენიშვილი, რომელსაც თან მიაქვს მესხიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა.

სხვადასხვა

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ., 13), შესდგება ა.-კ. დრამკომის გამგეობის სხდომა.

◆ დღეს, საღამოს 6 საათზე, სას.-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში შესდგება სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, ლექტორთა და ტექნიკურ პერსონალის საერთო კრება. დღის წესრიგშია საბჭოს დეპუტატების არჩევნები. ამავე საკითხზე დღესვე საღამოს 7 საათზე შესდგება საფინანსო-კოოპ. ინსტიტუტის სტუდენტთა, პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალის საერთო კრება.

◆ დღეს, საღამოს 7 საათზე, სამშენებლო ინსტიტუტში შესდგება პროფესორ-ლექტორთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა საერთო კრება, რომელზედაც ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გაბრიჩიძე გააკეთებს მოხსენებას: „ინსტიტუტის განვლილი მუშაობის შედეგები და შემდგომი ამოცანები".

◆ დღეს, 31 დეკემბერს, სატყეო ინსტიტუტში შესდგება საწარმოო თათბირი საწარმოო პრაქტიკის შესახებ—სატყეო-საინჟ. ფაკ. პირველი კურსის სტუდენტებს 12 საათზე, მესამე კურსის—1 საათზე, სატყეო-სამეურნეო—პირველი კურსის 10 საათზე და მეორე კურსის 11 საათზე.

კულტსაბჭოების დაარსება ადგილებზე

კულტურულ მშენებლობაში გეგმიანობის დასაცავად და მისთვის ერთიანი ხელმძღვანელობის გასაწევად, აგრეთვე ამ მიმართულებით საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებისა და სახსრების მობილიზაციის მიზნით, განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა ქალაქის საბჭოს განათლების განყოფილებასთან და რაიონულ სოცკულტგანყოფილებებთან დაარსდეს კულტურის საბჭო.

კულტურის საბჭოს ამოცანებს შეადგენს: ქალაქის და რაიონის ტერიტორიაზე კულტურულ მშენებლობაში მთლიანი გეგმიანობის განხორციელება; ყველა მისაწვდომ ღონისძიებათა გამოყენება კულტურულ მშენებლობაში მონაწილე ორგანიზაციათა შორის შეთანხმებული მუშაობის დასამყარებლად.

კულტურული მშენებლობის მთლიანი გეგმის და ცალკე ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი გეგმების განხილვა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დირექტივების თვალსაზრისით და მათი დამტკიცება.

ღონისძიებათა დასახვა და მათი გამოყენება კულტურულ მუშაობაში ადგილობრივ სამეურნეო-საზოგადოებრივ, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანების მკაფიოდ გამოსამუშავებლად.

სისტემატიური მუშაობა კულტურულს მშენებლობაში მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბისა და საშუალო გლეხობის და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ფენების ფაქტიურად ჩასაბმელად; საზოგადოებრივი თაოსნობის გამოწვევა კულტურული მშენებლობის ნივთიერი საფუძვლების გასამაგრებლად;

მოწესრიგებულ და გეგმიანი მუშაობა ღარიბ მოსწავლეთათვის ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენათ (ღარიბთა ფონდი), ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, კვებით, ბინით, სასწავლო ნივთებით.

ღონისძიებათა დასახვა და გატარება სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად (შენობების აგება, შეკეთება, ავეჯეულობის შეძენა, არა პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებულ შენობათა განთავისუფლება, ნაციონალიზაციაქმნილი სახლების სკოლისათვის გადაცემა და სხვა).

ზომების მიღება სკოლების გადასაყვანათ პოლიტექნიზმის საფუძვლებზე (მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილება, წარმოებაზე ფაქტიურად მიმაგრება, სახელოსნოების მოწყობა და სხვა).

ღონისძიებათა გამოყენება და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა სკოლის ასაკამდე ბავშთა დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად.

წერა-კითხვის უცოდინარობასა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის გეგმის დამტკიცება და მის გატარებაში ყოველმხრივი ხელის შეწყობა; ბავშთა უმწეობა-უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლა; ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მუშაობის თვისობრივი მხარის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და თვალყურის დევნა.

პოლიტგანათლების დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე ზრუნვა (კლუბები. წითელი კუთხეები, კინო, რადიო, კულტურის სახლები და სხვ.); კულტურის მშენებლობაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება.

კულტურულ მუშაობაში მასების ამოქმედება და ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა: კულტლაშქრობა, სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და სხვა.

კულტურის საბჭო შესდგება: სოც[illegible] განყოფილების გამგის (თავმჯდომარე) განათლების ინსპექტორების, კავშირის და კომკავშირის, რაიპროფსაბჭოს, განათლების მუშაკთა კავშირის ადგილკომის, ჯანმრთელობის ინსპექტორის, კოლმეურნეობათა გამგეების, მიწადმოქმედების განყოფილების, ადგილობრივად მომუშავე მსხვილ საწარმოების (ფაბრიკა, ქარხანა, საბჭოთა მეურნეობა) სხვადასხვა ტიპის კოოპერაციის და საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს ადგილობრივი განყოფილების თითო წარმომადგენელთაგან.

საბჭო ირჩევს პრეზიდიუმს 5 წევრის შემადგენლობით.

კულტურული მშენებლობის მთავარი დარგების მიხედვით, კულტურის საბჭო იყოფა შემდეგ სექციებად, რომლებსაც საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ხელმძღვანელობენ:

სკოლამდე ასაკის აღზრდის სექცია. სასკოლო მშენებლობის სექცია. ღარიბ მოწაფეთა დახმარება, მოსწავლე-მასწავლებელთა მომარაგების, საყოველთაო სავალდებულო სწავლის და სკოლის პოლიტექნიზაციის. საზოგადოებრივი პოლიტგანმანათლებელი მუშაობის სექცია.

საჭიროებისამებრ საბჭოს პლენუმი იწვევს წ[illegible] მუშების, ღარიბისა გლეხების და მშრომელი ინტელიგენციის მოწინავე ძალებს.

საჭიროების დროს კულტურის საბჭო ჰქმნის კულტურული მუშაობის დროებით ბრიგადებს.

კულტურის საბჭო განათლების და სოც-კულტურულ განყოფილებებთან სათათბირო ორგანოს წარმოადგენს; მის გარდა განათლების ორგანოებთან მუდმივად მომქმედი სათათბირო ორგანო არ არსებობს.

პირველი იანვარი დამკვრელთა მეორე დღეა

საქპროფსაბჭოს განმარტება

იმასთან დაკავშირებით, რომ 1-ლი იანვარი, მუშების ინიციატივით, გამოცხადებულ იქნა დამკვრელის მეორე დღედ, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი განმარტავს, რომ **პირველ იანვარს მუშაობა ჩვეულებრივი წესით იწარმოებს და ამ დღეს სამუშაოდ გამოსვლა ნებაყოფლობით შეუძლიათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებსაც, რომელთათვისაც პირველი იანვარი გამოსასვლელი დღეა.**

არავითარი გადარიცხვა ინდუსტრიალიზაციის ფონდში და მუშაობა ამ ფონდის სასარგებლოდ არ შეიძლება.

პირველ იანვარს მომუშავე იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთათვისაც ეს გამოსასვლელი დღეა, კომპენსაცია არ მიეცემათ.

ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთათვისაც პირველი იანვარი გამოსასვლელი დღე არ არის, გამოსასვლელი დღით სარგებლობენ ჩვეულებრივი წესით და მათ შემდეგ დასასვენებელ დღეებში არ შეიძლება რაიმე მუშაობა დაეკისროთ.

საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე **მაჩაიძე.**
საქ. პროფსაბჭოს საქმეთა მმართველი **არჯევანიძე.**

შრომის სახ. კომისარიატის განმარტება

1931 წ. 1-ლ იანვარს მუშაობის დაშვების შესახებ.

შემოსული შეკითხვების გამო 1931 წლის იანვრის 1-ს უქმობის შესახებ, საქ. ს.ს.რ. შრომის სახკომისარიატი ამით განმარტავს, რომ მუშათა ფართო ფენების ერთსულოვანი სურვილის მიხედვით, რომ პირველ იანვარს ჩატარებულ იქნას დაკვრითი მუშაობა, დასაშვებია მუშაობის წარმოება აღნიშნულ დღეს ყველა იმ საწარმო-დაწესებულებასა და მეურნეობაშიც, რომელნიც არ არიან გადასულნი განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

საქ. შრომის სახკომისარი
ოდილავაძე.
სოფლ. საგ. სამ. უფროსის მაგ.
ნანობაშვილი.

თათბირი მუშკორთა მოძრაობის საკითხებზე

გუშინ, 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცეკას კულტპროპის ბეჭდვითი სიტყვის სექტორში შესდგა თბილისის ყველა გაზეთების რედაქციების მასიური განყოფილების გამგეთა თათბირი.

დღის წესრიგში იდგა მუშკორების მომავალ საკავშირო თათბირთან დაკავშირებით საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობებთან არსებულ ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მდგომარეობის და მუშკორთა მოძრაობის გამოკვლევა.

აღნიშნულ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **დემეტრაძემ.** მომხსენებელმა თათბირს განუმარტა, თუ როგორი მოსამზადებელი მუშაობა უნდა აწარმოონ ცენტ. გაზეთებმა საკავშირო მუშკორთა თათბირისათვის. ამის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი პრაქტიკული წინადადებები: ყველა საწარმოს, საბჭოთა მეურნეობასა და კოლექტივებთან არსებული კედლის გაზეთები უნდა იქნან გამოკვლეული და შემოწმებული; გამოკვლევა უნდა იქნას კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიაში რამდენად არიან ფართო მასები ჩაბმული—მუშა და [illegible] კორესპონდენტების სახით; ადგილობრივი პრესა, როგორ აშუქებდა ყველა იმ საკითხებს, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან საწარმოო-საფინანსო გეგმის დროზე შესრულებასთან, სოფლად კი საბჭოთა მეურნეობის და კოლექტივების მუშაობის შესახებ. როგორ იბრძოდა პრაქტიკაში კედლის გაზეთები მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ; როგორ ებრძოდა კულაკურ ელემენტებს, როგორ ხელმძღვანელობას უწევდენ კედლის გაზეთებს ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები; რამდენად ექცეოდა ყურადღება მოთავსებულ შენიშვნებს, როგორ შუქდებოდა ბრიგადების, დამკვრელების და სოც. შეჯიბრებაში მონაწილეთა მუშაობა, რა მიზეზით არ სრულდებოდა საწ. გეგმა თუ ასეთს ჰქონდა ადგილი და სხვ. ასეთი მუშაობის ჩასატარებლად საქართველოს საწარმოო ცენტრებში დაგზავნილ იქნებიან ყველა რედაქციების წარმომადგენლები, სამუშაო მათ შორის განაწილებულ იქნა შემდეგნაირად:

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას დაევალა თათბირები ჩაატაროს შემდეგ ადგილებში:—ქუთაისში, ტყიბულში და ჭიათურაში; „რაბოჩია პრავდა"-ს [illegible], ბათომი და ცხინვალი; „პროლეტარს"—ახალციხე და ახალქალაქი; „მუშა"-ს—ფოთი, სტალინისი, სამტრედია და ბორჯომი, „ახ. კომუნისტს"—სოხუმი; „კოლექტივიზაციას" — სიღნაღი, გორი, სენაკი, ზუგდიდი, ოზურგეთი და ზესტაფონი. რაც შეეხება თბილისში ჩატარებულ მუშაობას, ამის შესახებ თათბირმა გამოჰყო კომისია ამხ. ნ. იტრიევის („კომუნისტი"-ს რედაქცია) და გალკინის („რაბოჩაია პრავდა") შემადგენლობით, რომელსაც მიენდო გეგმის გამომუშავება.

მუშაობა დასრულებულ უნდა იქნას 7 იანვრამდე.

ვინ იგზავნება

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად კოლმეურნეობებში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი იწვევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს მობილიზაციის წესით საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად კოლმეურნეობებში, მოსამზადებელ ღონისძიებების ჩასატარებლად გაზაფხულის თესვისა და ხორცის დამზადების დარგში:

ნ. გვაზავა, დ. კომახიძე (საქ. ინსტიტუტი), **დავით კომახიძე** (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), **ანნა მამულაია** (პროფსაბჭო), **ბიჟვაია** (პედ. ინსტიტუტი), **ილიკო მამულია, ნიკო კერესელიძე** (განათლების მუშაკთა კავშირი), **თოდრია** (მუშფაკი), **მარო ლომინაძე** (განათლების სახ. კომისარიატი), **მარო არუთინოვა** (აბრეშუმის ტრესტი), **ერქომაიშვილი** (ფინ. კოოპ. ინსტ.), **მარია ალნიაშვილი** (სატყეო ინსტიტუტი), **ლეჟავა** („[illegible]"), **მარგალიტაძე** (ფინ. კოოპ. ინსტიტუტი), **კორძაია** (საქ. ინსტ.), **შირინაშვილი** (სას.-სამ. ინსტ.), **მჟავანაძე** (საქ. ინსტიტუტი), **აკაკი ცხომელიძე** (სუბტრ. ინსტ.), **შ. თაკთაქიშვილი** (სამხატვრო ინსტ.), **ჟვანიაძე** (ჯანმრთელობის განყოფილება), **შ. დუდუჩავა** (საქკინმრეწვი), **კობახიძე** (ამიერ-კავკ. ენერგ.), **ბუხნიკაშვილი** (ცეკავშირი), **მაისურაძე** (განსახკომი), **ხარჯიხოვი** (ამიერ-კავკ. შრ. სახ. კომისარიატი), **კ. დვალი** (საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისია), **ეჯიბიშვილი** („სოიუზტრანს"), **ზ. ცაგარეიშვილი** (ამიერ-კავკ. კომ. უნივერსიტეტი), **კახიანი** (მეწარმ.), **ალავიძე** (რუსთაველის თეატრი), **შ. გეგეჭკორი** (ამიერ-კავკ. კომ. უნივერსიტეტი), **გეგეჭკორი** პროლეტარულ სტუდ. ბიუროს ყოფ. თავმჯდომარე), **ვაშაკიძე** (პროლეტარულ სტუდენტთა ბიურო), **ჟღენტი** (სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი), **არონიძე** (ცენტ. პარტ. სკოლა), **ლიდა ჯალაღანია** (სასოფლო-სამ. ინსტიტუტი), **ს. დარახველიძე** (ამიერ-კავკ. ცაკი), **ჯინჭარაძე** (პროფსაბჭო), **ბიბინეიშვილი** (სახელგამი), **ვანო ბერბიჩაშვილი** (უზენაესი სასამართლო), **ხოკოლოვსკი** (ამიერ-კავკ. სახკომისართა საბჭო), **დიმიტრაშვილი** (გამოყენებითი მინერალ. ინსტ.), **კამალოვი** („ზაკელდორსტროი"), **გერმან ხოშტარია, სიმონ დოლიძე** (პედ. ინსტიტუტი), **კამკამიძე** („ტერსვიაზ"), **ზაქარია ტებლოევი** (მუშფაკის სტუდენტი), **ბ. ა. კიცენკო** („ზაკგოსტორგი"), **ლ. მ. ბაბალოვი** (ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი), **მ. ნ. ოხლაშვილი** (საქართველოს ს.მ.ფ.), **ა. ე. მირკოტიანი** (ქალაქის აბანოები), **ვ. ვ. ვართანიანი** (შინმრეწვი), **ა. ხ. მინასიანი** (აბანოები), **ვ. ვ. ცერკინი** („[illegible]"), **ლ. მ. ჯიხვაძე** ([illegible] კავშირი), **რ. მ. შომახია** („ზაკგოსტორგი"), **გ. ქ. მელიქაშვილი** (შინმრეწვი), **ხ. მ. ნალბანდიანი** (ც. ქ. ს.), **ა. ა. მამალიძე** (საქართველოს მომარაგების და ვაჭრობის სამმართველო), **მ. ა. ათაგულოვი** („სანტეხი"), **დ. გ. ნასარიძე** ([illegible]), **ა. ა. ისრაელოვი** (საქ. [illegible]), **ი. ხ. კომაროვი** ([illegible] ქარხანა), **გ. გ. ბერუკტოვი** (ტყავსინდიკატი), **მიხ. ხ. ბაქრაძე** (მილიცია), **ხ. პ. დარჩია** (შინმრეწვი), **გ. მ. ცომაია** (შინმრეწვ. კრედიტი), **ა. მ. ჯაყონია** (არტ. „მაუდი"), **ხ. ნ. მუჯანოვი** (შინმრეწვი). **მ. ლ. ჩიჯი** (ამიერ-კავკ. მუშფაკი), **ა. ა. ჩხაიძე** (შინმრეწვი), **გრ. ფერენცელი** (ამიერ-კავკ. მუშფაკი), **ვასო ბალიკაშვილი** (აბანოები), **ჩიხრაძე** (აბანოები), **ილ. ხოშუა** (არტელი „ინდუსტრია"), **მ. პ. ლიბერი** (ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი), **დავიდოვი** („რუდმეტალტორგ"), **გ. ხ. არაქელოვი** („ტექსტილტორგ"), **კარაგოზიანი** (ამიერ-კავკ. მუშფაკი), **ბოიაჯიანი, ხრ. დვალი** (ამიერ-კავკ. მუშფაკი). **მაცუკატოვი** („ზაკტექსტილი"). **ბარამიძე** (შინმრეწვი), **ნიკ. კალანტაროვი** (26 კომ. სახ. არტელი), **ხ. გრიგორიანი** (შინმრეწვი), **ჩირკაშვილი** (შინმრეწვი), **თერჯგიანი** („ზაკგორნოხიმტრესტ"), **ტოროშელიძე, ხუხუა** კოლმეურნ. ცენტრი). **ძაგანია** (ვაჭრობის სახალხო კომისარიატი), (**მაკალსკი** („სოიუზხლებ"), **გვარამია** ([illegible] კავშირი), **დედეიარიანი** (მეძროხეობა-მესაქონლეობის კავშირი), **ბანდოშვილი** (სპეცტრანსპ. კავშირი), **ქურდაძე** (მეხილეობა-მეღვინეობის კავშირი), **ლომთათიძე** (მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი), **ხოშტარია-ბოკოვი** (საშენო საზოგადოება), **უბირია** (ფინანსთა სახ. კომისარიატი) და „სოიუზხლების"-ს საქართველოს კანტორის წარმომადგენელი. ყველა ზემოდ აღნიშნულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ დღეს, 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე საინსტრუქციო თათბირზე, რომელიც შესდგება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში (მესამე სართული ოთახი № 13).

როგორ გაუკეთეს ლომს ოპერაცია ზოოპარკში

გუშინ თბილისის ზოოლოგიურ პარკში მეტად რთული და საინტერესო ოპერაცია გაუკეთეს ველურ აფრიკანულ ლომს „ავგუსტ"-ს. ეს ლომი რამდენიმე თვის წინად გადაიყვანეს სამხეციდან ზოოპარკში. ჯერ კიდევ სამხეცეში ყოფნის დროს ლომი უკანა მარჯვენა ფეხს იტკივებდა. შემდეგში გამოირკვა, რომ ლომს თათში ფრჩხილები შეზრდოდა და გაჩირქებოდა შიგ ჩირქი, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია ამ ძვირფასი და იშვიათი ცხოველის სიკვდილი.

უკანასკნელ დროს ლომი ისეთ ტკივილებს განიცდიდა. რომ ზოოპარკის ადმინისტრაციამ გადასწყვიტა გაეკეთებია მისთვის ოპერაცია და სულ მოეშორებინა ფრჩხილები. მაგრამ მთელი საქმე იმაში იყო—როგორ გაეკეთებიათ ეს ოპერაცია. ამის შესახებ შეეკითხნენ დიდი ქალაქების ზოოპარკებს. მათ შორის მოსკოვის ზოოპარკსაც. მაგრამ ვერსაიდან გარკვეული პასუხი ვერ მიიღეს. ზოგიერთი ზოოლოგი ურჩევდა ადმინისტრაციას—დაეძინებიათ ლომი და შემდეგ გაეკეთებიათ ოპერაცია. მაგრამ ეს საშიში იყო იმ მხრივ, რომ ზოოპარკის ადმინისტრაციამ ვერ გამოარკვია ლომის გულის მდგომარეობა, რადგან, ცხადია, შეუძლებელი იყო ასე მანიპულაციისთვის ასეთი ცხოველის გულის მუშაობის მოსმენა.

და აი თბილისის ზოოპარკის დირექტორმა, დაწინაურებულმა მუშამ ამხ. კაციტაძემ დაამზადა სპეციალური მაგარი გალია. გალიის ფსკერს ნახვრეტები ჰქონდა, ამასთან იმდენად პატარა ნახვრეტები, რომ ლომს შიგ ადვილად შეეძლო თათების გაყოფა. ამ გალიამ სავსებით გაამართლა თავისი თავი. ავადმყოფი ლომი შეაგდეს გალიაში. როდესაც ბაჟიერებით გალია ასწიეს და ფსკერს დაებუდლი ფიცარი გამოაცალეს, ლომმა ოთხივე თათი ნახვრეტებში გაჰყო. თათებს მაგარი ღვედები მოუჭირეს და დააბეს. მთელმა ამ მუშაობამ რამდენიმე საათს გასტანა, ამასთან ეს მუშაობა ძალზე საშიშიც იყო, რადგან გაცოფებული ლომი საშინლად ღრიალებდა და გალიის დალეწვას უპირებდა, მაგრამ ისე მოხერხებულად ჩასჭიდეს გალიაში, რომ ექიმმა - ვეტერინარმა ლეონიძემ ადვილად და დაუბრკოლებლად გააკეთა ოპერაცია. თვით ოპერაციამ ხოლოდ 10 წუთს გასტანა. ექიმმა ლეონიძემ ძვლის მაკრატლით ნაწილ-ნაწილ ჩამოსჭრა ფრჩხილები და მოაშორა თათს. ოპერაციის დროს ლომის გულის მოქმედებას ხელოვნურად იცავდნენ.

ოპერაციამ საუცხოვოდ ჩაიარა. ოპერაციის შემდეგ ლომმა საჭმელი მიიღო.

ამ ოპერაციამ სამეცნიერო მუშაკებიც დააინტერესა ოპერაციას დაესწრენ ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი კანდელაკი, ამ ინსტიტუტის თანამშრომელნი, ზოოლოგი იაკუშეველი და სხვები.

თადარიგის მეთაურთა საყურადღებოდ

ქვემოდ ჩამოთვლილ თადარიგში მყოფ მეთაურთა შემადგენლობის პირებს ევალებათ გამოცხადდნენ თბილისის სამხედრო კომისარიატში (ჯორჯიაშვილის ქ. № 10).

ი. დ. ჩაჩიბაია, გ. ა. ჩიქოიძე, ვ. რ. ჩალაგანიძე, გ. ა. ჩოჩია, დ. გ. ჭყონია, გ. ს. ჩიქოვანი, გ. გ. ჭავჭანიძე, ი. დ. ჩხიკვიშვილი, პ. ა. ჩხიკვაძე, მ. ა. ჩხენკელი, პ. ა. ჩერქეზოვი, შ. ს. ჩიხლაძე, ს. ქ. ჩაჩიბაია, ტ. ვ. ჭეიშვილი, შ. ი. ჭელიძე, ქ. ფ. შარაშიძე, ა. ი. შანშიევი, გ. პ. შარკოვსკი, ა. ნ. შოხინი, ნ. ს. შენგელია, შ. პ. შენგელია, ვ. მ. შროკინი, ნ. ა. ელიოზიშვილი, ს. ბ. ერისთავი, ს. ხ. ელჩიბეკოვი, ი. ქ. იანაკოვი, ვ. ი. ნარიშკინი, ვ. ა. ნიჟარაძე, ი. ი. ნინიძე.

ფეხბურთი

„დინამო"-ს ნაკრები გუნდი ერევანში

თბილისის ნაკრები „დინამო" რომელიც გამგზავრებული იყო ერევანში ორი ამხანაგური მატჩის მოსაწყობად, დაბრუნდა თბილისში. გუნდს პირველი შეხვედრა ჰქონდა ერევნის „დინამო"-სთან, სადაც თამაში დამთავრდა 2:2, ხოლო მეორე მატჩი, რომელიც შესდგა ერევნის ნაკრებ ქალაქის გუნდთან, დაუმთავრებელი დარჩა გუნდების უხეში თამაშის გამო.

შემთხვევები

⁂ **დაჭრა.** ივანე ალექსიძე ცერაძემ ქეიფობის დროს სასიკვდილოდ დასჭრა ილია [illegible] ბაბუნაშვილი (რიყის ქუჩა № 73), დაჭრილი მოათავსეს პირველ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

⁂ **ქურდობა.** გაქურდეს ნინა კონსტანტინეს ასული ხელეურიანის ბინა (კახეთის ქ., № 4), საიდანაც მოიპარეს 2.600 მანეთის ნივთები და 600 მან. ფული.

⁂ **ვისია ტუფლები?** სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ქალის ნაქურდალი ტუფლები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 12, ამხ. ნაროსელიშვილთან

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილება სთხოვს ამხ. ს. ცინცაძეს (მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი), სართანიას (კოლმეურნ. ცენტრი) და კეკელიძეს (ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა) გამოცხადდნენ დღეს ა.-წ. 31 დეკემბერს დილის 11 საათზე ამხ. ავეტისოვთან (ოთახი № 51).

26 კომუნარის სახელობის რაიკომი იტყობინება, რომ 1-ლი იანვრის დამკვრელთა დღეთ გამოცხადების გამო, პარტიული დღე 1-ლ იანვრიდან გადატანილია 8 იანვარს.

ამავე დროს რაიკომი იტყობინება, რომ ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშების ინიციატივით, დამკვრელთა დღეს, 1-ლ იანვარს, მუშაობის დამთავრების შემდეგ 26-ის სახელობის რაიონში გაიმართება მუშათა დემონსტრაცია.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ილია სოლომონიას (პედ. ინსტიტუტი) და დანიელ ხვიჩიას (ამიერ-კავკ. გზათა მიმოსვლის ინჟ. ინსტ.) გამოცხადდნენ ცენტრალურ კომიტეტში 31 დეკემბერს ნაშუადღევის ორ საათამდე.

ა.-წ. 31 დეკემბერს დილის 10 საათზე საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის აგიტაციისა და მასიურ მუშაობის განყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ბოკერია (ულმერთოთა კავშირი), დოიჯაშვილი (თავდაცვა-ავიაქიმი), კანდელაკი (ო. პ. ტ. ე.), ჩხიკვიშვილი (გლეხკომების ცენტრ. კომ.).

ა.-წ. 31 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი საკითხზე: „კულტმუშაობის დაყენება ტრანსპორტზე". თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მგელაძე (საუბნო კომიტეტი), ბაირამოვი (ამიერ-კავკ. პროფსაბჭო), ბერიძე (საქართვ. პროფსაბჭო), მახათაძე (საქართველოს კომკავშირის ცკა). დასწრება სავალდებულოა.

1931 წლის 1-ლ იანვარს, დღის 4 საათზე, საქართ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში ამხ. მთვარელიძესთან (ოთახი № 21) შესდგება ახალი თურქული ალფაბეტის კომიტეტის თათბირი. სავალდებულოა შემდეგ ამხანაგების დასწრება: უ.მ.ს. წარმომადგენელი, აკერი („ენიკენდ"), მიწიშვილი (სახელგამი), პოლოსოვი (თბილ. პოლიტგანი) და ახალი თურქული ალფაბეტის კომიტეტის წარმომადგენელი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ალ. ბედიაშვილს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ც. კ-ში ამხ. კილაძესთან (ოთახი № 1).

საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდჩამოთვლილ ამხანაგებს 2 დღის ვადაში გამოცხადდნენ ქალაქის რაიკომში ამხ. სიდორაპულოსთან (ოთახი № 66) 3-დან 4 ნახ. საათამდე. ვინც არ გამოცხადდება, ჩაითვლება ორგანიზაციიდან მექანიკურად დარიცხულად: ი. პ. კუნიკაშვილი, ი. ნ. სიჭინავა, კ. ი. ბესელია, ა. ი. ბუჯიაშვილი, გ. მ. სულკიაშვილი, მ. ხ. ცულუქიძე, გ. დ. გარსევანოვი, ვ. ს. გრიშინი, გ. დ. ბურჯულაძე, დ. ვ. ბახტაძე, შ. ქ. ბადრიძე, პ. გ. ედანოვი, ა. დ. მურადოვი, მ. თ. ხელაია, ნ. ა. გუგუშვილი, დ. ა. ჯანიაშვილი, მ. ა. ბიბილური, ი. ს. გოგიაძე, ტ. გ. ყაზარიანი, თ. ქ. კავაზოვი, პ. კ. ჭელიძე, გ. ს. ასლანიშვილი, ვ. ნ. დავლიანიძე, პ. ა. პისკუნოვი; მ. ი. კარაუზინა, ნ. ზ. თუსუპოვი, რ. ბ. ბაგრამოვი, გ. დ. კიკნაძე, ს. გ. გლუნჩაძე, ა. ა. გილი, პ. ი. ბეჟუაშვილი, მ. ი. იოგანი, ი. დ. უბირია. ი. დ. ჩხეიძე, დ. ნ. რუდოი, ა. ი. შალიაშვილი, კ. ო. მეგრელიძე, ა.პ. კაპალიანი, ვ.გ. ივკო, ზ.გ. დავიდოვი, გ. ტ. ჩაჩიბაია, ი. ა.გოშიძე, ე. ე. ლომთათიძე, ა. ტ. დოლიძე, ს. მ. მათიაშვილი, თ. მ. გვრიტიშვილი, ი. გ. ლამიშვილი. ა. ს. ბარბაქაძე, ო. ი. პერენიაევა, ი. ა. ლაჩინოვი:

31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპ. № 21) მოწვეულია თათბირი მნიშვნელოვანი საკითხის განსახილველად. თათბირს დაუყოვნებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ეკატერინე სერებკინი, გრიგოლ გრონელი. სერგო მაჩაიძე. ელისაბედ გუმბოროვი, ზაქრო ტებლოევი, მიხეილ ჩიჯე, მიხეილ ნებლაშვილი. დიმიტრი ლორთქიფანიძე, ბარნაბ მიქავა, ნინა მამუკაშვილი, ნიკოლოზ სადრაძე, ზაქრო მჭედლიშვილი. არჩილ კერესელიძე, ილია ნამჩერაძე. თედორე გუბინი, ივანე ბელოშაკი, ალექსანდრე პირიცკი. ვასილ ანთაძე. შალვა ვორდუზიანი, თედორე აღლაძე, მგალობლიშვილი. მჭედლიშვილი ალექსანდრე, ვლადიმირ სოლავა, ალექსანდრე სმიკოვი, მიხეილ კოლოშვილი, ნიკოლოზ კერესელიძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე. ვლადიმირ რუსია. გრიგოლ ბეკოევი აქსენტი ბალანჩივაძე, იროდიონ ობოლაშვილი, გრიგოლ გურგენიძე, ნინა სამათაშვილი. გრ. მირიანაშვილი, ნიკოლოზ ვლადიმიროვი, ონუფრი რეხვიაშვილი. ი. ჩიქვაიძე და სიმონ მაღრაძე.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 31 დეკ-მბერს	ხუთშაბათს, 1 იანვარს	პარასკევს, 2 იანვარს
მე-12 აბონ. მე 3 წარმ. **ჯამბაზები, კონცერტი**	მელითონეთა და ტრანსპორტელთა დახურული წარ. **წითელი ყაყაჩო**	მე-7 აბ. მე-6 წარმოდ. დირიჟორ იულიუს ერლიხის მეოთხე გამოსვლა სიმფონიური კონცერტი

წარმოდგენების დასაწყისი ზუსტად 7 საათ. 30 წუთზე
დაიწყო ყველა აბონემენტების მე-5 მორიგი შესატანის მიღება სალაროში № 3. ნ. 2254

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ა პ ო ლ ო — 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი საღამოს სეანსები — 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი დღის სეანსები — I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
საზამთრო დარბაზი — 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—10-30.

1905 წლის რევოლუციის 25 წლის თავისათვის
საქართველოს სახკინმრეწვის ახალი მხატვრული სურათი
ამერიკანკა
ეპიზოდები ბოლშევიკების ც. კ.-ის საიდუმლო სტამბის ისტორიიდან.
სცენარი ამხ. გიორგი სტურუასი
რეჟისორი ლეო ესაკია. ოპერატორი ს. ზაბოზლაევი.
მთავარ როლებში: ბერიშვილი, გრომოვი, ლავროვი, ლითანიშვილი, მდივანი, ხინთიბიძე

ისტორიული ფილმი
დიადი საქმის კავშირი (С.В.Д.)

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მიხეილი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. — სეზონის საუკეთესო სურათი **კურს ნორდ**
კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30 — მე 2 კვირაა გრძელდება დადგმა **ჯავშნოსანი პოტიომკინი** ს. ეიზენშტეინის დადგმა

სახელგამი აცხადებს

კონკურსს

სამხატვრო აგიტ-პლაკატზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების X წლის თავის შესრულების გამო.

კონკურსის პირობები:

1. სიუჟეტი—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების X წლის თავის შესახებ.
2. სურათის ზომა სასტანდარტო ფურცელი—594×841 მ/მ.
3. სურათი შესრულებული უნდა იქნეს 4—5 ფერად.
4. საუკეთესო სურათებისათვის გაცემული იქნება ფულადი ჯილდო: I—200 მან., II—100 მან., III—75 მან.
5. დასაბეჭდავად მიღებულ 2 სურათში, ჯილდოს გარდა, ავტორებს მიეცემათ ჰონორარი 150 მან თითოეულ სურათში.
6. დაჯილდოვებული და დასაბეჭდათ მიღებული სურათები გადადის სახელგამის საკუთრებაში.
7. სურათის წარწერა სასურველია იქნეს ქართულ ენაზე.
8. სურათების წარმოდგენის ვადათ დანიშნულია 1931 წლის 8 იანვარი.
9. სურათები დევიზით დახურულ კონვერტში ავტორის გვარით და დევიზის აღნიშვნით უნდა ჩაბარდეს სახელგამის სახამხატვრო განყოფილებას—რუსთაველის პრ. № 22. მიიღება ყოველდღე 2—4 საათამდე.
10. კონკურსისთვის გამოგზავნილ სურათებს განიხილავს სპეციალური კომისია 10 იანვარს.

ნ. 2257 სახელგამის გამგეობა.

„დაზღვევის ერთთვიური"-ს

პერიოდში ქ. თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და სახელმწიფო კრედიტის ხელის შემწყობ კომისიებმა მომხსენებლებისათვის უნდა მიმართონ თბილისის ქალაქის შემნახველ სალაროში ამხ. წკრიალს და ხუხუნის ტელეფონით 22—79.

ქალაქის შემნახველ სალაროს მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 19.

საქ. შემნახველ სალაროების სამმართველო. ნ. 2252

დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება
ა. კ. ქიმტექნოლოგიური ინსტიტუტის პედ-პერსონალის, თანამშრომელთა და სტუდენტთა საერთო კრება.
დღის წესრიგში: მოხსენება „5 წლედის ორი წლის შედეგები და მესამე [illegible]ლია პერსპექტივები".
დასწრება სავალდებულოა. (ნის.)

სახელგამი

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა
ქართული კალენდრები
მაგიდის (კარგ ქაღალდზე) და კედლის (მაიური) გამოცემა დაგვიანდა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო.
მიიღება შეკვეთები
სახელგამის ყველა მაღაზიებში. ნ. 225[illegible]

ყველა წარმოება-დაწესებულებამ 1—15 იანვრამდი

უნდა წარმოუდგინოს საკრედიტო დაწესებულებებსა და შემნახველ სალაროებს (იმ ადგილების მიხედვით, სადაც ხელმოწერა ჩატარდა) იმ მუშა-მოსამსახურეთა სიები, რომლებმაც ხელი მოაწერეს სესხზე „5 წლედი 4 წლიწადში" შემდეგი ფორმით:

№ №	გვარი, სახელი და მამის სახელი	ხელმოწერის ჯამი კუპიურების მიხედვით							შენიშვნა
		პროცენტიან გამოშ.			უპროცენ. გამოშ.				
		50 მ.	25 მ.	5 მ.	50 მ.	25 მ.	5 მ.	[illegible]	
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.	10.

აღნიშნული უნდა იქნეს ხელმოწერის საერთო თანხა (თავდაპირველი და დამატებითი) სიების ბლანკებისა და მათი შევსების წესების შესახებ ცნობებისათვის მიმართეთ: სახ. ბანკს, კომუნალურ ბანკს და ტ. შემნახველ სალაროს. ნ. 2258

ვამზადებთ მოწაფეებს:

10 წლედის და 7 წლ. დასამთავრებელ მოწმობისათვის. [illegible] აგრეთვე ჯგუფები: საბუხჰალტრო კურსებზე. მიიღება წლედებში და მუშფაკებში შესასვლელად. ვასწორებთ ყველა საგნებში სუსტ მოწაფეებსაც.

პირობები გაიგება:
1. კარგარეთელის ქ. № 3-ა. 3 ნახ. 4 ნახ. საათამდის. (კინო აპოლოს მახლობლად).
გოლებაშვილის [illegible] შესახვევი (ყოფ. პეტრონეს მეორე შესახვევი) № 20. 10—12 ს., 4—6 საათამდე.
20 16 7767

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, [illegible] „914 ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8 9 ს. საღამოთ 6—9 საათ. ქალები და ბავშვები მიიღება 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის ბაღების მახლობლად. ტელ. 1 90. 25—10

სახელმწ. ცირკი
დღეს და ყოველდღე მოსკოვის პირველი სახ. ცირკის გასტროლების
გრანდიოზული პროგრამა
საბჭოთა კავშირის და უცხოეთის საუკეთესო მხატვრები და ატრაქციონები. დასაწყისი საღ. ზუსტად 8 საათზე. ბილეთები იყიდება, როგორც მიმდინარე წარმოდგენაზე, ისე წინასწარ. სალარო ღიაა ყოველდღე 11 ნახ. ს. 2 საათამდე და 5 დან 9 საათამდე. კოლექტიურ განცხადებები მიიღება სახ. ცირკის კანტორაში. ნ. 2253

განათლების მუშაკთა სახლში

ხუთშაბათს, 1 იანვარს ეწყობა **დამკვრელთა დღე.**
1. საუკეთესო დამკვრელების დაჯილდოვება.
2. გამოფენა.
3. კონცერტი.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. 8317

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი

აუწყებს დაინტერესებულ დაწესებულებებს და პირებს, რომ

1) 1931 წლის 1 იანვრიდან შეწყვეტილია მუშათა ტრამვაის ბილეთების გაცემა შეღავათიან ფასებში და მათი გაცემა იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ნომინალურ ფასებში.

ა) საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები, რომელთაც შეღავათიანი ბილეთები [illegible], ამ ბილეთებს იღებენ ძველ ფასებში, ხოლო განსხვავება ბილეთების შეღავათიანი და ნომინალურ ფასებს შორის იხდის დაწესებულება ან საწარმო, რომელშიაც მუშა იმყოფება.

ბ) ყველა სტუდენტები, გარდა მოსამსახურე ან კონტრაქტაციაზე აყვანილთა, რომლებიც ცხოვრობენ სასწავლო ადგილიდან არა ნაკლებ 2 კილომეტრისა, ღებულობენ ტრამვაის შეღავათიან ბილეთებს ძველ საფუძველზე იმ პირობით, თუ პროლეტარულ სტუდენტობის ბიურო ტრამვაის დირექციას წარუდგენს სათანადო შემოწმებულ სიებს.

ამ შეღავათის ბოროტად გამოყენებისათვის, ბილეთები დამნაშავეთ ჩამოერთმევათ.

2) 1931 წლის 1 იანვრიდან ტრამვაის უფასო ბილეთების გაცემა მოსპობილია.

ის პირები, რომელნიც განსაკუთრებულ კანონების თანახმად სარგებლობენ ქალაქის რკინის გზებზე უფასოდ მიმოსვლის უფლებით (ცაკის და თბილისის საბჭოს წევრები, ორდენებით დაჯილდოვებული და სხვ.) ვალდებულნი არიან თავიანთი მოწმობები წარუდგინონ კონდუქტორებს ისე, რომ არ დაუცადონ უკანასკნელების მხრიდან მოთხოვნას.

ნ. 2250 საბჭოს თავმჯდომარე პ. მელაძე.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე კალიტკა, შვილები: ფილიპა, ვსევოლოდი, რძლები: ოლღა და ანნა, შვილიშვილები: ვახტანგი, თამარი, იური, ლარა და ნათელა კაპანაძეები იუწყებიან მათის ძვირფასის
იასონ ლუკას-ძე კაპანაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ბოსლევში 3 იანვარს, 3 საათზე.

ცხარე ცრემლით დავტირით ჩვენი მასწავლებლის
იასონ ლუკას ძე კაპანაძის
გარდაცვალებას სიმონ, ლავრენტი და მიხაკო კაპანაძეები. დაკრძალვა სოფ. ბოსლევში, 3 იანვარს, 3 საათზე. 8286

გულდამწვარი მშობლები ლიუბა და მიშა როინიშვილები, ბებია ვერა, დეიდები: ლიზა და ნინო, ბიძები: სიმონი და ეკოვა ახმანიშვილები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ
პატარა ტიტიკოს
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, პლეხანოვის პროსპ. № 91. 8318

ღრმად დამწუხრებულნი მამიდა კალინა, ბიძია ვარლამი [illegible], ბიძია კოლოლა-გოგუცა, მლიკო როინიშვილი აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელ ძმის შვილის
პატარა ტიტიკოს
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, პლეხანოვის პრ. № 91. 839

დამწუხრებული შვილები: სონა, მაიკო და მარუსა [illegible] ქმარ-შვილით, დათიკო და იაკინთე ცოლშვილით, ჩიტო, დარო და ნატუთა კიკნაძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა
ერმონია ზურაბის ასული მურმანიშვილი-კიკნაძისა
დასაფლავება სოფ. ჩხერში, ხუთშაბათს, 1 იანვარს. 8292

დამწუხრებული შვილი მაიკო, სიძე გიორგი შვილებით: შალვა, კაიხოსრო კუმბურიძეები იუწყებიან, რომ 29 დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი
ერმონია ზურაბის ას. მურმანიშვილი-კიკნაძისა
8292

თავზარდაცემული მეუღლე სოფიო ციციშვილისა მაზლით ვასილი, შვილებით: მარგო, ქეთინო, რუსუდანი, თენგიზი და ძმით ზაქარია ოსიპაშვილი იუწყებიან, რომ 28 დეკემბერს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ციციშვილი
გამოსვენება ბინიდან—საბჭოს მოედანი № 9, დღეს, 4 ნახ. საათზე. 8294

თბილისის კოოპერატიული თეატრის რეჟისურა და მსახიობნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ თეატრის მსახიობის მარგო ციციშვილის მამის
ნიკოლოზ კონსტანტ.-ძე ციციშვილის
გარდაცვალების გამო. 83 6

ადეიშვილი, ბელსკი, ბრიგაძე, ბუდიაშვილი, ვაშაკიძე, ლოლობერიძე, გრიგოლოვიანი, ეჯიძე, ქავთარაძე, კველაშვილი, კობალავა, [illegible], ქსოვრელი, კუჩუხიძე, ლეჟავა, მასხულია, ურუშაძე, ხაჩატუროვი, ცინცაძე, [illegible], მაჭავარიანი, ნადირაშვილი, ჩიხვაძე და ლალიძე იუწყებიან ამხანაგების დავითისა და სოლომონის ძმის
ანდრია თოხაძის
გარდაცვალებას. 8289

ზესტაფონის 1 ლი საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მასწავლებლები: ს. საყვარელიძე, ნ. წულუკიძე, კ. ბარათაშვილი, თ. დვალიძე, მ. ჩხეიძე, ნ. ცქიტიშვილი, კ. [illegible], დ. ბეჟუაშვილი, ალ. ჩიხლაძე—დასტირიან საყვარელი მოწაფის
ანჟელიკა იშხნელის
დაკარგვას. 8288

ანეტა, მარიკო, ნუცა შვილებით, სეით პაპინაძე, მიხეილ მგალობლიშვილი, ვალიკო ბაქრაძე, ნადო, კატო აბაშიძეები აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და საყვარელი ბიძის, მაზლის და ბიძაშვილის
ალექსანდრე ხახულის ძე აბაშიძის
გარდაცვალებას. 8293

გულდამწვარი მეუღლე ნინო, შვილი სიმონ შენგელია, შვილიშვილები: ზურაბი და გივი იუწყებიან პირველი საყვარელ ქმრის, მეორე [illegible] მამის და უკანასკნელნი ძვირფას ბაბუას
პავლე ბიჭიას ძე შენგელიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კულაშში. 8291

გულდამწვარი მეუღლე ნინა, შვილი ნინიკა იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათი ერთად ერთი ნუგეში
ვასილ კონსტანტინეს-ძე წერეთელი
დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 იანვარს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან—საბჭოს ქ. № 149. 8.9

გაუბედურებულნი: მეუღლე ვენედიქტე და შვილი პატა ნოდარი კუპრაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ 27 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უტკბილესი და უსაყვარლესი
ნინა ნესტორის ას. მჭედლიძე-კუპრაშვილისა
დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 იანვარს, 3 ნახ. საათზე, ქუთაისში. ხახანაშვილის ქ. № 10, საფიჩხიის სასაფლაოზე 8 20

დამწუხრებულნი: და გალინა, სიძე მიხეილ კაპანაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
ნინა ნესტორის ას. მჭედლიძე-კუპრაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 იანვარს, 3 ნახ. საათზე, ქუთაისში, ხახანაშვილის ქ. № 10, საფიჩხიის სასაფლაოზე. 8 20

სამუდამოდ გულდათუთქულნი: ძმა მიშა, რძალი თამარი და ძმისშვილი მედიკო მჭედლიძეები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს
ნინა (ნინიჩკა) მჭედლიძე-კუპრაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 8 21

ნონა ლეონტის ასული და კლიმენტი სოფრომის-ძე კაპანაძეები ცხარე ცრემლით დასტირიან უსაყვარლესი რძლის და უტკბესი მეგობრის
ნინა ნესტორის ას. კუპრაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. 8321

დამწუხრებული ოჯახი: ანა, ცაციკო, ნესტორ და კონსტანტინე, ფაია, მარუსა და დათიკო მჭედლიძეები დასტირიან მათთვის უსაყვარლესი შვილის და დის
ნინა (ნინიჩკა) მჭედლიძე-კუპრაშვილის
უდროოდ დაკარგვას. 8321

„საქ. აბრეშუმი"-ს სამეგრელო საოლქო განყოფილების მუშა-მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას ამავე განყოფილების თანამშრომლის ბენედიქტე კუპრაშვილის მეუღლის
ნ ი ნ ა ს
უდროოდ გარდაცვალებას. 828

დამწუხრებულნი მშობლები: ვერა და ირაკლი, და თინა სვანიძეები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ შესრულდა ერთი წელი, რაც გარდაიცვალა მათი ოჯახის სიამაყე, მე-5 შრომის სკოლის მოწაფე
ბუხუტი ირაკლის-ძე სვანიძე
ნ. 226

მშობლები: ელიკო და არეთი შვილი ეთერით ზამთარაძეები აღნიშნავენ, რომ შესრულდა ერთი წელი, რაც გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
შალიკო და ვენერიკო ზამთარაძეები
ნ. 2260

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი ბებია ეფროსინე, ბაბუა მიხეილი და დეიდა ოლია ნინუები მწუხარებით აღნიშნავენ, რომ შესრულდა ერთი წელი, რაც გარდაიცვალა
ბუხუტი სვანიძე, შალიკო და ვენერიკო ზამთარაძეები
ნ. 226

დამწუხრებულნი სანდრო ფირცხალავა, კლიშველები და ქენია მელაძე შვილიშვილით თამარა ფირცხალავათი, ძმები ალექსი ბობოხიძე, ივანე და ისიდორე ჩიმაკაძეები ცოლშვილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი მოამაგე
ფორინე ჩიმაკაძე-მელაძისა
დაკრძალვა 3 იანვარს, მახათაში. ნ. 2256

მოსე, ბაბინე, პროკოფი დოლიძეები ცოლშვილით და ნადია თოთიბაძე ქმარშვილით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
ელისაბედ იოსების ასულ დოლიძის
გარდაცვალებას. დასაფლავება სუფსაში. 83.3

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე და ნინა ჩიკაშუები თავისი შვილებით, ილია და ანდრია ხუციძეები მთელ ოჯახთან ერთად უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის საყვარელ
პატარა ჯუმბერ სიმონის-ძე ჭყუასელის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება ზემოხეთის თემში (გურია). 8304

დამწუხრებულნი: დედა, ძმები: შაქრო და ვანო, დები: სონა და ნატაშა, სიძეები: ილიკო კვაჭაძე და სერგო ისაკოვი, ძმისშვილები: თამარა და ლევანი ([illegible]) იუწყებიან, რომ გარდაიცვ. საყვარ.
ეფემია ნიკოლოზის ას. გომელაური
გამოსვენება ბინიდან—ავლაბარი, მახათის შესახვევი № 7, დღეს, 4 საათზე. 8307

ტირაჟი—62.580

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 201